დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2025 წლის 21 - 27 აპრილი
N 17 1588
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც საქართველოს არ უნახავს!


4-5

6-7

12-14

19 - 20

39-ჯერ არ მახსოვს!

## რეპორტაჟი საგამოძიებო კომისიის სკანდალური სხდომიდან

### მაყვალა ბერიანიძე:

ივანიშვილი აიძულეს და გახარია პრემიერად დაანიშნინეს!


2-3


22

### თამაზ მოლაშვილი:

### მამუკა ფიფია:

ასე გავპრანკეთ უჩა და სალომე, ჯო უილსონიც მივაყოლეთ!
21





# აი, ასე გამაუბედურა მიშა სააკაშვილმა!

### ჯონდი ბაღათურია:


8-9

სააკაშვილი არის ქვეყნის მოღალატე და ღალატის მუხლითაც უნდა გასამართლდეს!

„სულხანს ბევრი მეგობარი ჰყავდა და მაგათ მოჰქონდათ ამბები — სულხანს წამების დროს რომ ულებდნენ, გაბღენძილი სააკაშვილი სიამოვნებით უყურებდა ამასო!“
23



### ვაჟა ოთარაშვილი:

## იცოდეს ყველამ,

გიული ალასანიას უნივერსიტეტში, „ილიაუნსა“ და ბენდუქიძის უნივერსიტეტში საქართველოს მტრებს ზრდიან!


11

„ქალბატონ გიულისაც მოუწევს ამის დასაბუთება, ანუ დაუსაბუთებელი ქონების წარმოშობის კანონიერება უნდა დაასაბუთოს სწორედ სააკაშვილმა და გიული ალასანიამ!“



## გიორგი ბეზირგანი კრემლის ჩაბლაბუდა

### ტრისტან წითელაშვილი:

## ვერაგული სქემა გაშიფრულია!

„თუ ბრძოლის უცოდინარი ახალბედა მეომარი დაიჭრება, ორგანოებად ანაწევრებენ!“
15




### ივანე ჯაფარიძე:


28

მარინე უთმელიძე იყო პირველი ქალი მსოფლიოში, ვინც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა!

# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

*ჟურნალისტი* ***მაყვალა ბერიანიძე*** ***უკანასკნელ ხანს საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ, პაატა ბურჭულაძემ 9 აპრილს მოწყობილი აქციით ოპოზიციას ჰარაკირი გააკეთებინა და საკუთარი თავიც დაისამარა:***



# მაყვალა ბერიანიძე:

## საგამოძიებო კომისიაზე გიორგი გახარიას გამოსვლა ყველამ ნახა... შემრცხვა, რომ საქართველოს ასეთი პრემიერ-მინისტრი ჰყავდა!

# «ივანიშვილი აიძულეს და გახარია პრემიერად დაანიშნინეს!»

— ლიეტუვამ 122 ქართველზე სანქციები რომ დააწესა, იმათი სია წავიკითხე და ამ ადამიანების ოთხმოც პროცენტს საერთოდ არ ვიცნობ. საინტერესოა, ლიეტუველები საიდანღა იცნობენ ან ვინ მისცა უფლება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, პარლამენტის თავმჯდომარე, დედაქალაქის მერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური პროკურორი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები დაასანქცირონ? გასაგებია, რომ ეს უტიფრობის კლასიკაა, მაგრამ ვკითხები საქართველოს ხელისუფლებას — **ჩვენ სახელმწიფო ვართ თუ ლიეტუველებისა და სხვებისთვის ისევ „ღრუზიად" დავრჩით? ზელენსკის** ჩვენი აბუჩად აგდება შერჩა, როცა საქართველოდან ელჩი გაიწვია. არადა, ჩვენი ელჩი ერთადერთი იყო, რომელიც იმ ომსა და უბედურებაში კიევში დარჩა. მოგეხსენებათ, მაშინ დიდი სახელმწიფოების ელჩები უკრაინიდან სამარცხვინოდ გაიძურწნენ, გაიქცნენ და საელჩოები დახურეს.

### ვინც კიევიდან გაიქცა და საელჩო დახურა, სამარცხვინო ზელენსკი ყველას შეუძვრა, ხოლო საქართველოს, რომელმაც უკრაინა გაჭირვებაში არ მიატოვა, ზურგი შეაქცია და დღემდე მტრობს!

**— დაახლოებით ერთი თვის წინათ მითხარით — საქართველოს ხელისუფლება ჩქარობსო! თქვენი დიაგნოზი გაცხადდა?**

— საქართველოს ხელისუფლებას დღეს ოპოზიცია არ ჰყავს. ეს სახედაკარგული ხალხი, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე კივის და წივის, ოპოზიცია არ არის, **ეს აგენტურაა!** ხელისუფლებას ოპოზიცია ჰყავს ოჯახში, რომელიც მას ნაკლზე გულშემატკივრის პოზიციიდან მიუთითებს, მაგრამ კაციშვილი ამ ხალხს არ უსმენს. დიახ, ხელისუფლება ჩქარობს და ამ სიჩქარეში ცდება კიდეც. კერძოდ, **საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიას ერთი თვით გაუგრძელეს მოქმედების ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ რა დასკვნაც გინდა დაიდოს, შემოდგომაზე გამოცხადებულ ადგილობრივ არჩევნებში ნაცები მონაწილეობას მიიღებენ.** რა არის ეს? **ეს არის სწორედ სიჩქარის შედეგი, რომელსაც სიკეთე არავისთვის მოუტანია.** ვკითხები პარლამენტის თავმჯდომარეს — **ბატონო შალვა,** ვინ გირჩიათ, პარლამენტის აპარატი გამოცდილი მუშაკებისგან დაცალოთ? **ბატონო შალვა,** პარლამენტის წევრად სულ ახალი არჩეული რომ იყავით და სააკაშვილმა რომ ქონება წამართვა, იმის შესახებ რომ გელაპარაკეთ და გითხარით — უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ სრულდება, წართმეულ ქონებას არ მიბრუნებენ-მეთქი! — სამი წელი გავიდა იმის შემდეგ და რა ქენით, რომ დამპირდით, ეს საკითხი შეისწავლეთ?

### თეა წულუკიანის კომისიაში ამ საკითხის შესახებ განცხადება რომ შევიტანე, რას აპირებთ, დამიძახებთ და დამკითხავთ?

პარლამენტიდან სამოც წელს გადაცილებული აპარატის თანამშრომლების გამოგდება, იცით, რას მაგონებს? **სააკაშვილი** რომ პრეზიდენტად დაგვისვეს და გამოაცხადა — ოცდათექვსმეტი წლის ვარ და სკოლაში ჩემზე უფროსი მასწავლებელი არ დავინახო, ყველა გაყარეთო! რა არის ეს, რა მაგალითს უჩვენებთ ახალგაზრდობას, ოჯახიდან პენსიონერი მშობლები უნდა გაუშვან? **ამ ხალხმა მოგცათ თქვენ ხმა და რას აკეთებთ?** გაიხსენეთ, რა უთხრა ერთმა ახალგაზრდა ნაძირალამ ერთ ხანდაზმულს რუსთაველზე — **სანამ თქვენ არ ამოწყდებით, ჩვენ ხელისუფლებაში ვერ მოვალთ, სწორედ თქვენ მიეცით „ქართულ ოცნებას" ხმაო!**

69 წლის **ბიძინა ივანიშვილმა** რომ მოინდომოს და გითხრათ — პარლამენტის აპარატში დამაწყებინეთ მუშაობაო! — რას აპირებთ, უარს ეტყვით სამსახურზე, ასაკი არ გიწყობს ხელსო?

***— რას იტყვით თეა წულუკიანის საგამოძიებო კომისიაზე? თუ ამ კომისიამ დამნაშავეები პასუხისგებაში არ მისცა და რამე ქმედით ზომებს არ მიმართა, მაშინ მართლაცდა რა აზრი აქვს ასეთი კომისიის არსებობას?***

— კომისიაზე ყველას გამოსვლას ყურადღებით ვუსმენ და ახალი იქ არაფერი გამიგონია! იმ საგამოძიებო კომისიამ, სადაც მე წლების წინათ ვმუშაობდი, **ბოჩა ჯიქიას** მკვლელი რუსეთიდან ჩამოიყვანა და დასაჯა. უფრო მეტიც, დაისაჯა ყველა ის პირი, ვინც **ბოჩა ჯიქიას** მკვლელს ხელი დააფარა, ქვეყნიდან გააპარა და დააჯილდოვა. ცნობილ **იური ვაზაგაშვილს** 65 კაცის სია ჰქონდა, რომლებიც ქუჩაში ახალგაზრდებს ხვრეტდნენ. **ბატონი იური,** როცა ამ 65 კაცს ასახელებდა, გვართან და სახელთან ერთად მათ თანამდებობასაც უთითებდა. ვკითხები ხელისუფლებას და მიპასუხოს — **სად არის დღეს ეს 65 კაცი?** საგამოძიებო კომისიაზე **გიორგი გახარიას** გამოსვლა ყველამ ნახა... შემრცხვა, რომ საქართველოს ასეთი პრემიერ-მინისტრი ჰყავდა!

***— რას გულისხმობთ? დააკონკრეტეთ!***

— როდესაც **გახარია** ამბობს, რომ **ბიძინა ივანიშვილი** მის საქმეებში არ ერეოდა; როდესაც **გახარია** გაიძახის, რომ უცხო ქვეყნის ელჩები ფეხებზე ეკიდა და ამ დროს, დილის 10 საათზე **ამერიკის ელჩი** იბარებს და ეუბნება, რომ უნდა გადადგეო, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სამარცხვინო პიროვნება ხარ! გინდათ, გითხრათ, **გიორგი გახარია** სინამდვილეში რისთვის გადადგა?

***— ბრძანეთ!***

— ცხადია, **გახარიამ** ამის შესახებ კომისიას არ უთხრა, მაგრამ გეტყვით, მანდ რაც მოხდა! იმ პერიოდში ოპოზიცია ასე გასაცოდავებული და გაუბედურებული არ ყოფილა და ცოტა უფრო მოძლიერებული იყო. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა ელჩმა საქართველოში **კელი დეგნანმა,** რომელიც ნამდვილი სალდაფონი იყო, იფიქრა, რომ ოპოზიციას შესაძლოა, რაღაც გამოეთხარა, თუ მას ეყოლებოდა წონიანი პოლიტიკური ფიგურა. სწორედ ამიტომ იყო, რომ **გიორგი გახარია** ამერიკის საელჩოში დაიბარეს და უთხრეს — **შენ იქნები ის ფიგურა, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგე ოპოზიციას და დაამხო „ქართული ოცნება", მაგრამ პრემიერ-მინისტრად რომ დაბრუნდე, ამისათვის ახლავე უნდა გადად-**




## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები **უცხოელი აგენტები არიან,** ამიტომ მოქმედებენ დაკვეთით **საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ!**

„პირველი არხი"



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

კანონში გაიწერება, რომ **პარტია, როდესაც არაკონსტიტუციურად ცხადდება,** თუ იგივე ადამიანები იმავე მიზნებით სხვა სახელს დაირქმევენ, **ეს ჩვეულებრივი თაღლითობაა,** რაც არ უნდა დავუშვათ.

„პირველი არხი"



**თეა წულუკიანი**
*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე*

**სააკაშვილი ისტორიაში ვერ შევა,** როგორც თანამედროვე სახელმწიფოს დამფუძნებელი, **ის ისტორიაში შევა,** როგორც **მწამებელი,** რომელმაც **ააშენა საკუთარ თავსა და ოჯახზე მორგებული მაფიოზური სახელმწიფო.** მისი ადგილი იქაც კი არ არის, სადაც ის არის საავადმყოფოში, **მისი ადგილი არის საკანში.**

„იმედინიუსი"



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

ნაცმოძრაობას და მის კლასტერს **ჯერ ხალხი გასცემს საკადრის პასუხს** და მერე **ჩვენ გავცემთ ჩვენი საკონსტიტუციო სარჩელით,** ნაცების პარტიები აიკრძალება წელსვე.

„იმედინიუსი"



**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*

**ნუ გავხდებით ჩვენი ქვეყნის გამყიდველები.** დღეს ვინც უცხოეთის პარლამენტებში დადის და **თავის ქვეყანაზე ცუდს ლაპარაკობს,** ამას შედეგი რა მოაქვს? — **სანქციები, სანქციები და სანქციები.** მერე ვის ხვდება ეს სანქციები? — თქვენს შვილებს და ქვეყანა აღარ ვითარდება. **ნუ ვიქნებით 30 ვერცხლის მოყვარულები.** მოეშვას უცხოეთი ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევას. **რამდენი გამყიდველიც არ უნდა იპოვონ, ჩვენ მოვერევით იმათაც და ამათაც.**

„აიპრესი"



# „ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ?“

## „ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ 50-ᲐᲗᲐᲡᲚᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲮᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲝᲓᲘ!“

**ᲑᲔ!** გახარია იმიტომაც გადადგა მოულოდნელად და თავისი ამ გადაწყვეტილებით სცადა ხელისუფლების ჩამოშლა. მაგრამ ხელისუფლება მაშინ არ ჩამოიშალა და **ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲡ** საქართველოში გადატრიალების მოწყობის გეგმა ჩაუფლავდა!

**— იცით, რას ვერ ვხვდები? თუ გახარიამ ხალხს თვალები დათხარა; თუ საქართველოს სოფელ ჩორჩანასთან საგუშაგოს პროვოკაციული გახსნით ტერიტორია დააკარგვინა; თუ ვახტანგ გომელაურს არ ემორჩილებოდა და არ უსმენდა; თუ თავიდანვე აგენტი იყო, მაშინ ასეთი კაცი პრემიერ-მინისტრად რატომ დანიშნეს?**

— გთხოვთ, დაბეჭდოთ ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული არიან **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** იმ მომენტში, როცა ბიძინა მას პრემიერ-მინისტრად ასახელებს. დააკვირდით **ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ** სახეს და დააკვირდით **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ,** თუ როგორ უყურებს ბიძინას! **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲘᲜᲔᲡ.** ბიძინას გახარიას პრემიერობა ცოცხალი თავით არ უნდოდა! მოკლედ, **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ 50-ᲐᲗᲐᲡᲚᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲮᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲝᲓᲘ.** აღმოჩნდა, რომ **ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** ყველაფერთან ერთად უჭკუოც ყოფილა. **ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ** გახარიას ათქმევინა ის, რისი თქმაც მას ცოცხალი თავით არ უნდოდა!

**— გიორგი გახარია 50-ათასლარიან გირაოს საიდან გადაიხდიდა? ამერიკელები ფულს უკვე ველარ მისცემდნენ!**

— (იცინის) მაგათთვის 50 ათასი ლარი სასაცილო თანხაა... ცნობისათვის, **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ** პრემიერ-მინისტრობიდან რომ გადადგა, პარიზში ბინა იყიდა!

**— რაც 9 აპრილს მოხდა, როცა პაატა ბურჭულაძემ თამრიკო ჭოველიძის მასწავლებელი არ მიუშვა დალუპულთა ძეგლთან, ამას როგორ აფასებთ?**

— ვინც ეს მოიფიქრა, ის ყველაფერზეა წამსვლელი! არ მეგონა, თუ **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ** ასე გაანიავებდა და ლაფში ამოსვრიდა თავის სახელს. თან, ვინ არ უშვებდა 9 აპრილის მემორიალთან ხალხს? ვინმე **ᲐᲜᲘ ᲡᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ,** რომელიც წლების წინათ მემორილაზე აძვრა და როკავდა! **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔᲛ** 9 აპრილს მოწყობილი აქციით ოპოზიციას ჰარაკირი გააკეთებინა და საკუთარი თავიც დაისამარა!

**— თუ არავინ დასაჯეს და დამნაშავენი ციხეში არ გაუშვეს, მაშინ თეა წულუკიანის კომისიას ფარსად ქცევის საფრთხე ხომ არ ემუქრება?**

— კომისიას განცხადებით მიმართა აკადემიკოსმა **ᲚᲘᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ,** რათა შეისწავლონ და გამოიძიონ სააკაშვილის ხროვის მიერ უნივერსიტეტში ჩატარებული რეპრესიები, როცა ახალგაზრდა პროფესორ **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲡ** სალაროსთან გული გაუსკდა, რადგან უთხრეს, რომ უნივერსიტეტიდან გათავისუფლებული იყო! კომისიას უკვე მიმართა „ინჟმშენის“ გენერალურმა დირექტორმა **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔᲛ,** რომელიც დაიჭირეს, ციხეში ე.წ. „ღამის ნოტარიუსი“ მიუყვანეს, წილები გადააფორმებინეს, ყველაფერი წაართვეს და გააუბედურეს; თქვენი კოლეგა, ცნობილი ჟურნალისტი **ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ** კომისიას პრესით მიმართავს — **ᲓᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔᲗᲝ!** ნუთუ კომისია არ უნდა დაინტერესდეს ქალბატონი **ᲛᲐᲘᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ** ბედით, რომელიც სააკაშვილის ბანდამ ტყუილუბრალოდ დაიჭირა და ციხეში ტანჯა?

ნუთუ კომისიამ არ უნდა მოისმინოს მე, რომელმაც უკვე მას განცხადებით მივმართე? **ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲔ,** რომელსაც დღეს ეს ე.წ. ლიბერალები აღმერთებენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგების კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო! კომკავშირის მდივანი **ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲔ** არ იყო, სააკაშვილის მგალობელ ზოგიერთ ჟურნალისტს შავი დღე რომ აყარა? **ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ** საერთოდ ვისზე რას ლაპარაკობს და ხმას როგორ იღებს, გეპეის კომკავშირის მდივანი იყო, ჩემზე პატარა ხელფასი ჰქონდა, მაგრამ მე რატომღაც ვერ გავხდი მილიონერი!

**ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲡ** მინდა, ვუთხრა — ნანუკა, შვილო, მამაშენი წყალტუბოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო და მერე განყოფილებაშიც მუშაობდა! რა გინდა, შვილო, ამ კომკავშირელებს რომ დაერიე, ზოგი მოგწონს და ზოგი — არა? ყველამ კარგად დაიმახსოვროს და არავის არაფერი შეეშალოს: **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲟᲘᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ! ᲡᲔᲡᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ** კომკავშირის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი იყო, რომელიც 1989 წლის 8 აპრილს პარტიული აქტივის კრებაზე გამოვიდა და ყველას დაუპირისპირდა. **ᲡᲔᲡᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ** და მთელი ახალგაზრდობა იქ ვიყავით 9 აპრილს და ვინც **ᲡᲔᲡᲘᲚᲘ** სცენაზე არ აუშვა, ის მერე **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ** ავტომატს ესროდა! ჩვენ არ აგვირჩევია ფორმაცია და დაბადების ადგილი — საბჭოთა კავშირი.

## ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲝᲤᲚᲘᲡᲦᲕᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲦᲕᲠᲐ!

*ესაუბრა* ***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲖᲐᲠᲥᲣᲐ**
*პარლამენტარი*



რეჟიმი გასამართლდება თავიდან ბოლომდე და პირობა, რომელიც დავდეთ, ბოლომდე მივა, უბრალოდ, მანამდე, მორიგ ჯერზე, **ქართველი ამომრჩეველი რეჟიმს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გაასამართლებს.**

„რუსთავი-2“

**ᲡᲝᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**დღეს რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოეშვა,** რაც მათ შეცდომად მიაჩნიათ, რომ **ვიდაცები ცოცხლები გადარჩნენ,** ამ თავის „შეცდომებს“ გამოასწორებენ იმით, რომ **სისხლის კალოს გალეწავენ ქვეყანაში.**

„იმედინიუსი“

**[illegible]**
*[illegible]*



ზუსტად 12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2013 წლის 11 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლოში დავამარცხე ბაქრაძისა და უსუფაშვილის საქართველოს პარლამენტი. **ჩემი ბრძოლა გრძელდება, 2015 წლიდან დღესაც მბლოკავენ,** რომ სამშობლოს გულში სიტყვა ქართული არ წარმოჩინდეს. **ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!**



ქრისტე მაცხოვარი. მე-12 საუკუნე

*ხედავ ამათ დიდ-დიდთა შენებულთა?*
*არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა,*
*რომელი არა დაირღუეს.*

***მარკოზი 13,2***

**არ დაშთება ქვასა ზედა**
**ქვა,**
**თუ უფალს არა სწადის, —**
**გავცქერ**
**ზეთისხილის ზეგანს,**
**გამოკიდულს ციდან ცამდი.**
**გესმოდიან ბრძოლანი და**
**კვლავ ჭამბავნი**
**ბრძოლათანი,**
**არეკლილი ოლარიდან**
**მზე მასხურე ცოტა ხანი,**
**განმარიდე ავი სენი,**
**ოდეს მტერსაც შევიყვარებ,**
**ბოროტისგან დამიხსენი,**
**განსაცდელს ნუ შემიყვანებ,**
**რომ განვაგდო ასე ახლო**
**მოპარული ცრუმეტყველი,**
**ვარსკვლავებიც დამენახონ,**
**ჯერაც ციდან უბერტყველი, —**
**გავაგონო**
**უფალს ეს ხმა**
**გალობითა სამხმოვანით:**
**თუ ფოთოლნი გამოესხას**
**ლელვს,**
**ზაფხულიც ახლო არის,**
**რომ აღდგომას გარდაუვალს**
**ცეცხლით,**
**ღმერთის განაჩენით, —**
**ტაძრისაკენ ლოცვით უვალს**
**გზა ეხილოს გადარჩენის!**

**არ დაშთება ქვასა ზედა**
**ქვა,**
**თუ უფალს არა სწადის, —**
**გავცქერ**
**ზეთისხილის ზეგანს,**
**გამოკიდულს ციდან ცამდი.**

***ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ***

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც

***როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტში თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მოქმედ დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2003-2012 წლებში ჩადენილ დანაშაულებს სწავლობს, მანდატი გაუფართოვდა და უფლება მიენიჭა, ნაცმოძრაობის მიერ 2012 წლის შემდეგ ჩადენილი დანაშაულებიც გამოიკვლიოს.***

*სწორედ ამ მანდატის ფარგლებში, 2025 წლის 14 აპრილს საგამოძიებო კომისიამ განიხილა 2019 წლის 20 ივნისს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები, რომელიც **„გავრილოვის ღამის“** სახელით არის ცნობილი. კერძოდ, საუბარია ნაცმოძრაობისა და მისი იმჟამინდელი თავმჯდომარის — **ნიკა მელიას** ორგანიზებით, პარლამენტის შენობის შტურმით აღების მცდელობაზე, რასაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაქცია — ძალადობრივი აქციის დაშლა მოჰყვა.*

*საგამოძიებო კომისიაზე გამოსაკითხად იყო დაბარებული საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია,** რომელსაც 2019 წლის 20 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა და პარლამენტის შენობაზე შტურმის აღკვეთას პირადად ხელმძღვანელობდა.*

ცხადია, **არსებობდა მოლოდინი, რომ საგამოძიებო კომისიის წევრები მძიმე კითხვების წნეხში გაატარებდნენ დღეს უკვე ოპოზიციური პარტიის ლიდერ გახარიას, რომელიც 2021 წლის 18 თებერვალს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან სრულიად მოულოდნელად გადადგა და მიზეზად ნიკა მელიას დაკავების საკითხზე გუნდთან არსებული უთანხმოება დაასახელა, თუმცა, იმან, რაც საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოხდა, *ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!***

*სხვანაირად რომ ვთქვათ, **„ქართული ოცნების“ მიერ გუნდისა და სახელმწიფოს მოღალატედ შერაცხილი გახარიას საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგომა იმაზე ბევრად ხმაურიანი და სკანდალური გამოდგა, ვიდრე მოსალოდნელი იყო!***

*რა თქმა უნდა, **გახარიამაც** მშვენივრად იცოდა, კომისიის წევრებისაგან, უპირველესად კი, თეა წულუკიანისაგან რა ქარცეცხლიც მოელოდა და ამიტომ, გადაწყვიტა, ემოქმედა ცნობილი ტაქტიკით — **თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა!***

*ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **გახარიამ** მისთვის დამახასიათებელ აროგანტულობას, რაც ხშირად ცინიზმსა და ოპონენტის დამცირების მცდელობაში გადაეზრდება ხოლმე, არც ამჯერად უღალატა და კომისიის ზოგიერთ წევრს აგდებულად ესაუბრებოდა. იგი მათ სახელების მაგივრად **„ბატონო კომისიის წევრო“**-თი მიმართავდა, აქაოდა — თქვენი სახელები არ ვიცი, არ გიცნობთ და არც მაინტერესებს, ვინ ხართო!*

*საბოლოო ჯამში, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე **გიორგი გახარიას** დაკითხვა, რომელიც 6 საათის განმავლობაში გრძელდებოდა და რომლის დროსაც მან 39-ჯერ გამოიყენა სიტყვათშეთანხმება — **„არ მახსოვს“** — შეგვიძლია, ლაკონურად ასე შევაფასოთ — **მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!***

*__თეა წულუკიანის__ შესავალი სიტყვის შემდეგ, **გიორგი გახარიამ** საუბარი კომისიის წევრების დამუნათებით დაიწყო და მიუთითა —* ***თუ მართლა ობიექტურები ხართ და 20 ივნისის საქმეზე სიმართლის დადგენა გაინტერესებთ, ჩემთან ერთად სხვებიც უნდა დაჰკითხოთო:***

— ვთვლი, რომ ფართო კონტექსტის გასააზრებლად, ჩემთან ერთად ამ კომისიამ უნდა გამოკითხოს **ივანიშვილი,** უნდა გამოკითხოს **გავრილოვის ჩამომყვანი და მასპინძელი, ადამიანი,** რომელმაც აიღო ყველა პასუხისმგებლობა თავის თავზე, რომ გავრილოვის ჩამოყვანის შედეგად შექმნილი რისკები არ იქნებოდა დამაზიანებელი, იქნებოდა მართვადი და ამის შემდგომ გაიპარა.

მე ვთვლი, რომ უნდა გამოკითხოთ **გენერალური პროკურორი,** რომელიც ამდენი ხანი იძიებდა ამ საქმეს და სტრასბურგმა სწორედ ამაზე მიანიშნა, რომ გამოძიება არის გახანგრძლივებული.

მე ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა გამოკითხოთ **სუს-ის ხელმძღვანელი,** რომელსაც წინასწარ უნდა გადაეზღვია ეს რისკები, რაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა და ინფორმაცია მიეწოდებინა სხვადასხვა უწყებებისთვის.

**მე არ ვიცი, თქვენ ამას გააკეთებთ თუ არა, მაგრამ თქვენ თუ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ეს კომისია იქნება ნახევარი სიმართლის კომისია და შესაბამისად, ტყუილი სიმართლე!**

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ

## 20 ივნისს მე ამ შენობაში ვიცავდი სახელმწიფოს. არა — პარტიას, არა — ხელისუფლებას, არა — ცალკეულ ადამიანებს, არამედ ვიცავდი სახელმწიფოს!

აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით და პასუხს ვაგებ თითოეულ სიტყვაზე, რომელსაც ვამბობ — **მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ გავრილოვის აღმოჩენა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში იყო იდიოტური შეცდომა, მაგრამ დღეს უკვე ასე აღარ ვფიქრობ, იმიტომ, რომ ის პროცესები, რაც შემდგომ მოხდა — 2021 წლის 18 თებერვალს, ჩემი გადადგომის ღამეს, ძალიან იდენტურად იმეორებდა ყველაფერს, რაც მოხდა 20 ივნისს და ამის ცოცხალი მაგალითი ხართ თქვენ, ქალბატონო თავმჯდომარე.** გაგახსენებთ და მეც სულ ახლახან გამახსენდა, რომ სწორედ იმ ღამეს თქვენ, როგორც სხვა ბევრი, როცა ინფორმაციას გაწვდიდით და საქმის კურსში გაყენებდით მიმდინარე ოპერატიულ მდგომარეობაზე, როგორც პოლიტსაბჭოს, ასევე მთავრობას, უმრავლესობა ემხრობოდით იმ პოზიციას, რომ იმ ფორმით და იმ ღამეს **მელიას** დაკავება იქნებოდა შეცდომა. ზუსტად მახსოვს თქვენი სიტყვები, რომ თქვენ, როგორც ყოფილი იუსტიციის მინისტრი, ნაცების ოფისს მიანიჭებდით პენიტენციური დაწესებულების ნომერს. თუმცა, მაშინ, **2021 წლის 18 თებერვალს, უჩინარი კაცი, როგორც ჩანს, ჩაერთო პროცესების მართვაში,** თქვენ ყველას შეგაცვლევინათ აზრი და ზუსტად ერთ საათში ყველა თქვენგანი გაქრა.

20 ივნისთან დაკავშირებით, **ქალბატონო თავმჯდომარე, მე ორჯერ მაქვს მიცემული ჩვენება საქართველოს პროკურატურაში და მე ჩემს ჩვენებებს ასე არ ვცვლი.** იმედი მაქვს, გამოთხოვილი გაქვთ მასალები და ნანახი გაქვთ ჩემი დაკითხვა და გაცემული პასუხები. იმედი მაქვს, რომ ამ სხდომისთვის მოემზადეთ.

გულწრფელად გეუბნებით, **ქალბატონო თეა,** მე დღეს აქ მოსვლას არ ვაპირებდი. უბრალოდ, ამ კომისიის მანდატი და კონტექსტი არ მესმის.

## თუ თქვენ არ გაინტერესებთ, ვინ გასცა ბრძანება პარლამენტის შტურმის შესახებ და სხვა საქმეებშიც, რასაც მე კომისიის მუშაობას თვალს ვადევნებ, მთავარ ფიგურანტებს – ნაცების წარმომადგენლებს, უბრალოდ, არ ეძახით, თქვენ არ აპირებთ ნაცების გასამართლებას ან აკრძალვას.

მე არ ვიცი, თქვენ რას აპირებთ. **მე ვხედავ, რომ თქვენ ამ კომისიას იყენებთ ჰიბრიდული ომისთვის, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის საქართველოს მოქალაქეებზე.** ზუსტად მსგავსი რამ მოხდა ისეთი სიმბოლური გმირის, როგორიც არის **ანწუხელიძე,** გმირობის გაუფასურების კონტექსტში. გულწრფელად ვამბობ, არ ვამეტებ არცერთ სიტყვას — მაშინ

## ჩავთვალე, რომ მე ვარ ვალდებული მოვიდე აქ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ამ კომისიას ვაღიარებ, მაგრამ მე ვაღიარებ იმას, რომ ამ კომისიის ჰიბრიდული ზემოქმედების ძალა საქართველოს მოქალაქეებზე, სამწუხაროდ, მუშაობს.

მე უნდა გავაკეთო ყველაფერი, სადაც შემიძლია, როგორც შემიძლია, ჩემი განსხვავებული აზრი დავაფიქსირო.

თეა წულუკიანი: — **ბატონო გიორგი,** მე მგონი, ჩვენი გასაუბრება გაცილებით უფრო რთული იქნება, ვიდრე მეგონა. **გასაგებია, რომ, ალბათ, თქვენ ღელავთ და გადმოხვედით პირდაპირ თავდასხმაზე.**

თქვენ თან იძახით, რომ პარლამენტს არ აღიარებთ და თან მოხვედით პარლამენტში. **მოდით, თქვენ თქვენს აზრზე დარჩით, ჩვენ ჩვენს აზრზე დავრჩებით და საზოგადოება თავის დასკვნებს გააკეთებს.** თქვენ თუ აქ ხართ არაღიარებული ორგანოს წინაშე, მაშინ პოლიტიკურად რაღაცების გაგების პრობლემა გაქვთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენ გამოცხადდით კომისიის წინაშე, **მე — თავმჯდომარე ვალდებული ვარ, მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის და ეს არის მკაფიო ნიშანი იმისა, რომ თქვენ და თქვენი გუნდის წევრები, რომლებსაც დღემდე არ გაქვთ შეწყვეტილი პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და სტატუსი, ვინაიდან საამისოდ ნება ჯერ არ გამოგიხატავთ, მოდიხართ და ჩვენთან ახსნა-განმარტებებს იძლევით. ეს არის მხოლოდ დადებითი.**

მე კიდევ ერთხელ გაგაფრთხილებთ — თავს ნუ აარიდებთ კითხვებზე პასუხს, რაც თქვენ შესავალ სიტყვაში უკვე გააკეთეთ, **ბატონო გიორგი!..** როცა საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის ან აღდგენა, ან დაცვა, როგორც წესი, მინისტრის მიერ გამოიცემა ბრძანება. თქვენ ასეთი ბრძანება გამოეცით, **როდის გამოეცით, რას ითვალისწინებდა და როგორ განვითარდა მოვლენები?**

გიორგი გახარია: — კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მე ამის შესახებ ყველაფერზე მაქვს ჩვენება მიცემული საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. რა თქმა უნდა, მესმის კომისიის ფორმალური მანდატი, მაგრამ ასევე მესმის, რომ კომისია გამოძიებას ვერ ჩაანაცვლებს, ამაზე ვთანხმდებით.

თეა წულუკიანი: — არა, ჩვენ ამაზე ვერ ვთანხმდებით, თქვენი აზრია ეს!

გიორგი გახარია: — კი, კი, კი ბატონო, ასე ჩათვალეთ, მე არა მაქვს თქვენი აზრის შეცვლის პრეტენზია. რა თქმა უნდა, ბრძანება იყო გამოცემული, ეს იყო სპეციალური გეგმა, რა თქმა უნდა, ამ ბრძანებას ხელს ვაწერდით **მე და ჩემი მოადგილეები.** შემიძლია გითხრათ, რომ გეგმის შესაბამისად წავიდა იმ ღამეს ოპერატიული ქმედებების ბევრი ნაწილი, ზოგი გამოვიდა გეგმის ფარგლებიდან, შემდგომ გეგმისვე ფარგლებში დაბრუნდა. საბოლოო ჯამში, ეს იყო შტურმი პირველად ხელისუფლების ფუნქციონირების მერვე თუ მეცხრე წელს. არ არსებობს სპეციალური ღონისძიება, რომელიც იდეალურად და 100 პროცენტით გეგმის შესაბამისად ჩატარდება, ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენც ვაღიარებდით, რომ იქ იყო ცალკეული გადაცდომები და შესაბამისად, მიმდინარეობდა ცალკეული გამოძიებები.

თეა წულუკიანი: **— ბრძანება სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით ვინ გასცა?**

გიორგი გახარია: — ბრძანება სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისი გეგმის და პოლიციის შესახებ კანონის შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ეხებოდა ცრემლსადენ გაზსა და წყლის ჭავლს, **გავეცი მე.** სხვა შემთხვევებში, სპეციალური საშუალებების გამოყენების ბრძანება **არც მე და არც ჩემს მოადგილეებს არ გაუციათ.**

თეა წულუკიანი: **— შესაბამისად, თქვენ ამბობთ, რომ ადგილზე მყოფმა კონკრეტულმა შეიარაღებულმა დანაყოფებმა ან წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წყლისა და ცრემლსადენი გაზის გარდა სხვა საშუალებების, მათ შორის, რეზინის ტყვიების გამოყენებაზე?**

გიორგი გახარია: — მე ვამბობ იმას, რასაც ვამბობ — **ასეთი ბრძანება არც მე და არც ჩემს მოადგილეებს არ გაუციათ!**

თეა წულუკიანი: **— მაგრამ თქვენთვის ცნობილია, ვინ გასცა ეს ბრძანება თუ თვითნებობას ჰქონდა ადგილი?**

გიორგი გახარია: — მე რომ მცოდნოდა, ასეთი ბრძანება არსებობდა ან ვინმემ გასცა, რა თქმა უნდა, მე ამას დაკითხვის დროს გამოძიებას შევატყობინებდი.

თეა წულუკიანი: **— შესაბამისად, სხვას თქვენს ადგილას ასეთი ბრძანება არ გაუცია?**




## რეპორტაჟი საგამოძიებო

# საქართველოს არ უნახავს!

**გიორგი გახარია:** — შესაბამისად, ამის შესახებ მე არ ვიცი!

**თეა წულუკიანი: — ეჭვი გაქვთ, რომ სხვამ გასცა ბრძანება, როცა თქვენ იყავით შინაგან საქმეთა მინისტრი?**

**გიორგი გახარია:** — მე არაფერი არა მაქვს, მე ვამბობ, რომ, შესაბამისად, მე არ ვიცი!

**თეა წულუკიანი: — გასაგებია! რა თანმიმდევრობით გამოიყენეთ სხვადასხვა საშუალებები, რომლებზეც თქვენ გაეცით ბრძანება?**

**გიორგი გახარია:** — ზუსტად იმ თანმიმდევრობით, როგორიც არის პოლიციის შესახებ კანონში: ჯერ — ცრემლსადენი გაზი, შემდგომ — წყლის ჭავლი.

**თეა წულუკიანი: — ტყვიები რა მომენტში იქნა გამოყენებული?**

**გიორგი გახარია:** — როგორც მახსოვს, ეს მოხდა სადღაც შუაში.

**თეა წულუკიანი: — ცრემლსადენ გაზსა და წყალს შორის?**

**გიორგი გახარია:** — დიახ!

**თეა წულუკიანი: — გასაგებია! თქვენ ამ დროს სად იმყოფებოდით? ოპერაციას სამინისტროდან მართავდით თუ პარლამენტის შენობიდან?**

**გიორგი გახარია:** — ნაწილობრივ — სამინისტროდან, შემდგომ — პარლამენტში, რომელიც დაცლილი იყო, სხვათაშორის... გატენილი იყო ნაცებით და „ქართული ოცნების“ არცერთი წარმომადგენელი აქ არ იყო. შემდგომ ძლივს ვეძებეთ და ცალ-ცალკე ვეცადეთ, რომ „ოცნების“ წარმომადგენლები შენობაში დაგვებრუნებინა. ესეც სიმართლეა.

**თეა წულუკიანი: — დღეს საქართველოს პარლამენტის შენობაში, როგორც ასეთი, პრემიერ-მინისტრს თუ მთავრობის სხვა წევრებს, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრს ცალკე გამოყოფილი სამუშაო სივრცე არ აქვს. იმ დროს თუ იყო რაღაცა სპეციალური სივრცე, რომლის გასაღებსაც თქვენ ფლობდით, გააღეთ, შეხვედით და იქიდან მუშაობდით თუ ვინმე სხვა ადამიანის კაბინეტში იყავით?**

**გიორგი გახარია:** — არ მახსოვს, რაიმე სივრცე რომ ყოფილიყო მთავრობისთვის ან ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, არ ყოფილა. რომელიღაც კაბინეტში ვიყავით, არ მახსოვს, რომელი კაბინეტი იყო.

**თეა წულუკიანი: — ანუ სამუშაო პირობები შექმნილი იყო და დერეფანში არ გიწევდათ მუშაობა!**

**გიორგი გახარია:** — შტურმი იყო, **ქალბატონო თავმჯდომარე,** ბრძოლა და იქ სამუშაო პირობები რა იყო და როგორ იყო, წარმოდგენა არა მაქვს, არც მახსოვს, სიმართლე გითხრათ.

*როგორც ხედავთ,* ***გახარიას*** *პასუხებში აქტიურად გამოჩნდა სიტყვები —* ***„არ მახსოვს“!***

*თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და* ***„არ მახსოვს“****-ის მთელი კასკადი ჯერ კიდევ წინ არის!*

*თანაც,* ***გახარია*** *ისეთ რაღაცებზე იტყვის —* ***არ მახსოვსო,*** *მარტო კომისიის წევრებს კი არა, თქვენც გაგიკვირდებათ, პატივცემულო მკითხველო —* ***როგორ შეიძლება, მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირსა და უაღრესად კრიტიკული პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პერსონას ასეთი მნიშვნელოვანი გარემოებები და დეტალები დაავიწყდესო!***

**თეა წულუკიანი: — იმ დროს პარლამენტში თქვენს გარემოცვაში ვინ იმყოფებოდა, მოადგილეები, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, გარეშე პირები, დეპუტატები თუ ვინ, ხომ არ გახსოვთ?**

**გიორგი გახარია:** — ჩემი მოადგილეები — **საბანაძე, ბორცვაძე.** დანარჩენები **არ მახსოვს.** ვიღაცა მიდიოდა, ვიღაცა მოდიოდა, ერთი ოთახიდან მეორეში გადავდიოდით, მეორედან — მესამეში, ეს არ იყო დაგეგმილი სპეციალური ღონისძიება ან დაგეგმილი რაღაც შტურმი, ეს იყო სპონტანური, მძიმე ღამე, რომელიც... არ ვიტყვი ახლა კიდევ ყველაფერს.

**თეა წულუკიანი: — ჩვენ ასე გვასწავლიან და ასე ვიცით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, მისი მოადგილეებისთვის და სისტემისთვის თუნდაც უმძიმესი შტურმის მოგერიება ვერ იქნება სპონტანური, ეს უნდა იყოს მკაცრად გაწერილი ღონისძიება, სპეცოპერაცია, როდესაც ყველას თავისი როლი და ფუნქცია აქვს... თქვენ ბრძანეთ, რომ პირადად ბრძანება გაეცით შტურმის მოგერიების მიზნით ისეთი სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე, როგორიც არის ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი. რაც შეეხება რეზინის ტყვიებს, რომელთა გამოყენების გამო დადგა არაერთი ადამიანის ცხოვრებაში უმძიმესი დრო, ისინი დასახიჩრდნენ და, რეალურად, ის მომავალი, რომელიც მათ თავიანთი თავისთვის ეიმედებოდათ, აღარ აქვთ** (რომლის გამოც სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა დაუდგინა საქართველოს და დაავალა უფრო დეტალურად საქმის გამოძიება). **თქვენ ამბობთ, რომ აი, ამის გამომწვევი ტყვიების გამოყენების ბრძანება თქვენ არ გაგიციათ, არც ის იცით, ბრძანება არსებობდა თუ არა და ადგილზე ხომ არ მიიღო კონკრეტულმა სპეცდანაყოფის წარმომადგენელმა ასეთი გადაწყვეტილება...**

**გიორგი გახარია: — მე ეს არ მითქვამს!**

**თეა წულუკიანი: — მაშინ, რა თქვით?**

**გიორგი გახარია:** — მე ვთქვი, რომ **არც მე და არც ჩემს მოადგილეებს ეს ბრძანება არ გაუციათ.** დანარჩენი ყველაფერი, თქვენ რაც თქვით ახლა, თქვენი ინტერპრეტაციაა. რაც შეეხება გამოყენების შემთხვევებს, ეს იყო თვითმოგერიების გამოყენების კონტექსტში გამოყენებული ტყვიები. თუ იყო გადაცდომები, ამის თაობაზე ჩატარდა შესაბამისი გამოძიებები, თუ არა და, 6 წელი გავიდა და თქვენც შეგეძლოთ, ეს გამოგეძიებინათ.

**თეა წულუკიანი: — როდესაც თქვენ შეიტყვეთ, რომ რეზინის ტყვიები იყო გამოყენებული, როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

**გიორგი გახარია:** — ამის შემდგომ რეაქცია იყო ბრძანების გაცემა, რომ რეზინის ტყვიების სროლა მაქსიმალურად ყველას შეეწყვიტა და კატეგორიულად იყო გაფრთხილებული ყველა, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ან მოქალაქეების სიცოცხლეს პირდაპირი რისკი დაემუქრებოდა, პოლიციის კანონის შესაბამისად ემოქმედათ. **ეს ბრძანება მე გადავეცი ჩემს მოადგილეებს.**

**თეა წულუკიანი: — რომელ მოადგილეს მიეცით ეს ბრძანება, რა ფორმით გაეცით და რამდენად სწორად მივიდა კონკრეტულ ინდივიდებამდე, ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი?**

**გიორგი გახარია:** — როგორც მახსოვს — რაციით, იმიტომ, რომ მაშინ კავშირგაბმულობის პრობლემები იყო. შესაბამისად, ვინც რაციაზე იყო, ყველა გაიგებდა ამას.

**თეა წულუკიანი: — რაციაზე ვინ იყო?**

**გიორგი გახარია:** — მოადგილეები და ხელმძღვანელი თანამდებობის პირები. არ მახსოვს ეხლა გვარები, 6 წელია უკვე გასული.

**თეა წულუკიანი: — და იქიდან შემოვიდა დასტური — მიღებულია, გასაგებიაო?**

**გიორგი გახარია:** — დიახ!

**თეა წულუკიანი: — ამის შემდეგ აღარ ყოფილა რეზინის ტყვიები გამოყენებული?**

**გიორგი გახარია:** — არა, ამის შემდგომაც იყო რეზინის ტყვიები გამოყენებული.

**თეა წულუკიანი: — როდესაც აკრძალვის შესახებ ბრძანება გაეცით, თქვენთან ერთად ვინმე იმყოფებოდა ამ დროს?**

**გიორგი გახარია:** — არ მახსოვს!

**თეა წულუკიანი: — ვინმე დაადასტურებს, რომ ეს ბრძანება გაეცით?**

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვს!** ეს თუ გავეცი რაციით, გამოძიებაში იქნება.

*საგამოძიებო კომისიის წევრი, პოლიციის გენერალი* ***ალექსანდრე ტაბატაძე,*** *რომელსაც ძალოვან სტრუქტურებში ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, გახარიას ეუბნება —* ***პარლამენტის შენობაზე შტურმი 2019 წლის 20 ივნისის შემდეგაც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები პარლამენტის შენობის ჭებირს გარეთ არასოდეს დაუყენებია, რათა ისინი მომიტინგეების პირისპირ არ აღმოჩენილიყვნენო!***

***გენერალმა ტაბატაძემ გახარიას*** *მიუთითა სხვა სახის შეცდომებზეც, რომლებიც მისადმი დაქვემდებარებულმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20 ივნისის ძალადობრივი აქციის დაშლისას დაუშვა — რეგიონებიდან საპოლიციო ძალების ჩამოყვანა დააგვიანეთო, პრევენციული ღონისძიებები არ გაატარეთ და მომიტინგეების წინააღმდეგ სპეციალური საშუალებები არასწორი თანმიმდევრობით გამოიყენეთო...*

***გახარიას*** *ერთგვარი დაბნეულობა და მწვავე რეაქცია განსაკუთრებით იმ კითხვამ გამოიწვია, რომელიც* ***ალექსანდრე ტაბატაძემ*** *რეზინის ტყვიებთან დაკავშირებით დაუსვა:*

**— თქვენ თუ იცით, რომ იმ რეზინის ტყვიებში არსებობდა განსხვავებები... არსებობს რეზინის ტყვია, რომელიც არის უფრო ნაკლებად დამაზიანებელი და არსებობს ასევე ტყვია, რომელიც არის ძალიან ხისტი და იწვევს ძალიან მძიმე შედეგებს. მე ვიცი ასეთი რამე — როდესაც აღარ იყო უკვე რეზინის ტყვიები, ე.წ. საწყობიდან მოიხმარეს იმ თანამშრომლებმა ვანო მერაბიშვილის დროს შემოტანილი ისეთი რეზინის ტყვიები, რომელიც იყო ძალიან მკვრივი და იმიტომაც გვყავდა ამდენი დაზარალებული. თუ იცოდით ამის შესახებ?**

**გიორგი გახარია:** — ვერ მივხვდი ახლა, ეს რაღაცა ვარაუდია... მე რა მაინტერესებს, **ქალბატონო თავმჯდომარე,** ეს საქმის მასალები გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც 6 წელია მიმდინარეობს, ყველას მოგეხსენებათ, რომ გრიფით საიდუმლოა. თქვენ განსაიდუმლოებული გაქვთ ეს მასალები, ამაზე აქ ახლა რომ ვსაუბრობთ? სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩავიდინოთ ყველამ ერთად.

**თეა წულუკიანი: — ესე იგი, თქვენ ისე დაიწყეთ სხდომა, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილებაში რაც წერია, ის მასწავლეთ და აღმოჩნდა, რომ თქვენ თვითონ არ იცოდით. ბატონი ვახტანგ გომელაურის ბრძანების ასლს მოგაწოდებთ, რომლითაც გრიფი აქვს მოხსნილი.**

**გიორგი გახარია:** — ეს ვიკითხე, მეტი არაფერი.

**თეა წულუკიანი: — მითუმეტეს, გენერალი ტაბატაძე სვამს კითხვებს ისე, რომ არ იცის, გრიფი აქვს თუ არა? ნუ, მოდით, საქმეზე ვისაუბროთ, ბატონო გიორგი!**

**გიორგი გახარია:** — პასუხი ხომ მე უნდა გავცე? **მე არ ვიცოდი, ჩემთვის ეს...**

**თეა წულუკიანი: — არც დასვამდა კითხვას, ალბათ, მაგდენი... კი, თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ „ქართულ ოცნებაში“ არავის არა აქვს ინტელექტიო, მაგრამ წერა-კითხვა ვიცით!**

**გიორგი გახარია:** — ასეთი ვთქვი?

**თეა წულუკიანი: — დიახ!**

**გიორგი გახარია:** — ესე იგი, კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მე ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალური ჩვენებები მაქვს მიცემული. მითუმეტეს, აგერ გრიფი მოხსნილი ყოფილა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩვენებები წაკითხული გაქვთ.

**თეა წულუკიანი: — ნუ არიდებთ თავს კითხვებზე პასუხს! იყო სამი კონკრეტული კითხვა და არაფერი არ ჯდება ის, რომ იგივე ან სხვა პასუხი გასცეთ. ეს საგამოძიებო კომისიაა, ეს არ არის...**

**გიორგი გახარია:** — დროს ვკარგავთ!

**თეა წულუკიანი: — დროს ვკარგავთ? ჩვენ არსად არ გვეჩქარება და თქვენ, მითუმეტეს, სად გეჩქარებათ?**

**გიორგი გახარია:** — ოკეი! გავიგე! რაც შეეხება ამ კითხვას, რომელიც ნაცებმა დაიწყეს და შემდგომ ძალიან მაგრად აიტაცეთ — პოლიციის კორდონი რომ მდგარიყო იქ, შედეგი იქნებოდა სხვა...

**ალექსანდრე ტაბატაძე: — იმიტომ, რომ მანდ 30-მდე პოლიციელი დაზარალდა, შეითრია ჯგუფმა!**

**გიორგი გახარია:** — გაგცემთ პასუხს! მაშინ პარლამენტის შენობა რკინის კედლებით ალყაშემორტყმული არ ყოფილა. არცერთ შესასვლელში რკინის კედლები ჩადგმული არ ყოფილა. თან, გაგახსენებთ, რომ დღის განმავლობაში უკვე ნაცებს გამოცხადებული ჰქონდათ პარლამენტში შევარდნის მიზანი. თუ არ გახსოვთ, ასევე გაგახსენებთ, რომ მათ ერთხელ, როდესაც იქ წინ პატრული იდგა და საერთოდ არ იდგა სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები, შეარღვიეს კიდევაც, მიუხედავად იმ რაღაც ფარატინა სიმბოლური ღობისა. რაც შეეხება ტყვიებს, ტყვიები სად ინახება, როდის ინახება, რა ფორმის არის და რანაირია, ამაზე პასუხს აგებენ შესაბამისი ადამიანები და ამ ყველაფერზეც გაცემული მაქვს პასუხი. თუ არსებობდა გადაცდომები და ვინმეს პასუხი უნდა ეგო, შესაბამისად, გამოძიება უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება **ვანო მერაბიშვილს,** რომელიც ახსენეთ, რომ არ გამეკეთებინა მაშინ ის, რაც გავაკეთე და რაზეც არცერთი ნაბიჯით უკან არ ვიხევ, ეს კომისია იქნებოდა ნაცების კომისია და თქვენ ყველანი იჯდებოდით ჩემთან ერთად ამ მხარეს. დღეს აქ მე რომ ვარ დაბარებული და **ვანო მერაბიშვილი, მიშა სააკაშვილი, ადეიშვილი,** პეტრე, პავლე რომ არ არიან დაბარებული, ეს, უბრალოდ, მიკვირს და დიდ იმედგაცრუებას იწვევს ჩემში.

**ალექსანდრე ტაბატაძე: — მე პოლიციელებს არ ვადანაშაულებ, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის შტურმი მოეგერიებინათ. მესმის, რომ თქვენი სურვილიც სწორედ ეს იყო, მაგრამ გეუბნებით, სწორად არ იყო განხორციელებული მენეჯმენტი-მეთქი. და-**




გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კომისიის სკანდალური სხდომიდან

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

**ახლოებით 2000 პოლიციელი იყავით პარლამენტის ეზოში... გარედან ვისაც შეეძლო სწორედ ამის პრევენცია, რომ პოლიციელებამდე არ მისულიყო, აი, იმ კოლოფებს გეუბნებით ზუსტად, რომ არ იყო შემდგარი და ვერ გაუკეთა დაცვა თუნდაც პარლამენტის შენობას და თუნდაც იმ პოლიციელებს.**

გიორგი გახარია: — **ბატონო ალექსანდრე,** თქვენ, უბრალოდ, ახლა სხვადასხვა საკითხებს ურევთ ერთმანეთში. **თქვენ, როგორც პოლიციის გენერალმა, ჩემზე კარგად იცით, რომ თანმიმდევრულობა იყო შემდეგი — ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი.** წყლის ჭავლს რამხელა კოლოფი, რამდენი ადამიანი და რა სახის დაცვა სჭირდება, ესეც ძალიან კარგად იცით. შესაბამისად, თქვენ თუ მიუთითებთ იმ ხარვეზზე, რომ წყლის ჭავლის ირგვლივ კოლოფის შეკვრა დროში გაჭიანურდა, გიპასუხებთ — **წყლის ჭავლის ირგვლივ კოლოფის შეკვრა უფრო სწრაფად რომ მომხდარიყო, შესაძლებელია, ბევრი რაღაც სხვანაირად წასულიყო, ეს არის და ეს.**

ალუდა ღუდუშაური: — **თქვენ, ალბათ, იცით და თუ არ იცით, გეტყვით, რომ მარტო კითხვებზე არპასუხი არ არის დასჯადი, ურთიერთგამომრიცხავი პასუხებიც დასჯადია, რისი შთაბეჭდილებაც ნამდვილად დატოვა თქვენმა აქ გაცემულმა პასუხებმა, რომ არაფერი ვთქვათ წარსულში თქვენს მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე, რომლებსაც ახლა თანმიმდევრობით შეგახსენებთ. რაც 20 ივნისს ხდებოდა, იყავით თუ არა ამ ყველაფერზე უშუალოდ პასუხისმგებელი?**

გიორგი გახარია: — მე ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ... ვეცდები ცოტა სწრაფად ვილაპარაკო, იმიტომ, რომ რაღაც ვბუქსაობთ, რა...

თეა წულუკიანი: — **ბატონო გიორგი, თქვენ აღარა ხართ ჩვენი პრემიერ-მინისტრი, რა! ძალიან გთხოვთ, ვბუქსაობთ, არ ვბუქსაობთ...**

გიორგი გახარია: — არა მაქვს პრეტენზია, ქალბატონო თავმჯდომარე!

თეა წულუკიანი: — **ერთი წუთით, რა! აქ სხდომა მიმყავს მე და თქვენ ხართ ის, ვინც პასუხებს იძლევა კითხვებზე. ვბუქსაობთ თუ არ ვბუქსაობთ, ამას მე გადავწყვეტ. ჩვენ დაგვჭირდება საღამომდე დრო? ვისხდებით აქ საღამომდე. ჩვენ არსად არ გვეჩქარება და თქვენ, მითუმეტეს, სად უნდა გეჩქარებოდეთ? გააგრძელეთ!**

*გახარია ხომ ენას **აჩიგვარას მათრახივით** იქნევს და იქედნური მწარესიტყვაობა ეხერხება, მაგრამ სუსხიანი სიტყვებისთვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა არც **წულუკიანს** სჭირდება და, აგერ, რა უთხრა — **ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც ქვეყნის ბედი გვაბარია და კისერზე სახელმწიფო საქმეები გვაწევს, არსად გვეჩქარება და თქვენ, უსაქმური ოპოზიციონერი სადღა ჩქარობთ?!***

*კი, სწორედ ეს არის **წულუკიანის სიტყვების ქვეტექსტი** და ზემოთ სწორედ ამიტომაც ვთქვით, რომ საგამოძიებო კომისიაზე გახარიას გამოკითხვას ჰქვია — **მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!***

*ესე იგი, **მოვიდა გახარია და დახვდა წულუკიანი!***

*ამასობაში, გახარიას კიდევ ერთმა კომისიის წევრმა — **სოზარ სუბარმა** შეუტია, რომელიც გახარიას პრემიერ-მინისტრობის დროს მისი მრჩეველი იყო რეგიონული განვითარების საკითხებში:*

**— ის, რომ თქვენ გამოძიებაში მიცემული გაქვთ ჩვენება, რაც თქვენი ვალდებულებაა, ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ აქ ჩვენებების მოცემას თავი აარიდოთ. კითხვა როცა დაისმება, პასუხი უნდა გასცეთ. ის ცალკე გამოძიებაა, ესეც პარლამენტის საგამოძიებო კომისიაა და ვალდებული ხართ, ზუსტად ისე გასცეთ პასუხი, როგორც პროკურატურაში გაეცით.**

გიორგი გახარია: — უიმე, დედა!

ალუდა ღუდუშაური: — **ერთი წუთით, ახლა ეს შოუს მოწყობა... ნაცებს ნუ დაემსგავსებით, მთლად ხაბეიშვილის დონეზე ნუ დაეცემით! მე პირადად, როგორც კომისიის წევრს, საერთოდ არ მაინტერესებს, რა პასუხები გაქვთ გაცემული გამოძიებაში, ჩემი კითხვები რაც იქნება, პასუხები გაეცით, თუ შეიძლება! გეგმა ვინ შეადგინა?**

გიორგი გახარია: — გეგმა შეადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა თანამდებობის პირებმა, რომელზეც ხელი მოვაწერეთ მე და ჩემმა მოადგილეებმა.

ალუდა ღუდუშაური: — **შესაბამისი სამსახურები და ხელმძღვანელები ვინ არიან? სახელები და გვარები!**

გიორგი გახარია: — **არ მახსოვს! ჩემი მოადგილეები მახსოვს, ვინც მოაწერა ხელი — საბანაძე, ქაქავა, ბორცვაძე, დანარჩენი არ მახსოვს.**

ალუდა ღუდუშაური: — **ანუ გეგმის შედგენაში თქვენ არ მონაწილეობდით?**

გიორგი გახარია: — ხელი თუ მოვაწერე, რა თქმა უნდა, ვმონაწილეობდი!

ალუდა ღუდუშაური: — **ურთიერთგამომრიცხავია თქვენი პასუხები და ამიტომ გეუბნებით — გეგმის შემუშავებაში იღებდით თუ არ კონკრეტულად თქვენ მონაწილეობას? მკაფიოდ გვითხარით!**

გიორგი გახარია: — გეგმას ადგენს შესაბამისი სპეციალური დაგეგმარების უწყება, რომელიც არის შესაბამის სპეციალურ ქვედანაყოფში. გეგმა თანხმდება მოადგილეებთან და მინისტრთან. ყველა ეს პროცედურა იყო გატარებული ისე, როგორც საჭიროა და ამიტომაც იყო ამაზე მოადგილეების და ჩემი ხელმოწერა. კიდევ უფრო პრიმიტიულად და მარტივად თუ გინდა, ვიღებდი მონაწილეობას.

***ღუდუშაურის კითხვაზე — პარლამენტის შენობაში ოთახიდან ოთახში გადაადგილება რისთვის გჭირდებოდათ და რომელ ოთახებში გადაადგილდებოდით? — გახარიამ უპასუხა:***

— ზოგიერთ პარლამენტარი იყო დასამშვიდებელი და მიწევდა გვერდზე გადავსულიყავი, იქ ერთი დამეშვიდებინა, აქ — მეორეს დავლაპარაკებოდი.

***— კი მაგრამ, თქვენ პარლამენტარებს ამშვიდებდით თუ ძალადობრივი აქციის გეგმას ასრულებდითო?** — ეკითხება **ღუდუშაური, გახარია** კი პასუხობს — **„მათ შორის!“***

***— ის თუ გახსოვთ, თქვენ რა დროს მიხვედით პარლამენტის შენობაშიო?** — არ ეშვება **ღუდუშაური,** მაგრამ **გახარიას** პასუხი მზად აქვს — **„არ მახსოვს!“***

*როცა **გახარია** საუბრობდა და ღუდუშაურმა ისევ შეკითხვით გააწყვეტინა, იგი წამოენთო და კომისიას დაემუქრა:*

***— თუ კიდევ ერთხელ გამაწყვეტინებთ, ავდგები და წავალ! როცა მზად იქნებით ემოციურად, რომ მოისმინოთ პასუხები, რომლებიც არ ეთანხმება თქვენს მოსაზრებას, მაშინ დავბრუნდები, რა!***

***თეა წულუკიანი გიორგი გახარიას** ახსენებს მის სატელევიზიო ინტერვიუებს, რომლებშიც იგი ამბობს, რომ 20 ივნისის აქციის დაშლასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის, რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ, პირადად იღებდა. იქვე, **ალუდა ღუდუშაურს** მოჰყავს ციტატა გახარიას მიერ 2019 წლის 11 ივლისს **ინგა გრიგოლიასათვის** მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც აცხადებს — **მე გავეცი ბრძანება, რომ პოლიციას კანონით დადგენილი სპეცსაშუალებები გამოეყენებინა და რეზინის ტყვიების გამოყენებაც კანონით არის გათვალისწინებულიო!***

*— ახლა გვითხარით, რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება თქვენ გაეცით თუ პოლიციელებმა თვითნებურად გამოიყენეს? — ეკითხება **ღუდუშაური,** მაგრამ **გახარია,** აქაოდა — ამას თავს როგორ გავუყადრებო, **ღუდუშაურის** მაგივრად **წულუკიანს** მიმართავს:*

— ქალბატონო თეა, ეს არის კითხვა?

თეა წულუკიანი: — **მეტი რანაირად... ბატონო გიორგი, ხანდახან მგონია, რომ ჩვენ რაღაც სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ.**

გიორგი გახარია: — არა, ბევრჯერ მკითხეთ და გიპასუხეთ ამაზე.

თეა წულუკიანი: — **მერე რა, რამდენჯერაც დავსვამთ, იმდენჯერ გვიპასუხეთ!**

გიორგი გახარია: — გიწვალიათ ბევრი!

თეა წულუკიანი: — **ბატონო გიორგი, მოდით, ისე ნუ ვიზამთ, თითქოს ჩვენ დავთხარეთ ვიღაცას თვალები. გისვამთ კითხვებს, თქვენ დროს მოხდა, თქვენი ხელმძღვანელობის დროს და გაგვეცით პასუხი!**

*გახარიას პასუხია, რომ პოლიციელებს არაფერში ადანაშაულებს, რადგან მათ კანონიერი უფლება ჰქონდათ, **„თვითმოგერიების რეჟიმში“** რეზინის ტყვიები გამოეყენებინათ! ამბობს — შტურმში გადაზრდილი აქციის დაშლის ბრძანება მე გავეცი და ყველაფერზე, რაც 20 ივნისის ღამეს მოხდა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მე მეკისრებაო!*

*თუმცა, **თეა წულუკიანი** ეჭვს გამოთქვამს, რომ **გახარიას** ბრძანება აქციის დაშლის ოპერაციამდე კი არა, მისი დასრულების შემდეგ არის გამოცემული და საილუსტრაციოდ მოაქვს დოკუმენტი — **სპეციალური საპოლიციო ღონისძიების გეგმა, რომელშიც ბევრი ფურცელი ცარიელია.***

***გახარია წულუკიანის** მიერ გამოთქმულ ეჭვზე გამოპასუხებას თავს არიდებს და საუბარი სხვა თემაზე გადააქვს:*

— იმის მაგივრად, რომ ახლა აქ მე და თქვენ ვისაუბროთ იმაზე, საერთოდ, **გავრილოვი** როგორ აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის შენობაში...

სოზარ სუბარი: — **თქვენ კითხვებს უპასუხეთ! გამოძიება სადღაც მიმდინარეობს და იქ დევს მასალები, ეგ არ არის თქვენი საქმე, რა. რასაც გეკითხებით, იმას უპასუხეთ, ძალიან გთხოვთ.**

გიორგი გახარია: — მე თქვენ საერთოდ არ გელაპარაკებით, კაცო! ხმა არ ამომიღია, თქვენ არ გელაპარაკებით! ნუ მეჩრებით, დამამთავრებინეთ! კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ქალბატონო თავმჯდომარე, **თუ ეს კომისია არ არის მზად, მოისმინოს პასუხები, მე ავდგები და წავალ! როცა მოემზადებით, მაშინ დამიძახეთ და მოვალ, მე არანაირი პრობლემა არა მაქვს!**

თეა წულუკიანი: — **ბატონო გიორგი, ერთი წუთით, მესმის, რომ ღელავთ...**

გიორგი გახარია: — ქალბატონო თავმჯდომარე, ერთი წუთით, რა...

თეა წულუკიანი: — **თქვენ ღელავთ...**

გიორგი გახარია: — მე ჩემი უფლებები მაქვს და ძალიან კარგად ვიცი ჩემი უფლებები.

თეა წულუკიანი: — **თქვენს უფლებებს არავინ არ არღვევს, ნუ ნერვიულობთ, ნუ ნერვიულობთ!**

გიორგი გახარია: — არ ვნერვიულობ მე, **უბრალოდ, სათამაშოდ მომიყვანეთ, კაცო, აქ?**

თეა წულუკიანი: — **სათამაშოა მაკო გომურის ამოთხრილი თვალი? ერთი წუთით ახლა, ძალიან გთხოვთ, დავსერიოზულდეთ! კონკრეტული კითხვებია, შეიძლება, თქვენ არ გინდათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. ბევრჯერ გაქვთ ინტერვიუში ნათქვამი, თქვენი ტვირთია ადამიანები რომ დასახიჩრდნენ და გასაგებია, უხერხული კითხვებია თქვენთვის, მაგრამ უნდა მოითმინოთ, აბა, სხვანაირად როგორ იქნება!**

***წულუკიანმა** გახარიას შეახსენა, რომ იგი 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა და უთხრა — რაც გამოსაძიებელი იყო, მაშინ გამოგეძიებინა, ახლა ჩვენ რომ გვამუნათებო, მერე კი ჰკითხა — **პროკურატურაზე ზეწოლას ხომ არ ახდენდი, რომ საქმე არასწორი მიმართულებით წაეყვანაო?***

***გახარიამ** მოკლედ და მშრალად მოუჭრა — **არა!***

*კიდევ კარგი, ამაზეც არ თქვა — **არ მახსოვსო!***

*წარმოიდგინეთ, რომ ეთქვა — **არ მახსოვს,** პროკურატურაზე ზეწოლას ვახდენდი თუ არაო!*

*არადა, რომ ეთქვა, გასაკვირი არც იქნებოდა, ისეთ რაღაცებზე თქვა — **არ მახსოვსო!***

გიორგი გახარია: — კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ გინდათ, რომ ამ კომისიას ჰქონდეს შედეგი, ნახევარი სიმართლე კი არ უნდა იყოს, **გამოიძიეთ, ვინ და როგორ ჩამოიყვანა გავრილოვი და ვინ უბრძანა შტურმის მიტანა შენობაზე.**

***გურამ მაჭარაშვილის** კითხვაზე — **20 ივნისის ღამეს სუს-ის ხელმძღვანელ ვახტანგ გომელაურთან თუ გქონდათ კონტაქტი და მას, როგორც საპოლიციო საქმეში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანს, რჩევა თუ ჰკითხეთო?** — ხოლო **გახარიას** პასუხზე — **გომელაურთან სატელეფონო კონტაქტი მქონდაო, მაჭარაშვილმა** უთხრა — **მაშინ ერთი რჩევა მაინც გაიხსენეთ, რომელიც მან მოგცათო!***

და აქ ისევ **გახარიას** ლეგენდარული პასუხი — **„არ მახსოვს!“**

*როგორი წარმოსადგენია, რომ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს **არ ახსოვს,** რაზე ესაუბრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს იმ ღამეს, როცა პარლამენტის შენობაზე შტურმის მოგერიების სპეცოპერაცია იგეგმებოდა?*

თეა წულუკიანი: — **მე მგონი, თქვენ ტყუით, ბატონო გიორგი! თქვენ, სამწუხაროდ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაკო გომურის სამწუხაროდ და სხვა დასახიჩრებული პირების სამწუხაროდ, ვახტანგ გომელაურისგან და სუს-ისგან არცერთი რჩევა არ აგიღიათ, თორემ ის კაცი ნამდვილად გეტყოდათ, რომ სპეცრაზმელის ხალხის პირისპირ დაყენება არ შეიძლება!** რკინის კედელი არ იდგაო, რომ იძახით, ეს რკინის კედელი ციდან ხომ არ დაეშვებოდა? ამ გეგმაში, თუ ეს გეგმა სპეცოპერაციამდეა ხელმოწერილი, უნდა ჩაგეწერათ, რომ მისატანი იყო ადგილზე რკინის კედლები. თუმცა, რკინის ჯებირი ნამდვილად იყო, რომელიც თან ახლავს პარლამენტს, **რაც მე თავი მახსოვს და თქვენ ბავშ-**




## რეპორტაჟი საგამოძიებო

# საქართველოს არ უნახავს!

**ვობიდანაც გემახსოვრებათ. არ იყო საკმარისი? მე ხომ არ მოვიტანდი უცხოეთიდან იუსტიციის მინისტრი ილიაში ამოჭრილ რკინის კედლებს, მოგეტანათ რკინის კედლები, ამხელა უწყება გქონდათ! რაც იყო, იმ ჯებირის უკან მაინც დაგეყენებინათ!**

**გიორგი გახარია:** — **არ ჩამოგეყვანათ გავრილოვი და სავარძელში არ ჩაგესვათ და დამთავრდებოდა ყველაფერი!**

**თეა წულუკიანი:** — **ნუ გაურბიხართ პრობლემას, ბატონო გიორგი!**

**გიორგი გახარია:** — არ გავურბივარ, ეს აბსურდია!

**თეა წულუკიანი:** — **რატომ არ დაეკითხეთ პროფესიით უფრო კომპეტენტურ ადამიანს? ვიღაცა გეტყოდათ — გაწიე სპეცრაზმელები ჯებირის უკან, არცერთს არ შეითრევდნენ აქციის მონაწილეები თავიანთ წიაღში და არ გაჩნდებოდა სიცოცხლის საფრთხე. ჰკითხეთ თუ არა ვილაცას რჩევა?**

**გიორგი გახარია:** — დიახ, ვკითხე!

**თეა წულუკიანი:** — **მე კიდევ ლიად გეუბნებით, რომ ეს არის მტკნარი ტყუილი!**

**გიორგი გახარია:** — თქვენ ახლა იტყუებით, იმიტომ, რომ თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, ორ ადამიანს შორის რა საუბარი იყო და...

**თეა წულუკიანი:** — **მაშინ გვითხარით!**

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვსმეთქი,** გეუბნებით, კაცო!

**თეა წულუკიანი:** — **კონკრეტულად რა საუბარი გქონდათ სუს-თან და რა რჩევა გაითვალისწინეთ?**

**გიორგი გახარია:** — კონკრეტულად **არ მახსოვს!** მახსოვს, რომ ინტენსიურ კომუნიკაციაში ვიყავი **ბატონ სუს-ის მაშინდელ ხელმძღვანელთან!**

*__გურამ მაჭარაშვილი__ ეკითხება — პარლამენტის შენობაში დეპუტატების დამშვიდებით რომ ყოფილხართ დაკავებული, კონკრეტულად რომელ დეპუტატებს ამშვიდებდითო?*

*__არ მახსოვს!__ — პასუხობს გახარია — მაგრამ ზოგიერთებს წყალი მივაწოდე, ზოგიერთს ყავაც დავუსხი!*

*__ვინ იყო?__ — ისევ ეკითხება __მაჭარაშვილი.__*

*__არ მახსოვს,__ არა, არ მახსოვს! — ისევ პასუხობს __გახარია.__*

**თეა წულუკიანი:** — **ჩემთვის ეს აბსოლუტურად აბსურდის თეატრია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, იმის მაგივრად, რომ შტურმს იგერიებდეს, ყავას უსხამდა დეპუტატებს! ნუ, ახლა დავანებოთ ამ გროტესკზე საუბარს თავი! წარმოუდგენელ რაღაცებს ვისმენთ!**

*ახლა უკვე __სოზარ სუბარი__ ეკითხება __გახარიას — ის მაინც თუ გახსოვთ, აქციაზე რამდენი პოლიციელი გყავდათ მობილიზებულიო?__*

*__გახარიას__ პასუხი ტრადიციულია — „არ მახსოვს!“*

**სოზარ სუბარი:** — თქვენს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ღამე იყო და არ იცით, რამდენი პოლიციელი იყო?

**გიორგი გახარია:** — პოლიციელების ზუსტი რაოდენობა **არ მახსოვს** და არც ყოფილა ეს ჩემი საქმე, პოლიციელების ზუსტი რაოდენობა მცოდნოდა.

**სოზარ სუბარი:** — **შინაგან საქმეთა მინისტრისგან რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობს, კარგი პასუხია! რამდენი პროტესტანტი იქნებოდა დაახლოებით?**

**გიორგი გახარია:** — დღის განმავლობაში ხან მეტი იყო, ხან — ნაკლები, მიდიოდნენ, მოდიოდნენ.

**სოზარ სუბარი:** — **შტურმის პერიოდში რამდენი იყო?**

**გიორგი გახარია:** — არ ვიცი, ალბათ, 5-6 ათასი.

**სოზარ სუბარი:** — **მე რაც ვიცი და რაც მახსოვს, ნაკლები იყო ბევრად, მაგრამ თქვენ ბევრ ინტერვიუში გაქვთ ნათქვამი, რომ იქ უმრავლესობა იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი პროტესტანტი და იყო რაღაც მცირე ნაწილი, რომელიც ახორციელებდა შტურმს. რამდენი იყო ეს მცირე ნაწილი დაახლოებით?**

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვს, არ მახსოვს,** ალბათ, ასეულობით იყო, 1000-1500, არ მახსოვს!

**სოზარ სუბარი:** — **თქვენ არ გახსოვთ იმ მართლა ყველაზე მნიშვნელოვან ღამეს რომელ კაბინეტში იყავით; არ გახსოვთ, ვინ იყო თქვენ გვერდით; არ გახსოვთ, საერთოდ, რა ბრძანებებს გასცემდით და იძულებული ვარ, მცირედით განგიახლოოთ მეხსიერება, იმიტომ, რომ მე ვიყავი ნამდვილად იქ და დაახლოებით ამხელა დარბაზი, პარლამენტის ამავე ფლიგელში, ერთი სართულით ქვემოთ, ვიცე-სპიკერის ოთახი იყო სავსე პარლამენტის წევრებით, იყვნენ მთავრობის წევრებიც, ვიყავი მეც. დიახ, ასე იყო.**




**გიორგი გახარია:** — რა თქმა უნდა, მე არ მითქვამს, რომ არ იყვნენ, მერე მოვიყვანეთ ძალით და თავიდან არავინ არ იყო აქ, ცარიელი იყო ეს შენობა.

**სოზარ სუბარი:** — **სადაც თქვენ ბრძანებებს გასცემდით, იქ მაინც გეხსომებათ, ვინ იყვნენ თქვენთან მუდმივად?**

**გიორგი გახარია:** — ბევრი ვინმე იყო, თქვენც ყოფილხართ, სულ არ მახსოვხართ იქ.

**სოზარ სუბარი:** — **სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია იყო თქვენს გვერდით, რომელსაც, წესით, უნდა ახსოვდეს, რა ბრძანებებს გასცემდით. მისი მოადგილე გიორგი ბურჯანაძე იყო თქვენს გვერდით.**

**გიორგი გახარია:** — თქვენც ხომ იყავით?

**სოზარ სუბარი:** — **დიახ, ვიყავი და ბრძანებას გაგახსენებთ!**

**გიორგი გახარია:** — ძალიან კარგი!

**გურამ მაჭარაშვილი:** — **ბატონო გიორგი,** რატომ მოიტყუეთ მაშინ? ორი წუთის წინ რომ გკითხეთ, ვინ იყო მნიშვნელოვანი უწყების ხელმძღვანელი და მიპასუხეთ — ბევრი ვინმე იყოო, **ლომჯარია** „ბევრი ვინმე“ არის?

**გიორგი გახარია:** — ბევრი ხალხი იყო, სულ არ მახსოვდა, იქ ლომჯარია რომ იყო.

**გურამ მაჭარაშვილი:** — **„ბევრი ხალხი“ არის ლომჯარია?**

**გიორგი გახარია:** — აბა, რა არის?! თქვენთვის დიდი ვინმეა **ლომჯარია?**

**გურამ მაჭარაშვილი:** — **დიდი ვინმე თუ არ არის, თქვენს ოთახში რა უნდოდა, კაცო? თქვენს ოთახში რა უნდოდა ლომჯარიას — ნაცების წარმომადგენელს? აქეთ რომ გვაბრალებთ ნაცობას, ნაცების სახალხო დამცველს რა უნდოდა თქვენს ოთახში?**

**გიორგი გახარია:** — **ლომჯარია** თქვენი არჩეულია! **ლომჯარია** მაშინ იყო სახალხო დამცველი და სახალხო დამცველი სად უნდა ყოფილიყო მაშინ...

**თეა წულუკიანი:** — **სახალხო დამცველი უნდა ყოფილიყო გამზირზე და დაეცვა მოქალაქეების უფლებები, აღენუსხა ყველა დაზიანება.**

**გიორგი გახარია:** — ახლა **ლომჯარიას** საქმესაც მე ნუ დამაბრალებთ გასაკონტროლებლად, რა!

**თეა წულუკიანი:** — **არა, კითხვა გვექნება, რა სტატუსით გყავდათ იქ და რა იყო მისი როლი?**

**გურამ მაჭარაშვილი:** — **რომ მოიტყუეთ, ის დავაფიქსირეთ!**

**გიორგი გახარია:** — თქვენ იტყუებით!

**სოზარ სუბარი:** — **ანუ რა, არ იყო იქ ქალბატონი ლომჯარია?**

**გიორგი გახარია:** — მე გითხარით, რომ **არ მახსოვს-მეთქი,** იყო თუ არა **ლომჯარია,** შეიძლება იყო, შეიძლება, არ იყო!

**სოზარ სუბარი:** — **ძალიან სერიოზული ამნეზია დაგმართნიათ, მაგრამ იმედი მაქვს, ქალბატონ ლომჯარიას და მის მოადგილეს, ბატონ ბურჯანაძეს ასეთი ამნეზია არა აქვთ და გაიხსენებენ, რომ, როდესაც თქვენ გადაწყვიტეთ აქციის დაშლა, მე პირადად გითხარით — გიორგი, მე ნანახი მაქვს ჩემი თვალით, რა უბედურება მოაქვს რეზინის ტყვიას; ნანახი მაქვს 2009 წლის 6 მაისს, ნანახი მაქვს 2011 წლის 26 მაისს... ამიტომ რეზინის ტყვიები არ გავარდეს! თქვენ ბრძანება გაეცით დაშლის, კი არ გითქვამთ, რომ რეზინის ტყვია არ გავარდეს, საერთოდ არ გიხსენებიათ რამე კონკრეტული და რადგანაც დაშლის ბრძანება იყო გაცემული, იქ ავტომატურად იგულისხმებოდა, როგორც ჩანს, ესეც, ასე იქნებოდით შეთანხმებული.** მე მეორე ოთახში გავედი და რომ დავინახე, ტელევიზორში რა უბედურება ტრიალებდა, შემოვედი თქვენთან და გითხარით, **რომ გააჩერე რეზინის ტყვიების სროლა, იმიტომ, რომ უბედურება ტრიალებს!** თქვენი სრულიად ცინიკური პასუხი იყო — **რაღაც ძველი დროის კადრებს ატრიალებენო! იქნებ ესეც გაიხსენოთ! თუ არ გახსოვთ?**

**გიორგი გახარია:** — ქალბატონო თავმჯდომარე, ახლა რაც მოიტყუა, ეს თუ სიმართლეა...

**სოზარ სუბარი:** — **ტყუილი ვინ თქვა, ამას დაადასტურებენ იქ მყოფი პარლამენტის წევრები და იმედია, სახალხო დამცველსაც გაახსენდება.**

**გიორგი გახარია:** — გავიგე, კაცო, გავიგე, მაგრები ხართ! ეხლა რაც თქვა, ეს არის ჩვენება, რომელიც უნდა მიეცა გამოძიებისთვის. ჩვეულებრივი ინტერესთა კონფლიქტია. ეს ბატონი თუ არის მოწმე, რა უნდა კომისიაში?

**გურამ მაჭარაშვილი:** — **რომელი ქვეყნის კანონმდებლობაზე საუბრობთ, მე არ მესმის!**

**გიორგი გახარია:** — ახლა რაც მოყვა, ეს ჩვენება, მე მაინტერესებს, გამოძიებისთვის მიცემულია? გამოძიება მიმდინარეობს 6 წელი, თქვენ ხართ დეპუტატი, ყოფილხართ ადგილზე, **რაც მართლა არ მახსოვს.**

**სოზარ სუბარი:** — **ძალიან ბევრი დეპუტატი იყო, დარბაზი იყო სავსე.**

**გიორგი გახარია:** — კი, მაგრამ თქვენთან მილაპარაკია, თქვენ რჩევები მოგიციათ ჩემთვის, მე ამ რჩევებზე რაღაც პასუხი გამიცია, თქვენ, თურმე, აქ ყოფილხართ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი და ეს პროკურატურას მოახსენეთ?

**სოზარ სუბარი:** — **კითხვებს ჩვენ ვსვამთ და არა თქვენ!**

**გიორგი გახარია:** — საოცარია! ეს კომისიაა? **ქალბატონო თავმჯდომარე,** ეს კომისიაა?

**თეა წულუკიანი:** — **კი, კომისიაში ხართ, კომისიაში!**

**გიორგი გახარია:** — მაშინ ეხლა რაც მოყვა, ეს ინტერესთა კონფლიქტი არ არის?

**თეა წულუკიანი:** — **მომისმინეთ ერთი წუთით! თუ ახლა თქვენ ის გიკვირთ, რომ ინფორმაციის მატარებლები ვართ, მაშინ გულუბრყვილო ყოფილხართ! რა თქმა უნდა, როცა გამოძიება უკვე სტრასბურგის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით წარიმართება და იმედი მაქვს, გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე თქვენი პრემიერ-მინისტრობის დროს და შემდგომ პერიოდში წარიმართა...** ასევე ის ამნისტიის კანონი რომ დაგიჩემებიათ, ალბათ, იცით, რომ ამნისტიის კანონი არ ყოფილა შემუშავებული ისე, ვინმეს ვერ მოეთხოვოს პასუხი კონკრეტულ დანაშაულებზე, მათ შორის, წამებასთან, არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებულ მუხლებზე, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლომ თქვენს მიერ მართული სპეცოპერაციის შედეგად დასახიჩრებული ადამიანების მდგომარეობა გაათანაბრა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან, ამიტომ ის ამნისტიის კანონი არავითარ ინდულგენციას არ იძლევა. **თქვენ თუ ჩვენ გვეკითხებით, ეს ამნისტიის კანონი „ოცნებამ“ იმ ფორმით რატომ მიიღო, რა ფორმითაც მიიღო, დიახ, ჩვენ ვართ ინფორმაციის მატარებლები და ვიტყვით, რომ ეს იყო გარედან მომდინარე რჩევა. ახლა არ მითხრათ, რომ ეს პირველად გესმით!** რომ გვეკითხებით — **ლომჯარია რატომ აირჩიეთო, დიახ, ინფორმაციის მატარებლები ვართ და ვიტყვით, რომ თქვენს კაბინეტში მყოფი ლომჯარია, რომელიც, თურმე, ასკინკილა ბურჯანაძესთან ერთად მართავდა შტურმის მოგერიებას, ეს ლომჯარია ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი კონკრეტული ელჩის რჩევით აირჩია მაშინ „ოცნებამ“ სახალხო დამცველად.**

**გიორგი გახარია:** — **დიფ სთეითს** უჯერებდით? და დეპუტატებმა **ლომჯარიას** ხმა რომ მისცეს, იცოდნენ, რომ **დიფ სთეითის** რჩევით ირჩევდნენ?

**გურამ მაჭარაშვილი:** — **თქვენ ვინ იყავით ამ დროს, უკაცრავად? მე რიგითი პარლამენტის წევრი ვიყავი, თქვენ რა პოზიცია გეკავათ „ქართულ ოცნებაში ამ დროს?**

**გიორგი გახარია:** — მე დღესაც არ ვამბობ, რომ **დიფ სთეითი** განსაზღვრავდა იმას, მე რას ვაკეთებდი.

**გურამ მაჭარაშვილი:** — **დიფ სთეითს თუ ზეწოლა ჰქონდა, ჯერ თქვენზე უნდა ჰქონოდა — პოლიტსაბჭოს წევრი და პრემიერი იყავით — და მერე ჩვენზე!**

**თეა წულუკიანი:** — **როდესაც მე დაგირეკეთ სტამბოლის აეროპორტიდან, გახსოვთ?**

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვს!**

**თეა წულუკიანი:** — **სტამბოლის აეროპორტიდან რომ დაგირეკეთ, ტელეფონში ვუყურებ, რაც ხდება რუსთაველზე-მეთქი, გახსოვთ?**

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვს! არ მახსოვს!**

**თეა წულუკიანი:** — **ერთი მიზნით დაგირეკეთ... მე ვიყავი იუსტიციის მინისტრი, მოვემგზავრებოდი მივლინებიდან საქართველოში და უცნაურად მომეჩვენა, რასაც ტელეფონში ვუყურებდი — რეზინის ტყვიები უკვე გამოყენებული იყო და წყალი ჯერ არ იყო გამოყენებული.** მე გკითხეთ — **კი მაგრამ, წყალს რატომ არ იყენებთ-მეთქი** და თქვენ მიპასუხეთ, როგორც იცით ხოლმე, როგორც ახლა ლაპარაკობთ — ახლა გამომყავს, ახლა გამომყავს, კაი, კაიო და... გასაგებია, რომ არ გეცალათ... **ჩამოვედი მე და მეორე დილით, სადღაც ნაშუადღევს, მთავრობა და რამდენიმე დეპუტატი პრემიერმა ბახტაძემ შეგვკრიბა მთავრობის კან-**

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## კომისიის სკანდალური სხდომიდან



# ჯონდი ბაღათურია: სააკაშვილი არის ქვეყნის მოღალატე და ღალატის მუხლითაც უნდა გასამართლდეს!

***გასულ კვირას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ყოფილი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია წარდგა. „ქართული დასის“ ლიდერმა დოკუმენტებზე დაყრდნობით სააკაშვილის და მისი ოჯახის კორუფციულ გარიგებებზე ისაუბრა. მის მიერ მოპოვებული მასალებით და ყოფილი პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაციის შესწავლით დასტურდება, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გამდიდრდა და ხელისუფლებიდან მილიონერის სტატუსით წავიდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოფილმა პრეზიდენტმა ქონების დიდი ნაწილი აგვისტოს ომის წინა პერიოდში დაირეგისტრირა!***

*შეიძლება* ***ნანუკა ჟორჟოლიანის*** *ლობიანებით დანაყრებულ, პარლამენტთან მდგომ ადამიანებს, მითუმეტეს, ახალგაზრდა თაობას არ ახსოვს, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს უსათუოდ ემახსოვრება* ***ჯონდი ბაღათურიას ცნობილი გამოსვლა საკანონმდებლო ორგანოში.*** *მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო მისი სიმართლე. ფაქტობრივად, ერთადერთი ოპოზიციონერი დეპუტატი გახლდათ, რომელმაც რეჟიმის შემქმნელ და ქვეყნის დამტერორებელ* ***სააკაშვილს*** *შეჰკადრა და სიმართლე პირში უთხრა —* ***მის ოჯახთან ერთად ქვეყნის ძარცვაში დასდო ბრალი!*** *ვიდრე გავეშებული* ***სააკაშვილი*** *სავარძლიდან გასაქცევად წამოემართებოდა, ტრიბუნასთან მდგომ* ***ჯონდი ბაღათურიას*** *ჩვეული ირონიით დაემუქრა —* ***ბალნეოლოგიურ კურორტზე შენთვის კარგ აბაზანას გავამზადებინებ, ტალახში ბოლომდე ჩაგაწვენენ, კარგად დაგზელენ და ყველა ეს ფანტაზია გაგივლისო.***

*ამ საპარლამენტო დუელიდან ზუსტად 12 წელი გავიდა. დღეს ტალახში ამოსვრილი* ***მიხეილ სააკაშვილი*** *„ვივამედის“ ლოგინში კოტრიალობს,* ***ჯონდი ბაღათურია*** *კი ქართულ ნიურნბერგის პროცესზე გამოდის სიტყვით და სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს! როგორც კომისიის თავმჯდომარე* ***თეა წულუკიანი*** *დასძენს,* ***ჯონდი ბაღათურიას ეს გამოსვლაც გახდება საფუძველი იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის გაუბედურებისთვის პასუხი საკადრისად აგოს!***

„ქართული დასის“ ლიდერის **ჯონდი ბაღათურიას** მიერ საგამოძიებო კომისიისთვის მიცემულ ისტორიულ ჩვენებას თითქმის უცვლელად, სტენოგრაფიული სიზუსტით გთავაზობთ:

— მოგესალმებით. მადლობა მოწვევისთვის. პირველ რიგში, მინდა, ჩემი პატივისცემა გამოვხატო მთლიანად კომისიის შემადგენლობის მიმართ, თქვენ მიმართ **ქალბატონო თავმჯდომარე,** თითოეული წევრის მიმართ. საქმე, რომელიც ამ კომისიამ უნდა გააკეთოს, ჩემი აზრით, არის ძალიან მნიშვნელოვანი, არამხოლოდ მორალური, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მასალები, რომელიც მე წამოვიღე და კომისიას მინდა, წარვუდგინო, არ აჩვენებს მხოლოდ ერთი კონკრეტული დანაშაულის ან, ვთქვათ, ერთი კორუმპირებული პრეზიდენტის და მისი ოჯახის კორუმპირებულობას. მასალებში ჩანს ხელისუფლების ყველა შტოს ხრწნის უკანასკნელი სტადია,




სისტემური დანაშაული. **დანაშაულში ჩართული არის ყველა და ყველაფერი, სასამართლო სისტემა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, დედა, მამა, სიდედრი, ცოლი, მედია. საჯარო რეესტრიც კი ჩართულია კორუფციაში და კორუფციის გადაფარვაში.**

დავიწყებ იმით, რა შემოსავლებით დაიწყო **სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა** პრეზიდენტობა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ მოხერხდა მისი პრეზიდენტობის ვადაში მილიარდების დაგროვება, ძირითადად, სახელმწიფო ქონების ხარჯზე, თუმცა, არამხოლოდ სახელმწიფო ქონების ხარჯზე, რიგითი ადამიანების ძარცვის, პირდაპირ სახელმწიფო ბანდიტიზმის ხარჯზე. **ადამიანებისგან პირდაპირ ხდებოდა კერძო, პირადი ქონების ჩამორთმევა. ამ ბანდიტიზმის გათეთრებაში, საინფორმაციო ომში მონაწილეობდა მაშინდელი ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ძალიან ცნობილი ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი, ის იყო ჩართული ცრუ ბრალდებების შექმნაში ადამიანების წინააღმდეგ.**

*კომისიის ერთ-ერთი წევრის რეპლიკაზე,* ***ნანუკა*** *იქით იყო და ქმარი — აქეთ,* ***სოდში,*** *—* ***ჯონდი ბაღათურია*** *პასუხობს:*

— ზუსტად, ამ ბანდიტიზმის გათეთრებაში და ადამიანის გასრესვაში ჩართული იყო **„რუსთავი-2“**-ის სახელით **ნანუკა ჟორჟოლიანი** — მისი ცოლი. თუმცა, მე არ მინდა შევქმნა ილუზია, რომ ეს **ირაკლი კოდუას** დონეზე გადაწყდებოდა, ასეთი, პირდაპირ საჯარო ბანდიტიზმი შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით შეუძლებელია, თუნდაც მაღალი თანამდებობის პირის დონეზე გადაწყვეტილიყო და ეს პრეზიდენტთან შეთანხმებული, მინიმუმ, არ ყოფილიყო.

***ჯონდი ბაღათურია კომისიის წევრებს მონიტორისკენ მიუთითებს:***

— ეს არის 2004 წელს, როცა **სააკაშვილი** პრეზიდენტი გახდა, პირველი დეკლარაცია, რომელიც მან შეავსო და ძალიან მნიშვნელოვანია, წავიკითხოთ. **მისი ქონება იყო ბინა თბილისში. პეროვსკაიაზე ჰქონდა 2-ოთახიანი ბინა, რომელიც იყო 95 ათას ლარად შეფასებული. ეს მისივე შეფასებებია.**

საბანკო ანგარიშები: ბანკში „Societe General“-ში ჰქონდა **9 500 ევრო, ანუ 20 615 ლარი მაშინდელი კურსით** და **„თიბისი ბანკში“** ჰქონდა **3 500 ევრო, ანუ 7 595 ლარი.** ქონება სულ საბანკო ანგარიშებიანად იყო **123 210 ლარი.** მეტი სხვა ქონება მას და მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნდათ. თუ გააჩნდათ და არ შეიტანეს ამ დეკლარაციაში, ეს თავისთავად დანაშაულია.

ბუღალტერისთვის **500 ლარი** რომ გადაეხადათ, ასეთ კურიოზულ სიტუაციაში არ აღმოჩნდებოდა. ბალანსი არა აქვთ გამოყვანილი. პრეზიდენტობის დასასრულ მისი შემოსავლები (აქ დათვლილია ჰონორარები, მეუღლის, ქალბატონი სანდრას ჰონორარები, მივლინებები მთლიანად), **საჭმელი სულ რომ არ ეჭამათ, მარტო რომ ეგროვებინათ, იყო 623 976 ლარი.** ის, რაც დეკლარირებული ჰქონდა, დედიკოზე და მამიკოზე, სხვა პირებზე, ძმაბიჭებზე გაფორმებულ ქონებებზე არ არის ლაპარაკი. **ბანკებში ანგარიში ჰქონდა 439 167 ლარი და მისი უძრავი ქონება იყო 200 ათასი დოლარი ერთი ბინა, შეიძლება ეს მეტიც იყოს, ნუ, ეს წერია და დავეთანხმოთ ამას.** 200 ათასი დოლარი, ანუ 332 ათასი ლარი — მეორე ბინა თბილისში, გუდაურში — ნაკვეთი, რა **50 ათასი,** მაგრამ ეგრე წერია და დავეთანხმოთ ამასაც. ვენახი, სახლი ყვარელში, საიდანაც ხშირად ყელყელაობდა, **50 ათასი ლარი** ასევე. სულ ჯამში მისი ქონება იყო **1 269 067 ლარი.** ეს რატომ არის მნიშვნელოვანი? ის, რისი დეკლარირებაც მან მოახდინა მის შემოსავლებზე, უფრო მეტი ქონება ჰქონდა **600 ათასი ლარით.** აი, ეს არის დაუსაბუთებელი ქონება.

საქართველოში არსებობს ძალიან საჭირო, სასარგებლო კანონი. ეს არის კანონი კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, რომელიც ამბობს, რომ მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ჩინოვნიკების და მათი ოჯახის წევრებზეა. **ქალბატონ გიულისაც მოუწევს ამის დასაბუთება, ანუ დაუსაბუთებელი ქონების წარმოშობის კანონიერება უნდა დაასაბუთოს სწორედ სააკაშვილმა და გიული ალასანიამ.** მტკიცების ეს კანონი ზოგჯერ კარგად, მაგრამ ზოგჯერ უნამუსოდ გამოიყენა მან თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, შესაბამისად, ყველა უფლება და ვალდებულება აქვს პროკურატურას, რომ ამ კანონის მიხედვით იქნეს განხილული მათი დაუსაბუთებელი ქონება.

**ყველა ქონება, რომელსაც მე წარმოვადგენ აქ, არის შეძენილი სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. აქ არის წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერები, რომელიც ადასტურებს ქონების რეგისტრაციას. ძირითადი ქონება არის რეგისტრირებული აგვისტოს ომის წინა პერიოდში, რამდენიმე დღით ადრე, ზოგი 20 დღით ადრე, ზოგი ერთი თვით ადრე, ანუ აგვისტოს ომამდე გამალებით მიდიოდა სახელმწიფო ქონების მიტაცება სააკაშვილის ოჯახის მხრიდან.** მაგალითად, პროკურატურაში დევს სამი ნორმატიული აქტი — პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, გინდ, დაიჯერეთ გინდა — არა, **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადავიდა დედამისის საკუთრებაში.** როგორ მოგწონთ?! წარმოიდგინეთ, **პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ** რომ გამოსცეს ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდობის სასახლე გადავიდეს **მამამისის** საკუთრებაში, რა ამბავი მოხდება, რა მსოფლიო რეაქცია იქნება?! მინდა, **მოგმართოთ თხოვნით, რომ პროკურატურიდან ეს მასალები გამოიწვიოთ.** იქ ჩანს საჯარო რეესტრის ჩართულობაც. იქ არის ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტიც. არსებობდა ძალიან კარგი რადიო — **შპს „მუზა“,** რომლის დამფუძნებლები არიან **სიდედრი — ქალბატონი რულოვსის დედა,**

## კვირგვინოსნები



**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ საერთაშორისო მდივანი*

**პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობამ** საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, **თუ რა სისხლისმსმელ რეჟიმთან გვქონდა საქმე.**

„იმედინიუსი“



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

დიახ, დღეს **უფრო მეტი ვაჟკაცი ქართველი ბიჭი იქნებოდა ცოცხალი,** საკუთარ ოჯახებში და საკუთარ შვილებთან, ვიდრე **სააკაშვილის ღალატისა და რუსული ოკუპაციის ხელშეწყობის** შემდეგაა!

„იმედინიუსი“



**გიორგი სოსიაშვილი**
*პარლამენტარი*

ნაცმოძრაობამ გადაწვეს **აფრასიძეების** ოჯახი, **ადგილზე დახვრიტეს ადამიანები და დღეს ადამიანების უფლებების დაცვაზე გვესაუბრებიან.** ეს არის ჩვეულებრივი **ფაშისტური ძალა.**

„იმედინიუსი“



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

უმორჩილესად ვთხოვ ახალგაზრდებს — **თვალყური ადევნონ საგამოძიებო კომისიის მუშაობას,** რას ჰყვებიან დაზარალებული ოჯახები და **მიხვდებიან, თუ რას ნიშნავს ტოტალიტარული რეჟიმი.**

„აიპრესი“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

**ბახარიამ,** ფაქტობრივად, აღიარა, რომ **ჩორჩანას საგუშაგოს აგება იყო პროვოკაცია,** გადადგმული მისი მხრიდან, რასაც ჰქონდა კონკრეტული მიზანი — **შეიარაღებული კონფლიქტის გამოწვევა.**

„აიპრესი“

სახელს ვერ ვიხსენებ, მაგრამ **რულოვსის** გვარზეა ისიც, დედა და მეუღლე **სანდრა რულოვსი,** ანუ დამფუძნებელი არის სამი ქალბატონი — **გიული ალასანია, სანდრა რულოვსი და სანდრა რულოვსის დედა, პრეზიდენტის სიდედრი,** რომლებმაც მიიღეს ჯამში **მილიონ 100 ათასი საჩუქრად.** შეიძლება კიდევ მილიარდები აქვთ ასე აღებული, მაგრამ მე რაც მოვიპოვე, ამაზე არის ახლა ლაპარაკი. ორ ტრანშად არის წამოსული. ერთი **500 ათასი** 2010 წელს და მეორე **600 ათასი** — 2011 წელს. შეიძლება პირიქით იყოს. 2010 წელს იყოს **600 ათასი** და 2011 წელს — **500 ათასი.** ბიზნესიდან არის შემოწირულობა მიღებული. ეს კანონიერია. შემოწირულობის გაკეთება ბიზნესს შეეძლო — **შპს „მუზასთვის"** ეჩუქებინათ, უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ **პრეზიდენტი ვალდებული იყო, ეს თანხა შეეტანა დეკლარაციაში, იმიტომ, რომ შემოწირულობაში მონაწილეობდა მისი მეუღლე, რომელიც მის მისამართზე ცხოვრობდა.** მაშინ ოჯახი ერთად იყო, ეხლა არ ვიცი, როგორი მდგომარეობაა. ღმერთმა ხელი მოუმართოს ოჯახს. ეს დეკლარაციაში არ იყო შეტანილი. შესაბამისად, საპარლამენტო გამოსვლაში, რომელიც თქვენ გაიხსენეთ, ამის შესახებ ვთქვი. ეს იყო გვიან საღამოს, თუ გახსოვთ. საჯარო რეესტრი, ყველაფერი დახურული იყო. პროკურატურის მასალებში დევს. მე უბრალოდ მოვასწარი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის გაკეთება. მათ ღამის საათებში დამფუძნებლები შეცვალეს, ჩვენ ხომ გვყავდა ღამის მთავრობა მაშინ.

როგორ იყო ჩართული საჯარო რეესტრი პრეზიდენტის და მისი ოჯახის კორუმპირებული დანაშაულის დაფარვაში, ერთ-ერთი ამის მაგალითი არის **10 ჰექტარზე მეტი მიწა,** რომელსაც პირდაპირ ხელს აწერს პრეზიდენტი და მისი ბრძანებულებით **ეს მიწა გადადის დედამისის საკუთრებაში.**

ძალიან ინტელექტუალურად მუშაობდნენ, ორგანიზებული დანაშაულის მაღალი დონეა. იმისთვის, რომ **გიული ალასანიას** სახელი და გვარი არ ფიგურირებდეს, **გიული ალასანია და თემურ ალასანიას შვილი,** ალასანიას დაქალი **მანანა სანაძე და რობერტ რაუფი,** უცხო ქვეყნის მოქალაქე ერთად აფუძნებენ **შპს „საქართველოს უნივერსიტეტს"** და შემდგომში, უმეტეს შემთხვევაში, მოქმედი გმირი არის საქართველოს უნივერსიტეტი. უბრალოდ, რომ გაიგო, ამის უკან **ალასანია** დგას, უნდა ქექო მასალები, რომლის ქექვის უფლება და საშუალება ბევრს არ ჰქონდა, მე მივეცი თავს ამის უფლება და მივიღეთ ასეთი შედეგი.

ეს არის **„საქართველოს უნივერსიტეტი".** დამფუძნებლები: **გიული ალასანია** — 37.5 პროცენტი, **მანანა სანაძე** — 37.5 პროცენტი, **ედუარდ რობერტ რაუფი** — 12.5 პროცენტი, **ნიკოლოზ ალასანია** — ასევე 12.5 პროცენტი. **ყველა სიტყვას, რასაც ახლა ვამბობ, მოჰყვება საჯარო რეესტრიდან ამონაწერები.** თუ არ ვცდები, ოპოზიციის გმირი **ვაშაძე** იყო მაშინ საჯარო რეესტრის თანათავმჯდომარე. ხშირად ტრაბახობს, რომ მისი შექმნილია საჯარო რეესტრი და ეს სისტემა. აქ საინტერესო ის არის, რომ შემდგომში **შპს „საქართველოს უნივერსიტეტი"** აფუძნებს სხვა ბიზნესკომპანიებს, ქსელი არის მონოპოლიური. დაწყებული საბავშვო ბაღიდან, საშუალო სკოლებით, აბიტურიენტთა გადამზადების სკოლებით და თავისთავად, ცხადია, უმაღლესი სასწავლებლებით. აქვე წარმოვადგენ საქმეს, რომლის მიხედვითაც ხდება საჯარო დაწესებულებების დახურვა, მაგალითად, **იმისთვის, რომ გადაქაჩულიყო კონტინგენტი თავის კერძო სტრუქტურაში, 2003 წლიდან 2010 წლამდე 1045 საჯარო სკოლა დახურეს და ეს ბავშვები, ვინც 1045 სკოლაში სწავლობდნენ, მათ კერძო სკოლებში გადაქაჩეს.** ამაში მე ჩართული ვიყავი და ამაზე ჩვენ ბოლოს მივალთ.

ჩვენ ამოვიღეთ მოსწავლეთა რიცხოვნობა საჯარო სკოლებში. 2003 წლის მეოთხე თვეს აპრილში არის **3 175 საჯარო დაწესებულება** და 2010 წლის მეთერთმეტე თვეს, ანუ ნოემბერში, **2 130 საჯარო სკოლა,** ანუ **104 სკოლა იქნა გაუქმებული. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 112 ათასით შემცირდა.** ეს 112 ათასი მოსწავლის ოჯახი იძულებული გახდა, შვილისთვის ფული გადაეხადა განათლებაში. **ჩვენ კონსტიტუციაში გვიწერია, რომ განათლება არის სავალდებულო და სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლება. აი, როგორ იყო კონსტიტუციის ეს მუხლი შელახული.**

შემდეგი არის **შპს „საქართველოს უნივერსიტეტის"** სასწავლო ავეჯი. ეს არის ყოფილი ავეჯის კომბინატი, რომელიც, სამწუხაროდ, მე არ ვიცი, რა გზით მიითვისეს, მაგრამ შინაგანი დარწმუნება მაქვს, რომ იგივე გზებით იქნება ესეც მითვისებული. ეს უკვე არის 2009 წლის 9 იანვარს. მფლობელი არის 100 პროცენტით **„საქართველოს უნივერსიტეტი", ანუ გიული ალასანია.**

**თენგიზ შარმანაშვილი: — თქვენ მოიყვანეთ აქ ციფრები, რამდენი სკოლა გაუქმდა და მის სანაცვლად კერძო სექტორში რამდენი დაფუძნდა. რაც დაფუძნდა კერძო სექტორში, იქ ხვედრითი წილი „საქართველოს უნივერსიტეტის" დიდია?**

**ჯონდი ბაღათურია:** — იმ გამოსვლის მერე წყაროები, რომლითაც შეგვეძლო დასკვნები გაგვეკეთებინა, ჩაგვეკეტა. ამიტომ ასეთი ტიპის მოცემულობა არ გვაქვს, მაგრამ თვითონ სტატისტიკური მონაცემი, რომ **112 ათასი მოსწავლე დარჩა საჯარო სკოლის გარეშე,** უკვე შემზარავი ციფრია. აქედან რამდენი იყო **გიული ალასანიასი,** რთული სათქმელია, მაგრამ ძირითადი „კრიშა" განათლების სისტემაში მაშინ, ძირითადი ოპერატორები, მე ასე ვიტყოდი, იყვნენ **ალასანია და ბენდუქიძე,** რომლებიც ფლობდნენ განათლების სისტემის ასეთ დაწესებულებებს.

***სოზარ სუბარის** შეკითხვაზე — **გაეხსენებინა ის ცნობილი საპარლამენტო გამოსვლა, სადაც მიხეილ სააკაშვილი გაფსიხებული გავარდა სხდომათა დარბაზიდან, ჯონდი ბაღათურიამ აღნიშნა:***

— ღიად იმუქრებოდა პარლამენტის სხდომაზე. მახსოვს, მაშინ ელჩების მოწვევის პრაქტიკა იყო. **ჯონ ბასი** იყო შეერთებული შტატების ელჩი და თვალი გამექცა მისკენ. ყბა ჩამოვარდნილი ჰქონდა, გაოცებული იყო კაცი, გაოგნებული, გაყინული იჯდა, პრაქტიკულად, ქანდაკებასავით იყო. **რატომ მოხდა არ ვიცი, სპეცდანიშნულების რაზმი შემოიყვანეს პარლამენტის დარბაზში. მე რომ დარბაზიდან გამოვედი, ჟურნალისტები შეშინებულები იყვნენ, ბატონო ჯონდი, მოგკლავენ, არ გამოხვიდეო.** გადაჭარბებული იყო, მაგრამ რატომ იყო შემოსული სპეცდანიშნულების რაზმი, არ ვიცი. მე მგონი, მის დასაწყნარებლად. ერთ-ერთი მაგათი წევრი მეუბნებოდა, **ბოკერიამ** მოაბრუნაო. სხვათაშორის, მაგათ აქტივთან, დარბაზში რომ იქაჩებიან, ზოგიერთთან პირადი ურთიერთობა ძალიან კარგი მქონდა, როცა სხვების დასანახად არ მხვდებოდნენ, ძალიან კარგად მესალმებოდნენ, მაგრამ რატომღაც სავალდებულო იყო, დარბაზში ეჩვენებინათ, რომ ჩემთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ.

**თეა წულუკიანი: — გულისხმობთ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებს, ვინც იმ კადრებში ჩანს, თქვენ რომ გამოდიხართ და პრეზიდენტი გარბის?! ამას კურდღლის სინდრომი ჰქვია.**

**ჯონდი ბაღათურია:** — კი ბატონო, იქ **ელდარ კვერნაძე** ჩანს, **სიმონიჩს** ეძახდნენ ესენი. მართლა ძალიან კარგი პირადი ურთიერთობა მქონდა და ეგ იქაჩებოდა მაშინ. ესეთი იყვნენ ბევრნი. სხვათაშორის, ძალიან ბევრი ინფორმაცია პარლამენტის წევრების მოწოდებული იყო. თვითონ რომ ხმას ვერ იღებდნენ, მეუბნებოდნენ, ასეთი ამბავი ხდება, ოღონდ არ დამღუპო, არ იქნეს ცნობილი, რომ მე გითხარიო. იყო ასეთი მომენტები ხშირად, რომელსაც მერე მე უბრალოდ ვახმაურებდი. ყოფილა ისე, რომ რაღაც საქმეები ჩაგვიშლია.

***სოზარ სუბარის შეკითხვაზე, რა ინფორმაციას ფლობს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" წილებთან დაკავშირებით, ჯონდი ბაღათურიამ უპასუხა:***

— „შავი ზღვის უნივერსიტეტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი არის **გიული ალასანია**. ის ამ დროს თავისი უნივერსიტეტის რექტორიც იყო, მაგრამ იქაც იქნა დანიშნული პრორექტორად. შემოსავლის დამატებითი წყარო იყო. არსებობს ასეთი მოძრაობა **ჰიზმეთი. პრეზიდენტი ერდოღანი** ამ მოძრაობას ბრალს სდებს ტერორიზმში. თურქეთში არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული, რომლის მიხედვითაც იგეგმებოდა პრეზიდენტის მკვლელობა და სახელმწიფო გადატრიალება.

**სოზარ სუბარი: — 2016 წლის გადატრიალების მცდელობას გულისხმობთ?**

**ჯონდი ბაღათურია:** — დიახ, 2016 წლის ცნობილი გადატრიალების მცდელობას. **გიული ალასანია** და **ჰიზმეთი** ერთობლივად მოქმედებენ აქ განათლების სისტემაში. **ჰიზმეთი** არის ქსელური ორგანიზაცია. **თურქეთში დღეს ტერორიზმის ბრალდებით 49 ათასი კაცი არის დაპატიმრებული. ძირითადად მოსამართლეები, უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, სპეცსამსახურები და სამხედროები.** რას აკეთებს **ჰიზმეთი?** რასაც **გიული ალასანია.** იწყებს საბავშვო ბაღიდან, მერე — სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მოსამზადებელი კურსები. შემდეგ ლობირებენ ამათ დანიშვნებს სასამართლო სისტემაში სხვადასხვა სახელმწიფოებში. თურქეთი საქართველოსთან შედარებით საკმაოდ აღმატებული რესურსების მქონე სახელმწიფოა. წარმოიდგინეთ, 49 ათასი კაცი იყო თურქეთში სახელმწიფო ორგანიზმში ჩანერგილი. თქვენ გახსოვთ, აქ რომ ითხოვდნენ სასამართლო რეფორმის დროს, უცხოელებმა დანიშნონ მოსამართლეებიო. **ასე მივიღებდით სასამართლო სისტემას, რომელიც ჩამოშლიდა სახელმწიფო ვერტიკალს და დაამხობდა არა ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოს!**

კომისიის ერთ-ერთი წევრის შეკითხვაზე — **თუ არის დათვლილი, საერთო ჯამში 2004 წლიდან 2011 წლამდე რა შემოსავლები იქნა მიღებული, რამდენ მილიონზეა ლაპარაკი? ჯონდი ბაღათურია** პასუხობს:

— ვცდილობდით, დაგვეთვალა, მაგრამ ამის დადგენის საშუალება არ მოგვეცა. 100 მილიონს აღემატება პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა და ის შენობები ყველა. შემდგომში **ჰიზმეთთან** ერთად მითვისებული **ბათუმის საჯარო სკოლა, სასამართლოს შენობა, საჯარო რეესტრის შენობა,** მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს არის კოსმოსური მასშტაბის ძარცვა სახელმწიფო ქონების.

რაც შეეხება კერძო ქონებას, **თუ გახსოვთ, 90-ან წლებში ყაჩაღები წაიყვანდნენ ოჯახის წევრს და მერე გამოსასყიდს ითხოვდნენ. ესენიც ასე იქცეოდნენ, ოღონდ არ ჭირდებოდათ სარდაფში ან სადმე სო-**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## „ქალბატონ გიულისაც მოუწევს ამის დასაბუთება, ანუ დაუსაბუთებელი ქონების წარმოშობის კანონიერება უნდა დაასაბუთოს სწორედ სააკაშვილმა და გიული ალასანიამ!"






## ქვირგვინოსნები

**მაკა ბოჭორიშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



**საქართველოს იზოლაცია არის ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა ოპოზიციას და არ გამოუვიდა.** ცდილობენ, ისე დახატონ, თითქოს რაღაცას მიაღწიეს. **საერთაშორისო არენაზე საქართველოს აქვს თავისი როლი** და მას ვერავინ უარყოფს. „TV იმედი"

**ჯეფრი საქსი**
*ამერიკელი ეკონომისტი*



ევროპელებმა და ამერიკელებმა **თავი უნდა დაანებონ ქართულ პოლიტიკას,** ჩარევა არანაირი სარგებლის მომტანი არ არის. „რეზონანსი"

**ელიზბარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



მისი მეუღლის დაქვემდებარებაში მყოფი სპეცრაზმის წარმომადგენლები **ნანული ჟორჟოლიანის** ბრძანების საფუძველზე, **ფიზიკურად სჯიდნენ და უსწორდებოდნენ ახალგაზრდებს.** ეს ქალბატონი, რომელსაც **სააკაშვილის სისტემის მეშვეობით ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად, ითვისებდა ცალკეული ბიზნესმენებისადმი უკანონოდ წართმეულ ძვირადღირებულ სატრანსპორტო საშუალებებს თუ სხვა ქონებებს.** ამიტომაც, უდავოდ და უეჭველად, ამ ადამიანებმა **კანონის მთელი სიმკაცრით პასუხი უნდა აგონ** სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. „იმედინიუსი"

**დავით კიკნაძე**
*ექსპერტი*



**სააკაშვილის ოჯახს,** სახელმწიფოს ძარცვის საქმეში დამხმარედ, ქალი არტილერია — **ნანუკა ჟორჟოლიანი** მოევლინა, რომელიც **ამ ბანდიტური ჯგუფის საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებდა!** „რეპორტიორი"

დასაწყისი მე-8 გვერდზე

**ფელში დამალვა.** 2009 წლის ანგარიში ამოიღეთ, იურიდიულ კომიტეტში იქნება, **კუბლაშვილის** ხელმოწერილი. ალბათ, ეგონათ, რომ არ წავიკითხავდი. **ბევრი საქმე აღარ მიდიოდა სასამართლომდე, მანამდე იხდიდნენ ჭკვიანი ბიჭები.** 2009 წელს სასამართლომდე მივიდა 18 354 საქმე, როგორ ფიქრობთ, 18 354 ათასი საქმიდან რამდენი გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა? 18 ათასიდან 18 დადგა, ხალხო. **ტროიკების დროს 10 პროცენტამდე იყო გამამართლებელი განაჩენი, აქ არის ნული, მთელი ერთი მეათასედი პროცენტი. კუბლაშვილის** ხელმოწერილი დოკუმენტია ეს, ღმერთმა შეიწყალოს მისი სული, გარდაიცვალა, თუ არ ვცდები. იმავე წელს 14 ათას პირთან დაიდო საპროცესო შეთანხმება, ანუ 14 ათასი ოჯახი გაატყავეს. როგორ ხდებოდა საპროცესო შეთანხმებების დადება? **ადამიანებს, ვისაც ფული არ ჰქონდათ, მათივე ბანკები ან მათივე სამევახშეო ორგანიზაციები ჩაადებინებდნენ ბინას და იძულებულს ხდიდნენ, თავისუფლება ეყიდათ.** დაახლოებით 140 მილიონი იყო. მაშინ 140 მილიონი ლარი ფისკალური დატვირთვის მატარებელი იყო ბიუჯეტისთვის.

**სოზარ სუბარი: — გამამართლებელი განაჩენების თემა კარგად მაქვს შესწავლილი. 18 საქმე, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ იყო პიკი, ყველაზე მეტი გამამართლებელი განაჩენი. იყო წლები, სადაც 5, 8 იყო და ერთი წელი, ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 2008 წელი იყო, სადაც ერთი გამამართლებელი განაჩენი დადგა. მართლაც, არც სტალინური რეპრესიების დროს და, ალბათ, არც ჩრდილოეთ კორეაში მსგავსი რამ არ ხდება.**

**თეა წულუკიანი: — ის ფასები და ქონებები, რაც თქვენ წარმოადგინეთ, არის იმდროინდელი ფასები. დღეს მრავალჯერ არის ის ფასები გაზრდილი. ასევე თქვენ რაც წარმოადგინეთ, ეს მონაცემები არის, სავარაუდოდ, ზღვაში წვეთი, შთამბეჭდავი და მავნებლობის ამსახველი ცალსახად, მაგრამ ზღვაში წვეთი იმასთან, რაც ამ ოჯახმა რეკეტის გზით და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით წაართვა ხალხს და სახელმწიფოს. ეს არის ის ინფორმაცია, რაც თქვენ სისტემის ყველანაირი ჩაკეტილობის პირობებში გმირობის ფასად მოიპოვეთ. არასდროს არცერთი სახელმწიფო უწყება, ასეთი იყო სააკაშვილის დავალება ადეიშვილის ხელმძღვანელობით, საჯარო ინფორმაციას არ გასცემდა.**

**ჯონდი ბაღათურია:** — ახლა რაც შეეხება კონკრეტულ საქმეს, რომელიც გაცილებით უფრო უარესი და მასშტაბურია, ვიდრე **ჯუმბერმა** ეს აღწერა.

*შეგახსენებთ, მოქალაქე **ჯუმბერ ბუზალაძემ** იმავე დღეს **დროებით საგამოძიებო კომისიას** ჩვენება მისცა, სადაც აღნიშნა, რომ 2005 წელს **ვანო მერაბიშვილსა** და **ერეკლე კოდუას** მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანები მოეწონა და შემდეგ გაიგო, რომ მათ ეს მანქანები მეუღლეებისთვის — **თაკო სალაყაიასა** და **ნანუკა ჟორჟოლიანისთვის** სჭირდებოდათ.*

**ჯონდი ბაღათურია:** — 2005 წლის 14 მაისს შინაგან **საქმეთა სამინისტროს სოდის დეპარტამენტი** შევიდა ყველა ავტობაზრობაზე, ავტოსადგომზე და ამოიღო 150 მანქანა. ამ 150 მანქანაში ყველა „ჯიპი“ იყო და მოყვა ჯუმბერის სამი „ჯიპი“ და ერთი ამერიკის მოქალაქის მანქანა. წარმოიდგინეთ, 150-დან 148-ამ ხმის ამოღება ვერ გაბედა. ახლა მანქანა რომ წაართვა კაცს კი არა, ცუდად რომ გადახედო, 9-ჯერ გიჩივლებს, ალბათ. 2 კაცი მოვიდა ჩემთან, **ჯუმბერ ბუზალაძე** და ეს ამერიკის მოქალაქე. მე განვუმარტე ჯუმბერსაც და ამერიკის მოქალაქესაც, რომ ეს იქნება რთული საქმე, მე მზად ვარ საინფორმაციო ომისთვის, თქვენ დაგიპირისპირდებიან-მეთქი. **ჯუმბერმა მითხრა — სამი ბინა ჩავდე, 13 შვილიშვილს უსახლკაროდ ვერ დავტოვებ და ვერ დავიხევ უკანო. მზად ვარ ამ ომისთვისო. იგივე თქვა ამერიკის მოქალაქემ, მაგრამ მეორე დღეს ან დაალაგეს, გააჩერეს, ან დაუბრუნეს, ზუსტად ვერ ვიტყვი, მოვიდა და მითხრა, გავედი ამ ომიდანო. კი ბატონო-მეთქი. რა უფლება მქონდა, ხომ არ დავაძალებდი.**

ჩავატარე პირველი ბრიფინგი და წამოვიწყე საინფორმაციო ომი ხელისუფლების წინააღმდეგ. არგუმენტები რაც ჩვენ გვქონდა, ქვას ხეთქავდა. მეორე დღეს ბათუმში წასვლა მომიწია. მირეკავენ ჩემი იურისტები, **ჯუმბერს** აკავებენო. შევეცადე, დაველაპარაკებოდი ვინმეს, ვინც იქ ამაში მონაწილეობდა, მაგრამ უარი თქვეს ჩემთან სატელეფონო კავშირზე. **ჯუმბერი** სოდის დეპარტამენტში მიიყვანეს. ხო, ეს 150 მანქანის ამოღება განახორციელა **სოდმა,** პირდაპირ **ერეკლე კოდუას** ბრძანებით. ჩემი დარწმუნებით, პრეზიდენტთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით მოხდა. **მინისტრი ვანო მერაბიშვილი** თვითონ იღებდა მონაწილეობას. 150 მანქანა 150 ნემსი ხომ არ არის, რომ ისე ამოეღოთ, პრეზიდენტს ეს არ სცოდნოდა. ყოველ შემთხვევაში, ხომ გაიგო მერე ჩემი ბრიფინგებიდან?! მოკლედ, **ჯუმბერს** პირდაპირ ბრალი დასდეს, რატომ მიხვედი **ჯონდი ბაღათურიასთანო.**

ახლა, რასაც მოგიყვებით, ეს არის სახე სისტემის. როცა აღკვეთი ღონისძიება განიხილებოდა სასამართლოზე, წარმოადგინეს გადაუთარგმნელი, ინგლისურ ენაზე ინტერპოლის მოპარულ მანქანათა სია. შემოხაზული ჰქონდათ, რომელი მანქანების მოპარვაშიც ედებოდა ბრალი. მოვითხოვე გადათარგმნა. აღმოჩნდა, რომ ერთი „მინივენი“ და ერთი „სედანი“ იყო. **ანუ იგივეა, ბოთლის ქურდობაში ჭიქის მფლობელს რომ ბრალი დაგდოთ.** ბრალი ედებოდა ისეთი რაღაცის ქურდობაში, რისი ნივთმტკიცებაც არ ჰქონდნათ. სასამართლო სხდომა შეწყდა, შესვენება გამოაცხადეს. მე პროკურორს დაველაპარაკე — **ხომ გესმით, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ცოტა უხეშად კი გამომივიდა, მაგრამ კანონის წინაშე ამის გამო პასუხისგება მოგიწევთ-მეთქი.** კაი კაცი იყო, ახლა გარდაცვლილია — **მე რას მერჩი, ბატონო ჯონდიო.** პატიმრობა არ მოითხოვოთ, ბრალდება იყოს, კი ბატონო, ვიბრძოლოთ ერთმანეთში-მეთქი. **რას ლაპარაკობ, დამიჭერენო — პროკურორი მეუბნება. როგორ დაგიჭერენ-მეთქი, აბა, ეს როგორ ჰყავთ დაჭერილიო.** აი, ეს არის სახე, როგორი მართლმსაჯულება გვქონდა ჩვენ მაგ დროისთვის.

შემდგომში **ნანუკა ჟორჟოლიანი** იყო უბრალოდ კატასტროფა. **მე ჩამოსული არ ვიყავი, ნანუკა ჟორჟოლიანი ჩაერთო, ნანული ჟორჟოლიანი, როგორც ოფიციალურად მას ჰქვია.** ახლანდელ „რუსთავი-2“-ს შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ, მაშინდელ „რუსთავი-2“-ზე არის ლაპარაკი, რომელიც ჩვეულებრივი დანამატი იყო სადამსჯელო რეპრესიული აპარატის.

**თეა წულუკიანი: — ე.წ. გამარჯვებული ხალხის ტელევიზია.**

**ჯონდი ბაღათურია:** — დიახ, **ნანუკა ჟორჟოლიანი** ჩაერთო ჩვენთან საინფორმაციო ომში. **ნანუკა ჟორჟოლიანმა,** არც მეტი არც ნაკლები, ბრალი დასდო იმაში, რაშიც ამათ დასდეს ბრალი — **იაპონურ მაფია იაკუძისთან კავშირში.** შაქრის დიაბეტი დაემართა ნერვიულობის ნიადაგზე. ერთი წელი ციხეში იჯდა, 7-კაციან საკანში, 12 კაცი რომ იყო და რიგრიგობით რომ იძინებდნენ. **ყველა ის უბედურება, რომელიც მისი დავალებით, მისი შემოქმედებით თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას და ბატონი ჯუმბერის მსგავსად არაერთ ოჯახს. ის ისტორიაში შევა, როგორც ტერიტორიების დამკარგავი, როგორც აგვისტოს ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის საომარ არეალში განზრახ ჩამტოვებელი და გამწირავი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, რომელმაც საკუთარი ჯარისკაცი და ჯარი გაწირა,** გვერდზე გასწია და თვითონ აწარმოა **მერაბიშვილთან და შალვა ჯანაშვილთან,** პოლიტიკოსებთან — **გიგი უგულავასთან, ლომაიასთან** და სხვებთან ერთად ომი, რის შედეგადაც რუსეთმა, როგორც ოკუპანტმა სახელმწიფომ, კიდევ უფრო მეტად გაიმყარა ჩვენს ქვეყანაში პოზიციები.



„თეა წულუკიანს სრულიად ვეთანხმები, სააკაშვილი სასტუმროში არ უნდა იყოს წამოკოტრიალებული, ისიც ისევე უნდა იხდიდეს სასჯელს, როგორც ჩვეულებრივად პატიმარი. იქნებ მისთვის უფრო სასარგებლოც იყოს ეს და ერთხელ მაინც წამოცდეს პირიდან – უფალო, შემიწყალე!“



სააკაშვილი შევა ისტორიაში, როგორც მწამებელი, მკვლელი. ქონებების რეკეტირი და ბიზნესის მჩაგვრელი, რომელმაც არამცთუ ააშენა სახელმწიფო, ისიც კი დაანგრია, რაც დახვდა.

**მისი ადგილი იქაც კი არ არის, სადაც ის არის, საავადმყოფოში, მისი ადგილი არის საკანში!**

## P.S.

**ჯონდი ბაღათურია:** — **თეა წულუკიანს** სრულიად ვეთანხმები, სააკაშვილი სასტუმროში არ უნდა იყოს წამოკოტრიალებული, ისიც ისევე უნდა იხდიდეს სასჯელს, როგორც ჩვეულებრივად პატიმარი. იქნებ მისთვის უფრო სასარგებლოც იყოს ეს და ერთხელ მაინც წამოცდეს პირიდან — **უფალო, შემიწყალე!** ოღონდ ერთს დავამატებ, **სააკაშვილი არის ქვეყნის მოღალატე და ღალატის მუხლითაც უნდა გასამართლდეს ასევე. მარტო დავითგარეჯი და 2008 წლის აგვისტოს ომი ეყოფა მას. ორთავე იყო სახელმწიფო ღალატი!** თავისი მერკანტილური ინტერესების გამო უღალატა ქვეყანას და ჩააგდო ხალხი ამ მდგომარეობაში!

სიმართლე გითხრათ, **არ მიხარია პატიმარი რომ არის, უბრალოდ, არ შეიძლება რომ არ იყოს. ადამიანს თავდადებით ვებრძვი, მაგრამ, როცა ის წაიქცევა, მის მიმართ ინტერესს ვკარგავ.** არ მაქვს სააკაშვილთან შეჯიბრებითობის განცდა, უბრალოდ, ჩემი ქვეყნის მტერია, კი წაქცეულია, მაგრამ ახლაც მტრობს ქვეყანას, მოქმედი მტერია!

**— გაქვთ იმედი, რომ თქვენ მიერ დადებულ დოკუმენტურ მასალას სათანადო შედეგი მოჰყვება? — ვკითხე „ასავალ-დასავალის“ სახელით ჯონდი ბაღათურიას.**

— საკმაო გამოცდილება მაქვს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის. ჩემი ოპტიმიზმი არის ფრთხილი, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონითაც და მორალურადაც ვალდებული ვიყავი, დროებით საგამომძიებო კომისიაზე მივსულიყავი და სიმართლე მეთქვა!

**თეა წულუკიანი:** — მადლობა, **ბატონო ჯონდი.** მე ჩვენს თანამებრძოლებთან ერთად მადლობას ვუხდი „ქართულ ოცნებას“, როგორც პარტიას, როგორც პოლიტიკურ გუნდს, ვინც სათავეში ედგა ამ კომისიის შექმნის იდეას, **იმიტომ, რომ ეს დასკვნა, რომელიც დაიდება, იქნება სააკაშვილისთვის მორიგი განაჩენიც. თუ გვისმენს, რომ იცოდეს, ის ვერ შევა ისტორიაში, როგორც აღმაშენებელი, ის ვერ შევა ისტორიაში, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი. ამ დასკვნის საფუძველზე, სადაც ერთ დოკუმენტში იქნება თავმოყრილი თითქმის**



ერეკლე კოდუა და ნანუკა ჟორჟოლიანი



ერეკლე კოდუასა და ნანუკა ჟორჟოლიანის მიერ დატერორებული ჯუმბერ ბუზალაძე

### ბოლოთქმა

დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის **თეა წულუკიანის** და ყოფილი დეპუტატის **ჯონდი ბაღათურიას** სიტყვებს მხოლოდ ერთს დავამატებდი — **თითოეული ქართველის ამ კომისიაზე მისვლას და იქ წარმოთქმულ სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ახლა არის შანსი, გასამართლდეს ქვეყნის ამომგდები ფაშისტური ორგანიზაცია — ნაციონალური მოძრაობა და ამით ქვეყნის მომავალიც დავიცვათ!**

*მოამზადა* **ნატო ფოცხიშვილმა**

# ვაჟა ოთარაშვილი:
# იცოდეს ყველამ, გიული ალასანიას უნივერსიტეტში, «ილიაუნსა» და ბენდუქიძის უნივერსიტეტში საქართველოს მტრებს ზრდიან!







***ცნობილი ქართველი პოეტი, პროფესორი ვაჟა ოთარაშვილი საქართველოს განათლების სისტემაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ რუსთაველის პროსპექტი აუცილებლად უნდა გაიწმინდოს სოდომისტების ჯოგისგან, რომელიც ფაშისტური პარტიის, ნაცმოძრაობის პირმშოა:***

— **საქართველოს, უპირველესად, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ! ქრისტე აღდგა!** ორი ათასი წელია, საქართველო ქრისტიანული, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და, შესაბამისად, ჩვენი კურსი დასავლური კი არა, უფლისკენ მიმართული უნდა იყოს! გასაკვირი არ არის, რომ ევრო-ამერიკული ლიბერალიზმის მამებმა იერიში სწორედ ქართულ მართლმადიდებლობასა და ეროვნულ იდეოლოგიაზე მიიტანეს. ამას დაემატა ისიც, რომ **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაიწყო ქართული მიწა-წყლის გასხვისებისა და ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის ამაზრზენი პროცესი. პარალელურად გახსნილად გამოცხადდა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო და დემოგრაფიული გენოციდი. ნახეთ, ვინ მოიყვანა ბატონმა ზვიადმა განათლების მინისტრად — ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მწერალი **ელიზბარ ჯაველიძე!** ბატონი ელიზბარის შემდეგ ვინ მოვიდა? ერთ-ორ გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ლიბერალიზმის მამებმა საქართველოს განათლების სამინისტროს შეუსიეს მაჯლაჯუნებები. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ფაშისტი სააკიანცის პერიოდში, როცა განათლების მინისტრის პოსტზე ერთმანეთს ცვლიდნენ: **ბია ნოდია, დიმიტრი შაშკინი, ხატია დეკანოიძე, ნიკა გვარამია, კახა ლომაია...** სხვათაშორის, კახა ლომაიას დროს მიღებული კანონი განათლების შესახებ დღემდე არ შეცვლილა.

სწორედ ქართული განათლების სისტემისთვის მოწყობილი გენოციდის შედეგია ის, რომ დღეს რუსთაველზე გამოდის უწიგნური, ბოგანო თაობა, რომელსაც არავითარი ეროვნული ღირებულებები და ინტერესი არ გააჩნია.

ეს არის ხალხი, რომელსაც წარმოადგენა არა აქვს საქართველოს ისტორიაზე, ქართულ მენტალიტეტზე, ქართულ ლიტერატურასა და ქრისტიანობაზე.

**დააკვირდით, იმ ტელემექავებს, რომლებიც ყოველდღე ტელეეკრანებიდან გვმოძღვრავენ.** საბოლოო ჯამში განათლების სისტემისთვის მოწყობილი გენოციდი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დონეზე აისახა, სადაც ერთმანეთის მიყოლებით იცავენ ძალიან მდარე ხარისხის სადოქტორო დისერტაციებს. უმძიმესი ვითარებაა **შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში,** რომლის ხელმძღვანელიც არის ვინმე **თეიმურაზ დოჭვირი.** ასეთი პიროვნება რომ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი იქნება, იქ დამთავრებულია ყველაფერი!

**— თეიმურაზ დოჭვირი ვინ არის და საიდან მოიყვანეს?**

— **თეიმურაზ დოჭვირი** 2007-2023 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი იყო. ეს კაცი არის პროფესიით **უროლოგი** და ერთადერთი წიგნის თანაავტორი, რომელიც შარდსასქესო ორგანოების ანომალიებს ეძღვნება. დღეს **დოჭვირი** გახლავთ საქართველოში ნებისმიერი მიმართულების სამეცნიერო კვლევების მთავარი დამფინანსებელი, რომელიც განკარგავს ბიუჯეტის ფულს და ძირითადად აფინანსებს ერთსა და იმავე ხალხს!

**— მაინც ვის აფინანსებს?**

— ჯერ იმაზე მოგახსენებთ, ფონდი რა პრინციპით მუშაობს! ფონდში შეტანილ საგრანტო პროექტზე უცხოელმა ექსპერტებმა უნდა დაწერონ დასკვნა და გვითხრან, პროექტი უნდა დაფინანსდეს თუ არა. კი ბატონო, თუ მე კოსმოსს ვიკვლევ ან სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებით მაქვს რამე ნოუჰაუ, დაწეროს უცხოელმა ექსპერტმა დასკვნა, **მაგრამ, როცა მე საქართველოს ისტორიასა და ქართველოლოგიაში ვმუშაობ, უცხოელმა ექსპერტმა რა დასკვნა უნდა დამიწეროს?** აი, მაგალითად, ჩემს გულისტკივილს გეტყვით! რუსთაველის ფონდში წარვადგინე პროექტი — **„გიორგი სააკაძის ფენომენი ევროპულ და აზიურ წყაროებში“.** ვგეგმავდი, უცხოური და ქართული წყაროების შეპირისპირების მეთოდით ამ დიდი პიროვნების შესახებ გაურკვევლობა და ორაზროვნება ერთხელ და სამუდამოდ დამესრულებინა! ერთ-ერთმა უცხოელმა „ექსპერტმა“ უარი მითხრა პროექტის დაფინანსებაზე და, იცით, „მიზეზად“ რა დაასახელა — **გიორგი სააკაძეს რუსეთის იმპერიასთან ჰქონდა კავშირიო!**

**— ეს როდის მოგწერეს?**

— შარშან! წარმოგიდგენიათ, ვინ მართავს და რა დონის სატანებისა და იდიოტების ხელშია რუსთაველის სახელობის ფონდი? ჯერ ერთი, **გიორგი სააკაძე** 1629 წელს მოკლეს და სად იყო მაგ დროს რუსეთის იმპერია?! მეორე — სად დაინახეს რუსეთი, 1609 წლის ტაშისკარისა და 1625 წლის მარტყოფის, მარაბდის და ქარჩოხის ბრძოლებში? **აი, ასეთი დეგენერატებისა და სულელების ხელშია ჩავარდნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსთაველის ფონდი!** მთელი უბედურება ის არის, რომ რუსთაველის ფონდს, რომელსაც უცხოელი ტვინგაყინული ექსპერტები მართავენ, საქართველოს ბიუჯეტი აფინანსებს. სხვათაშორის, ამ ფონდმა ქართველოლოგიური კონგრესიც კი არ დააფინანსა, როცა საქართველოში უცხოელი მეცნიერები უნდა ჩამოსულიყვნენ!

**— ცუდი პრეცედენტი მოხდა — ამ 36 წლის განმავლობაში პირველად ერთმა მუჭა სექტამ ერი 9 აპრილის მემორიალთან არ მიუშვა! ვინ არიან პაატა ბურჭულაძე და ძმანი მათნი, რომლებიც პარტიიდან პარტიაში დაძრწიან და პატრონებს ერთმანეთის მიყოლებით იცვლიან?**

— **პაატა ბურჭულაძე** და მისთანები სულწარწყმედილი ფუნის ჭიები არიან, რომლებიც საქართველოს ეროვნულ სხეულს ღრღნიან და აბინძურებენ! ესენი უბრალოდ ქართულად ლაპარაკობენ, თორემ არავითარი ქართული და ეროვნული ცნობიერება ამათ არ გააჩნიათ. ესენი არიან უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტები, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკური საქმიანობა უნდა აეკრძალოთ! **პაატა ბურჭულაძე** თვითონ ამბობს ინტერვიუში — **„რუსი ბანი“** ვარო! შე დალოცვილო, ამის შემდეგ მე მეძახი რუსს? მე რუსი როგორ ვარ, როცა სოფელ ქვემო ჭალაში, ჩემი სახლიდან ერთ კილომეტრში, რუსის საოკუპაციო ჯარი დგას? თავად ვარ 9 აპრილის მონაწილე, ჩემი სამი შვილით იმ ღამეს იქ ვიყავი და შემთხვევით გადავრჩი, რადგან ერთ-ერთ ბავშვს სიცხე მისცა და წამოვედით. მახსოვს, 9 აპრილის ღამეს **მამა ელიზბარმა** ქაშუეთის ეკლესიის წინ წიგნიც კი მაჩუქა — საეკლესიო კალენდარი. **წელს ვერ შევძელი 9 აპრილის ძეგლთან მისვლა, სოდომისტების ჯოგი რომ იდგა იქ და მერე ლგბტ ტრანსპარანტები გაშალეს.** ეს გათახსირებული ხალხი რა შუაშია 9 აპრილს დაღუპულთა სულებთან და საქართველოსთან? შინაგან საქმეთა სამინისტრო რუსთაველს ამ ნაგვისგან რატომ არ წმენდს? **მამუკა ხაზარაძე,** რომელიც გეპეის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო და გვატერორებდა, ლენინის „ზნაჩოკებით“ რატომ არ დადიხართო! — დღეს გახდა დემოკრატი? **ნაძირალა ხაზარაძე, რომელიც გეპეის პირველი კორპუსის წინ ცხონებულ მერაბ კოსტავას მოსაკლავად დასდევდა, 9 აპრილის მემორიალთან უნდა დადგეს და ჩვენ იქ ვერ უნდა მივიდეთ?** სწორედ ამაზეა ნათქვამი — ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს დარჩათ ასპარეზიო! მთელი ამ ამბის ტრაგიკომედია ის არის, რომ ესენი არც ვირები არიან!

**— თქვენ ძველი გეპეი, დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი ახსენეთ, რომლის პროფესორიც დიდი ხანია, ხართ! მოგეხსენებათ, ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები გიული ალასანიას აქვს მიტაცებული, რის შესახებაც თეა წულუკიანის კომისიას დაწვრილებით მოახსენეს უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ და კანცლერმა, პროფესორმა კარლო კოპალიანმა...**

— საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსი, სადაც მთელი ორი წელი გვიტარდებოდა ლექციები, ვიდრე მეექვსე კორპუსი გაიმართებოდა, მიტაცებული აქვს **გიული ალასანიას.** არადა, იქ იყო სტადიონი, პოლიკლინიკა, სამხედრო კათედრა. ეს ქალი მილიონებში ცურავს და ვინ მისცა ამის უფლება? **რატომ არ იძახებენ ამ გარეწარ ქალს და არ იჭერენ?** რადგან გიული ალასანია ფაშისტი სააკიანცის დედაა, ყველაფრის უფლება აქვს და ხმას იმიტომაც ვერ სცემენ? რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი **თეიმურაზ დოჭვირი** სწორედ მილიარდერ გიული ალასანიასა და „ილიაუნს“ აფინანსებს და ფულს სისულელეში ყრის. აი, მაგალითად, შარშან დააფინანსეს **მგლების ჰარმონიული ცხოვრების წესის შესწავლა დუშეთის რაიონის მაგალითზე;** წელს დააფინანსეს **ტურების თანაცხოვრება ადამიანებთან ერთად ლანდშაფტურ გარემოში** თუ რაღაც მსგავსი სიგიჟე. შეამოწმონ რუსთაველის ფონდი, რომელიც უზარმაზარ თანხებს რაღაც სისულელეების დაფინანსებაში ყრის! როგორც მოარული ხმები ამბობენ, რუსთაველის ფონდში დიდი „ატკატები“ „ტყდება“! **მივმართავ გენერალურ პროკურატურასა და შესაბამის სამსახურებს, კარგად შეისწავლეთ, რა ხდება რუსთაველის ფონდში და რა სისულელეებს აფინანსებს თეიმურაზ დოჭვირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ათეული მილიონებით!**



თეიმურაზ დოჭვირი

**„მივმართავ გენერალურ პროკურატურასა და შესაბამის სამსახურებს, კარგად შეისწავლეთ, რა ხდება რუსთაველის ფონდში და რა სისულელეებს აფინანსებს თეიმურაზ დოჭვირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ათეული მილიონებით!“**

**— ფაქტია, რომ ე.წ. ოპოზიციამ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოახდინა და გეგმა ჩავარდა! როგორ აფასებთ თეა წულუკიანის კომისიის მუშაობას და რას ეტყვით ბიძინა ივანიშვილს?**

— **ბიძინა ივანიშვილს,** უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვეტყვი იმის გამო, რომ ქვეყანა ომს აარიდა და იმ უბედურებაში არ გაგვაყოფინა თავი, რასაც ჩვენი კოლონიური მბრძანებელი — დასავლეთი მოგვიწოდებდა და ახლაც მოგვიწოდებს. თუ ჩემს რჩევას რამე აზრი და მნიშვნელობა აქვს, ბატონ ბიძინას ვეტყოდი, რომ აქცენტი ერთხელ და სამუდამოდ გაკეთდეს ეროვნულ, პატრიოტულ კადრებზე და არა უცხოეთიდან დანიშნულ ხელისბიჭებზე. უარი ვთქვათ ოდიოზურ ფიგურებსა და **პედე....ებზე! (ცენზურა ჩვენია. რედ.)** რაც შეეხება **თეა წულუკიანის** კომისიის მუშაობას, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოღალატე **გიორგი გახარიას** დაკითხვამ. ამ გარეწარს მარტო ის ეყოფა, რომ ნამახვანჰესის მიწები 121 ლარად გაყიდა! **თუ ციხეში არ წავლენ ის ადამიანები, რომელთა დანაშაულისა და ბრალეულობის კონტურები უკვე აშკარაა, მაშინ თეა წულუკიანის კომისია ფარსი იქნება!**

მხარს ვუჭერ ნაცმოძრაობის, როგორც ფაშისტური პარტიის აკრძალვას. სწორედ მაგათი გამოზრდილი სოდომისტები და ურჯულოები დგანან დღეს რუსთაველზე. იცოდეს ყველამ: **გიული ალასანიას უნივერსიტეტში, „ილიაუნსა“ და ბენდუქიძის უნივერსიტეტში საქართველოს მტრებს ზრდიან!** ეს ის სასწავლებლებია, სადაც ბავშვებს ეროვნული ცნობიერება უმახინჯდებათ. აუცილებელია, ქართულ სკოლებში ბავშვებს ასწავლონ საქართველოს ეკლესიის ისტორია და შეიცვალოს ეს სამარცხვინო სახელმძღვანელოები, რომელიც გრიფირების მაფიის მიერ არის დამტკიცებული. დემოგრაფიას მივხედოთ ქართველებმა, თორემ ხომ ხედავთ, ვწყდებით და ვნადგურდებით!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!**

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც

დასაწყისი მე-4 გვერდზე

**ცელარიაში. გახსოვთ ეს თათბირი?**

გიორგი გახარია: — **მახსოვს,** რომ მოვედი და იქ შეკრება იყო რაღაცა.

*ევრიკა!*

*ახსოვს!*

*რაღაც მაინც ხსომებია, ხალხო!*

*ჰოდა, წულუკიანიც ლამის მეცხრე ცას ეწია სიხარულით, რომ გახარიამ, როგორც იქნა, რაღაც გაიხსენა!*

თეა წულუკიანი: — **როგორ გამიხარდა, რომ რაღაც გახსოვთ!** თქვენ შემოგვიერთდით, ჩვენ უკვე ვისხედით. მე მაგიდის ბოლოში ვიჯექი, შუაში კოლეგები ისხდნენ, სადაც ეგების, იქ პრემიერ-მინისტრი იჯდა და თქვენ სულ იქით იჯექით, განაპირას. ყველანი ვიყავით გამწარებულები, აღშფოთებულები, რომ ეს უბედურება დაატყდა ზოგიერთ ადამიანს თავს. თქვენ ასევე იყავით ძალიან შეწუხებული, ეს ნამდვილად ასე იყო. **ერთადერთი კითხვა, რაც იმ თათბირზე ყველა კოლეგისგან, მათ შორის, ჩემგან ისმოდა, იყო რეზინის ტყვიებთან დაკავშირებით — რატომ იქნა ეს გამოყენებული? მე გითხარით — ბატონო გიორგი** (მე სხვანაირად თქვენ არასდროს არ მოგმართავდით), **ის მაინც არ გინახავთ, ვანო მერაბიშვილმა რეზინის ტყვიები რომ გამოიყენა და ზურგი ჰქონდა ხალხს დაჩვრეტილი, დასახიჩრებული იყვნენ ადამიანები, ეს ტყვიები რამ გამოგაყენებინათ-მეთქი?** თქვენი პასუხი, იცით, რა იყო? **რა ვქნა, ჩემო თეა, ერთი ეკონომისტი კაცი ვარო! აი, ეს იყო თქვენი პასუხი!** ეხლა თქვენ იძახით, რომ მე ვიტყუები, რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ეს იყო ასე!

გიორგი გახარია: — რა თქმა უნდა, იტყუებით! ეს არის ტყუილი!

თეა წულუკიანი: — **ეს არ არის ტყუილი, ეს იყო ნამდვილად ასე! თქვენ, ალბათ, იყავით მძიმე მდგომარეობაში, ამას ვადასტურებ და ეს არ გახსოვთ, მაგრამ ეს იყო ასე!**

გიორგი გახარია: — **ქალბატონო თავმჯდომარე,** ეკონომისტი არა ვარ და არ ვიტყოდი, ეკონომისტი კაცი ვარ-მეთქი! ეს არის ტყუილი!

თეა წულუკიანი: — **ეკონომისტიც არა ხართ? ეკონომიკის მინისტრი იყავით, ბიზნესომბუდსმენი იყავით! კარგი, დავანებოთ ამას თავი! ყველაფერი შეიძლება, დამაბრალოთ, მაგრამ ტყუილებს არ ვიძახი!**

*გახარია ისევ კომისიის წევრების დამუნათებაზე გადადის — ნახევარი სიმართლით ცდილობთ რაღაც სურათის დახატვას, 20 ივნისს ორგანიზებული შტურმის აღკვეთისას დაზიანებულ მოქალაქეებზე საუბრობთ და იმაზე არაფერს ამბობთ, რომ ახლა, ამ ბოლო პერიოდში, მშვიდობიანი მომიტინგეები პოლიციამ დაკავების შემდეგ სასტიკად სცემაო!*

*გახარიამ კომისიას ასევე მოუწოდა — **მშვიდობიანი აქციის დარბევას და 20 ივნისის ძალადობრივი პროტესტის აღკვეთას ერთმანეთს ნუ ადარებთო,** რაზეც **წულუკიანისაგან** იქვე მიიღო პასუხი **— თქვენ, სავარაუდო არაკომპეტენტურობის გამოისობით, ადამიანები დაასახიჩრეთ, ახლანდელმა შს მინისტრმა გომელაურმა კი პროცესები კომპეტენტურად მართა და ძალადობრივი აქციები ისე დაშალა, რომ მოქალაქეები არ დაუსახიჩრებიაო!***

*ამის შემდეგ საუბრის თემა 2019 წლის 20 ივნისს თბილისში **გავრილოვის** ჩამოსვლასა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მის ჩაჯდომაზე გადავიდა. **წულუკიანმა გახარიას** უთხრა **— დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, რომელიც იმ ღონისძიების მასპინძელი იყო, პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო და მას შემდეგ პოლიტიკაში არავის უნახავსო!***

*როცა **გახარიამ** განაცხადა — **გავრილოვისა და მისი დელეგაციის მასპინძელი პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე იყო, რომელმაც სრული პასუხისმგებლობა აიღო, რომ ყველაფერი წყნარად ჩაივლიდაო, წულუკიანმა შეახსენა — კობახიძე იმ დროს საქართველოში საერთოდ არ იყო, ბაქოში იმყოფებოდა, მაგრამ პოლიტიკური პასუხისმგებლობა მაინც იტვირთა და გადადგაო!***

*ამ თემაზე კამათს რომ მორჩნენ, **ალუდა ღუდუშაურმა,** მანდატურის ხელით, **გახარიას** პლანშეტი გაუგზავნა, რომელშიც პოლიციის შესახებ კანონის ტექსტი ჰქონდა გახსნილი და უთხრა **— აბა, მიპოვე აქ სად წერია, რომ პოლიციას თვითმოგერიების მიზნით შეუძლია რეზინის ტყვიების გამოყენებაო?***



**სოზარ სუბარი:** — თქვენს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ღამე იყო და არ იცით, რამდენი პოლიციელი იყო?
**გიორგი გახარია:** — პოლიციელების ზუსტი რაოდენობა **არ მახსოვს** და არც ყოფილა ეს ჩემი საქმე, პოლიციელების ზუსტი რაოდენობა მცოდნოდა.

გიორგი გახარია: — ახლა მე თქვენი ლექტორი კი არა ვარ!

ალუდა ღუდუშაური: — **ღმერთმა დამიფაროს, ბატონო გიორგი!**

გიორგი გახარია: — მეც ღმერთმა დამიფაროს ახლა, თქვენ ჭკუა გასწავლოთ, რა!

ალუდა ღუდუშაური: — **ამ სისულელეებს, რასაც თქვენ იძახით ახლა, მე ჩემი ლექტორები არ მასწავლიდნენ. ეგ სხვაობაა ჩემსა და თქვენს შორის!**

*როცა გახარიამ კვლავ ძველი ფირფიტა დაატრიალა — პოლიცია პოლიციის შესახებ კანონის შესაბამისად მოქმედებდაო და ღუდუშაური კვლავ შეეკამათა, **გახარიამ** მიმართა:*

— ლექტორებმა ქართული არ გასწავლეს?

ალუდა ღუდუშაური: — **თქვენ, ალბათ, იმ რუსმა ლექტორებმა სხვა რამე გასწავლეს და მე ჩემი საამაყო ქართველი ლექტორები იმას ნამდვილად არ მასწავლიდნენ, რასაც თქვენ აკეთებდით და რასაც დღეს აკეთებთ. ეს, ალბათ, თქვენ გასწავლეს იქ, რუსეთში რუსმა ლექტორებმა.**

თეა წულუკიანი: — თქვენ ბევრ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ, როდესაც შტურმი მოიგერიეთ, როდესაც ეს ადამიანების დასახიჩრებით დასრულდა, სამწუხაროდ, რასაც თქვენ ხარვეზებს უწოდებთ, მხოლოდ მეორე დღეს შეატყობინეთ ბიძინა ივანიშვილს, ესაუბრეთ ამის შესახებ და აუხსენით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. ადასტურებთ ამას?

გიორგი გახარია: — **არ მახსოვს,** ეს რომ სადმე მეთქვას, **არ მახსოვს!** ინტერვიუში? მანახეთ, აბა, რა ინტერვიუში თქვი!

თეა წულუკიანი: — **კი, მოძებნის ბატონი ალუდა, მაგრამ ადასტურებთ, რომ მასთან მეორე დღეს გქონდათ საუბარი და აუხსენით, რა მოვლენები განვითარდა?**

გიორგი გახარია: — მასთან საუბარი იმ დღესაც მქონდა, მეორე დღესაც მქონდა, მანამდეც მქონდა და იმის მერეც მქონდა, ბევრჯერ მქონდა.

სოზარ სუბარი: — **იმ ღამესაც?**

გიორგი გახარია: — იმ ღამესაც!

სოზარ სუბარი: — **ყველა ინტერვიუში ამბობთ, რომ საერთოდ არ გქონიათ არანაირი კონტაქტი, მხოლოდ მეორე დღეს გაიგო და მე განვუმარტე დეტალურად, რა გავაკეთე და როგორ გავაკეთეო!**

გიორგი გახარია: — მეორე დღეს ვესაუბრე მოვლენების განვითარების შესახებ.

თეა წულუკიანი: — **და მანამდე არ იცოდაო — ესეც გაქვთ ნათქვამი.**

გიორგი გახარია: — მანამდე იცოდა თუ არ იცოდა, ეს არ ვიცი, მაგრამ იმ დღესაც ვესაუბრე, მეორე დღესაც ვესაუბრე და მანამდეც ვესაუბრებოდი.

*ალუდა ღუდუშაური კითხულობს ამონარიდს **გიორგი გახარიას** 2019 წლის 17 ივლისის ინტერვიუდან, რომელშიც იგი ამბობს, რომ **ბიძინა ივანიშვილს 20 ივნისის ღამეს განვითარებული მოვლენების შესახებ მხოლოდ მეორე დღეს ესაუბრა.***

გიორგი გახარია: — ახლა თქვენ რა გინდათ, 17 ივლისს 2019 წლის მე ჟურნალისტმა რაღაც მკითხა, ის ვუპასუხე და ეგ მახსოვს? წარმოდგენა არა მაქვს, არც მახსოვს!

ალუდა ღუდუშაური: — **მოიცა, მოიცა, მოიცა, კაცო!**

გიორგი გახარია: — მე თქვენთვის **„კაცო“-**თი ხომ არ მომიმართავს?

ალუდა ღუდუშაური: — **ერთი წუთით, რა, ისეთი რამეები გვითხარით აქ...**

გიორგი გახარია: — **ბატონო კომისიის წევრო,** მოგმართავთ, რა.

ალუდა ღუდუშაური: — **ბატონო გამოსაკითხო პირო, ბატონო გახარია... შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაც გეუბნებათ — ყველაფერზე უთხარით „არ მახსოვს“, გარდა სახელისა და გვარისაო! ყველა ტელევიზიაში რომ დადიხართ და ასე ნახევარ სიმართლეს...**

გიორგი გახარია: — თქვენ წარმოგიდგენიათ, მე დღეში რამდენი კომენტარი მიმიცია?

ალუდა ღუდუშაური: — **თქვენ ხომ პატივისცემას ითხოვთ? რომ რთავთ ამ მიკროფონს და თავხედობთ, ასე ხომ არ შეიძლება? ეხლა მომისმინეთ...**

გიორგი გახარია: — **ივანიშვილს** იცავთ? ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰააააა... (იცინის. რედ.)

ალუდა ღუდუშაური: — მე ვიცავ სიმართლეს და დიახ, **ბატონი ივანიშვილი იცავს სიმართლეს და ამ ქვეყნის ღირსებას, ეს მოგწონთ თუ არა თქვენ!**

თეა წულუკიანი: — **თქვენ მელიას იცავდით, ჩვენ ბატონი ბიძინას გვერდით ვართ!** *(იღიმის. რედ.).*

ალუდა ღუდუშაური: — **ბატონ გამოსაკითხ პირს, ბატონ გიორგი გახარიას აუცილებლად ვაჩვენებ იმ ფოტოებს, სადაც ჩვენი პოლიციელები დაშავდნენ და ბატონი გახარია ამბობს, რომ ეს იყო, თურმე, მშვიდობიანი აქციები...** პოლიციელებს „მოლოტოვის კოქტეილებით“ ცოცხლად დაწვას უპირებდა ადამიანი, თქვენ იმ აქციაზე იდექით და საუბრობდით მშვიდობიან აქციაზე. **ეს კომისია, ბატონო გიორგი, თქვენთვის არის დისკომფორტი, მე მესმის! ეს არც ის ტელევიზიებია, სადაც თქვენ დადიხართ და ნახევარ სიმართლეს აფრქვევთ!**

გიორგი გახარია: — მერე დაალაგე, „იმედში“ მიმიშვან და, რა პრობლემაა, მივალ!

ალუდა ღუდუშაური: — **აგერ ხართ, კაცო, აგერ ხართ, ბატონო გამოსაკითხო პირო, აგერ ხართ და ბუნებრივია, რომ აქ დისკომფორტი გექნებათ, იმ ტელევიზიებისგან განსხვავებით, ამას უნდა შეეგუოთ და წერტილი, როგორც თქვენ გიყვართ ეს!**

გიორგი გახარია: — საერთოდ არა მაქვს დისკომფორტი, აი, არა მაქვს დისკომფორტი, შემიძლია, დილამდე უპრობლემოდ!

გურამ მაჭარაშვილი: — **ერთ ფაქტს გაგახსენებთ, ბატონო გამოსაკითხო პირო! თქვენ, მაშინ იყავით პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ნაცმოძრაობას ტრიბუნიდან უთხარით — მე თქვენ დაგასრულებთო!** თქვენ ახლა აქ მობრძანდით უკვე, **როგორც გამოსაკითხი პირი,** რომელმაც ნაცმოძრაობა კი არ დაასრულა, არამედ სიცოცხლე შეუნარჩუნა! **შეეცადეთ, ყოველ შემთხვევაში კოალიციის შექმნით ნაცმოძრაობასთან და ჩვენ ვართ ახლა ის კომისია, რომელსაც აი, ზუსტად ეგ მიზანი აქვს, რომ ნაცმოძრაობა სამართლებრივად დაასრულოს! აი, ეს არის განსხვავება ჩვენსა და თქვენს შორის!**

გიორგი გახარია: — ნაციონალურ მოძრაობას მე რომ დავპირდი, დაგასრულებთ-მეთქი, როგორც მიდის საქმე, ჩემი დასასრულებელი იქნება! თქვენ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლები იმდენი გყავთ უკვე „ოცნებაში მაღალ თანამდებობებზე და, სხვათაშორის, პარლამენტშიც ყოფილი ნაცებით არის გადავსებული „ოცნება“. ამიტომ, ნაცებს დასრულებით რომ ემუქრებით, ჯერ იქ თქვენები გააუქმეთ, იმათ მიხედეთ, რა!

გურამ მაჭარაშვილი: — **აბა, როგორ ემუქრებოდით ნაცმოძრაობას — დაგასრულებთო?**

გიორგი გახარია: — მე მაგას ვაკეთებ!

გურამ მაჭარაშვილი: — **როგორ აკეთებთ?**

გიორგი გახარია: — აი, ასე ვაკეთებ, როგორც ხედავთ! თქვენ ისე მიდიხართ, ზუსტად ჩემი დასასრულებელი იქნება ეგ ნაციონალური მოძრაობა!

თეა წულუკიანი: — **საკრებულოებში თქვენ და ნაცები ერთად ხართ „ოცნების წინააღმდეგ! ქუჩაშიც ერთად დგახართ!**

გიორგი გახარია: — საკრებულოში, რუსთავში, ბოლო შემთხვევა იყო, „ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ერთობლივად გადააყენეს... *(თავისი პარტიის წარმომადგენლის გადაყენებას გულისხმობს. რედ.)* მერე ნაცების წარმომადგენელი დანიშნეს საკრებულოს თავმჯდომარედ. ნაცებთან თანამშრომლობთ და გარდა იმისა, რომ თანამშრომლობთ, გარდა იმისა, რომ მათი ქმედებები სრულად გადმოიტანეთ, სახეების დონეზე გყავთ უკვე თქვენს რიგებში ინფილტრირებული. ამასთან ერთად, კითხვებიც ახალი ვერ მოიფიქრეთ ვერაფერი, ნაცების კითხვებს იღებთ და ისევ ნაცების კითხვებს სვამთ!

თეა წულუკიანი: — **აი, ახალ კითხვას დაგისვამთ და ამაზე არ მითხრათ — არ მახსოვსო! ეს არის თქვენ მიერ ხელმოწერილი ბრძანება 20 ივნისთან დაკავშირებით. ეს გვერდი ბრძანების არის ცარიელი და ამ გვერდს ჰქვია — „ღონისძიებაში მონაწილე ძალთა სტრუქტურა“. სტრუქტურა არ არის. ჰოდა, რატომ არ არის ეს შევსებული?**

გიორგი გახარია: — ჩადეთ მაშინ საქმეში და დაამთავრეთ!

თეა წულუკიანი: — **საქმეში დევს!**

გიორგი გახარია: — „ვსიო“, დევს და დევს, რა გინდათ! **მოვა დრო და გამასამართლებთ და ეგ იქნება, რა!** საქმეში ჩადეთ და გამოიძიეთ! მიდით, აბა, გამომიძიეთ ერთი, რას გამომიძიებთ! **არსად არ მივდივარ, არსად არ ვიმალები და არც კომისიაზე მოსვლის მეშინია, მოვდივარ აგერ, არანაირი პრობლემა არა მაქვს!**

თეა წულუკიანი: — **რაც შეეხება, ეკონომისტი არ ვარო, ცოტა**

**რეპორტაჟი საგამოძიებო**

# საქართველოს არ უნახავს!

**მეწყინა, იმიტომ, რომ თქვენი ბიოგრაფია ყველგან არის გავრცელებული, მოსკოვში გაქვთ დამთავრებული...**

გიორგი გახარია: — ჩემი მთავარი განათლება, საბაზისო განათლება არის პოლიტიკური მეცნიერება და მე ვთვლი, რომ მე ვარ პოლიტოლოგი. შემდგომ მაქვს ეკონომიკური განათლებაც მიღებული. თუ შეისწავლეთ ჩემი ბიოგრაფია, უნდა იცოდეთ.

თეა წულუკიანი: **— თქვენ თვლით, რა, გენდერი ხომ არ არის? აქ ვსაუბრობთ განათლებაზე, ვის რა გვაქვს მიღებული!**

გიორგი გახარია: — გენდერთანაც რას ვთვლი, მანდაც არა მაქვს პრობლემა.

თეა წულუკიანი: **— არა, გენდერზე არის ასე, რომ ვინც რას თვლის, ისეთი ვარო — ამბობენ, მაგრამ განათლება, რასაც თქვენ ჩათვლით, ისეთი ხომ არ იქნება? რაც გაქვთ მიღებული დოკუმენტურად, იმას ვამბობ — მოსკოვში გაქვთ დამთავრებული, ხართ ბიზნესის მართვის მაგისტრი, რა არის ამაში დასამალი?**

გიორგი გახარია: — ასევე მაქვს დამთავრებული და ვარ პოლიტიკური მეცნიერების...

თეა წულუკიანი: **— კი ბატონო, და რატომ თქვით ეკონომისტი არა ვარო? არ გახსოვდათ, ეტყობა.**

სოზარ სუბარი: — ნაწილობრივი ამნეზია დღეს, ეტყობა, სერიოზული თემაა და საზოგადოებისთვის წავიკითხავ უბრალოდ **— „2003-2004 წლებში სწავლობდა მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის უმაღლეს ბიზნეს სკოლაში, სადაც მიენიჭა ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი“.** როგორც ჩანს, ესეც **არ ახსოვს!**

გიორგი გახარია: — და რა არის ახლა აქ? მანამდე რა წერია, ისიც წაიკითხეთ.

თეა წულუკიანი: **— არა, ეკონომისტი არ ვარო და... მე რომ მაშინ მიპასუხეთ — რა ვქნა, ჩემო თეა, ერთი ეკონომისტი კაცი ვარო!**

გიორგი გახარია: — დედა, ნახე, კომისია რას იკვლევს, თურმე!

სოზარ სუბარი: **— ტყუილები არ უნდა უთხრათ საზოგადოებას!**

გიორგი გახარია: — ტყუილებს თქვენ ამბობთ! კიდევ ერთხელ გეუბნებით — ჩემს პროფესიად ვთვლი იმას, რასაც ვთვლი და თქვენი საქმე არ არის, მე რა განათლება მაქვს მიღებული, რა! მე მაგის გარდა კიდევ ბევრი განათლება მაქვს მიღებული.

***ალუდა ღუდუშაური*** *კვლავ პლანშეტს იღებს, ეკრანს* ***გიორგი გახარიასკენ*** *ატრიალებს და ძალადობრივი პროტესტის შედეგად დასახიჩრებული პოლიციელების ფოტოებს აჩვენებს და ეკითხება* ***— ეს არის მშვიდობიანი აქცია?***

***— ამ სპექტაკლს რომ დაასრულებთ, მითხარით და გაგცემთ პასუხს!*** *— ამბობს* ***გახარია,*** *რაზეც* ***წულუკიანი*** *პასუხობს —* ***თქვენი ყოფილი თანამშრომლები — პოლიციელები რომ დაასახიჩრეს, ეს არის სპექტაკლიო?!***

*აღსანიშნავია, რომ შედარებით მშვიდად ჩაიარა საგამოძიებო კომისიის ქარიშხლიანი სხდომის იმ მონაკვეთმა, რომელიც* ***გიორგი გახარიას*** *მიერ შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში, ე.წ. საოკუპაციო ზოლში პოლიციის საგუშაგოს გახსნას ეხებოდა. კომისიის წევრები ამტკიცებდნენ, რომ* ***გახარიამ*** *ამ ნაბიჯით ვითარების ესკალაცია გამოიწვია, ოს სეპარატისტებთან ლამის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა საქმე და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დააყენა.*

***თავის მხრივ, გახარია ამტკიცებდა, სახელმწიფო ინტერესი დავიცავი და ჩორჩანას 1 800 ჰექტარი ტყე ოკუპანტების კლანჭებისაგან გადავარჩინეო, მაგრამ კომისიის წევრებმა ფაქტები დაუპირისპირეს — თქვენი ქმედებების შედეგად საოკუპაციო საზღვარმა კილომეტრნახევრით გადმოიწია და იქ, სადაც სეპარატისტების არცერთი საგუშაგო არ იყო, ახლა ხუთი საგუშაგოა განთავსებულიო!***

*და კიდევ: არ გეგონოთ, რომ სხდომის ამ მონაკვეთმა* ***გახარიას*** *საფირმო* ***„არ მახსოვს“****-ის გარეშე ჩაიარა!*

*როცა* ***გურამ მაჭარაშვილმა*** *ჰკითხა —* ***ჩორჩანაში საგუშაგოს განთავსებაზე პრემიერ-მინისტრი თუ დაგეთანხმათ და კონკრეტულად, რა გითხრათო, გახარიამ განაცხადა — პრემიერი დამეთანხმა, მაგრამ რა სიტყვები მითხრა, არ მახსოვსო!***

*ამის შემდეგ კომისია მიადგა* ***2021 წლის 18 თებერვლის მოვლენებს, როცა გახარიამ*** *ბრიფინგი ჩატარა და განაცხადა* ***— იმის გამო, რომ ნიკა მელიას დაკავების საკითხთან დაკავშირებით გუნდში კონსენსუსს ვერ მივაღწიე, პრემიერის თანამდებობას ვტოვებო!***

თეა წულუკიანი: **— 2021 წლის 15 თებერვალს, მე, თქვენ, ირაკლი ღარიბაშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი ვიყავით პოლიტსაბჭოს წევრები. თქვენ იყავით პრემიერ-მინისტრი, მე ამ დროს დეპუტატი ვარ. პოლიტსაბჭოს წევრებსა და უმრავლესობას შორის პარტიის ოფისში გაიმართა დისკუსია მელიას დაკავებასთან დაკავშირებით.**

გიორგი გახარია: — თუ გახსოვთ, ივანიშვილი ესწრებოდა ამ სხდომას?

თეა წულუკიანი: — ეს თქვენ მითხარით, რა გახსოვთ?

გიორგი გახარია: — არა, უბრალოდ, კითხვა დავსვი.

თეა წულუკიანი: — კითხვებს აქ მე ვსვამ.

გიორგი გახარია: — უმმმმ!

თეა წულუკიანი: — ჰმმმმ! **დიახ! ამ შეხვედრაზე მე აქტიური როლი არ მქონია, მაგრამ ის ორი ყური მქონდა, რომელიც დღეს აქ მოვიტანე და იგივე მახსოვრობა მქონდა, მგონია. თქვენი პოზიცია, როგორც პრემიერ-მინისტრის, ძალიან ცარგად მახსოვს, მაგრამ მაინც ვლაპარაკობ იმ ადამიანების კონტროლის ქვეშ, რომლებიც მაშინ დეპუტატები იყვნენ — ბატონი გურამი, ბატონი ალუდა, ბატონი სოზარი, ბატონი ალეკო.** ამდენი ადამიანი იქ ვესწრებოდით. მაშინ გითხარით კიდეც და მოვიწერე კიდეც გუნდში, რამხელა იყო თქვენი ნაბიჯით გამოწვეული იმედგაცრუება, იმიტომ, რომ თქვენ, **დიახ, იყავით ჩვენი ლიდერი და ვერ წარმომიდგენია, თუ მიწისძვრა მოხდა თქვენს გარშემო, ადამიანმა ასე დაყაროს ყველაფერი, გუნდი, რომელიც მას ენდობა, 20 ივნისის მერეც კი, კითხვებს უსვამს შიგნით, მაგრამ აგრძელებს მასთან მუშაობას...** თქვენ იღებთ ამ გადაწყვეტილებას, პრაქტიკულად, მოწმენდილ ცაზე, ტოვებთ თანამდებობას და შემდეგ ვერსიები არის მრავალგვარი. თუ გნებავთ, მოგვიყევით და მერე კითხვები დავსვათ.

გიორგი გახარია: — კითხვებით დავიწყოთ, რა არის აქ... მე ვფიქრობ, რომ ბევრად უფრო დინამიური იქნება.

***წულუკიანის თქმით,*** *მაშინ პრემიერ გახარიას პოზიცია იყო, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ნაცმოძრაობის ოფისში გამაგრებული* ***მელიასათვის*** *დეპუტატის იმუნიტეტი მოეხსნა, რათა მისი დაკავება მომხდარიყო. ამას* ***გახარიაც*** *ადასტურებს და დასძენს —* ***კობახიძემ, რომლის მაშინდელი თანამდებობაც არ მახსოვს*** *(ოჰ, ისევ ეს კოსმიური „არ მახსოვს“. რედ.)* ***მთხოვა, დეპუტატებს გავსაუბრებოდი და მელიასათვის იმუნიტეტის მოხსნის აუცილებლობაში დამერწმუნებინა, რადგან ზოგიერთი მათგანი ორჭოფობდაო!***

თეა წულუკიანი: **— ესე იგი, რაღაცა სწორად გვახსოვს და არ ვიტყუებით! ძალიან კარგი!**

გიორგი გახარია: — თუ შეამჩნიეთ, მეც მახსოვს!

თეა წულუკიანი: **— კარგია, რომ ეს გახსოვთ!**

***წულუკიანმა*** *ასევე გაიხსენა, რომ დეპუტატების ერთი ნაწილი კითხულობდა,* ***რამდენად იყო დაზღვეული საგარეო პოლიტიკური რისკები და მელიასათვის იმუნიტეტის მოხსნა საერთაშორისო პარტნიორების გაღიზიანებას ხომ არ გამოიწვევდა?*** *მისივე თქმით, ზოგიერთ დეპუტატს არ სჯეროდა, რომ იმუნიტეტის მოხსნის შემთხვევაშიც კი* ***მელიას*** *დაკავება მოხდებოდა და* ***გახარიას*** *ეკითხებოდნენ —* ***ხომ ნამდვილად დაიჭერთო,*** *რაზეც იგი კატეგორიულად პასუხობდა —* ***დასაჭერია და დავიჭერთო!***

*ეს რომ ნამდვილად ასე იყო,* ***გახარიამაც*** *დაადასტურა, რის შემდეგაც* ***ალუდა ღუდუშაურმა*** *ჰკითხა —* ***ამ ყველაფრის შემდეგ თქვენი გადადგომა იყო თუ არა უღირსი საქციელი*** *და გუნდის ღალატიო?*

გიორგი გახარია: — თქვენი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენა არა გაქვთ, რა მოხდა იმ შეხვედრის შემდგომ და დილამდე. თქვენ ახლა საუბრობთ ისეთ რაღაცაზე, რომლის მხოლოდ 30 პროცენტს ხედავთ, დანარჩენ 70 პროცენტს ვერ ხედავთ და აკეთებთ საკმაოდ რადიკალურ განცხადებებს. როგორც, მინიმუმ, არასწორი ხართ!

***კითხვაზე*** *— გადადგომის მიზეზად მელიას დაკავებასთან დაკავშირებით გუნდში არსებული უთანხმოება რატომ დაასახელე, როცა ყველანი ერთსულოვნად ვუჭერდით მხარს მის აყვანასო,* ***გახარიამ*** *უპასუხა — ეს იმიტომ ვთქვი, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და გუნდს გავუფრთხილდი, მაგრამ ახლა თუ კითხვას დამისვამთ, ყველაფერს მოვყვები და მერე საზოგადოებამ გამოიტანოს დასკვნა, ვინ არის მორალურად მართალიო!*

თეა წულუკიანი: **— აბა, მოდით, მაშინ ვთქვათ, სხვა როდისღა შევხვდებით ჩვენ. თუმცა, მაისში კი შემოხვალთ პარლამენტში.**

გიორგი გახარია: — მანამდე, მე ვფიქრობ, დაკითხვებზე დამიბარებთ, აქ რაღაცა საქმეები აღმიძარით უკვე და...

თეა წულუკიანი: **— ერთხელ გნახეთ, ყელამდე ვართ თქვენი პატივისცემით და, მე მგონი... სხვაგან თუ დაგვიბარებენ ყველას ერთად, ჩვენ ნამდვილად მივალთ, მე და სოზარს რაც გვახსოვს, ის რომ მოვყვეთ. თქვენ შემოგვთავაზეთ — თუ გულწრფელად მკითხვათ, გიპასუხებთო და არ ვიცი, როგორ დაგიდასტუროთ, რომ გულწრფელად გეკითხებით?**

გიორგი გახარია: — რაღაც კითხვების რაოდენობა შეგიმცირდათ უბრალოდ და აგერა ვარ!

თეა წულუკიანი: **— ახლა ვიწყებთ მხოლოდ!**

გიორგი გახარია: — კი ბატონო, მოკლედ მოგიყვებით მაშინ, შუაში რა ხდება და მერე გავაგრძელოთ კითხვებით, იმიტომ, რომ მე რასაც ვუყურებ, თქვენ გიჭირთ კითხვების დასმა!

თეა წულუკიანი: **— კითხვა არის ასეთი — თქვენ უნდა შეხვედროდით ამ შუალედში რომელიღაც ელჩს, რომელმაც გადაგაფიქრებინათ მელიას დაკავება, ნუ, სხვა გაზა აღარ იყო და მიგვატოვეთ და სხვის ჭკუაზე გაიარეთ!**

გიორგი გახარია: — აი, ამ ტყუილის თქმა გიჭირდათ ახლა!

თეა წულუკიანი: **— ტყუილი კი არა, კითხვა მაქვს — მართალია ეს?**

გიორგი გახარია: — არა, ეს არ არის მართალი!

თეა წულუკიანი: **— მაშინ რა მოხდა?**

გიორგი გახარია: — მარტივი რამ მოხდა — პროცესში სამართავად შემოვიდა **ივანიშვილი,** რომელმაც ეს პროცესი თავიდან ბოლომდე წაიღო თავის თავზე და დაიწყო ამ პროცესის მართვა. რას აპირებდა და როგორ მართავდა, მე წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ მე დადასტურებულად, ფაქტებით ვიცი და ჩემი გადადგომა იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ **მელია** არ უნდა დაგვეკავებინა, **ჩემი გადადგომა იყო გამოწვეული იმით, რომ არც თქვენ და არც საქართველოს მოქალაქეებს პრემიერი, რომელსაც მინისტრებს უმართავს ადამიანი, რომელმაც ერთი თვის წინ თქვა, რომ პოლიტიკიდან მივდივარ და არასდროს არ დავბრუნდებიო, ასეთი პრემიერი არავის აღარ სჭირდებოდა**. მე თუ გამოვედი და ვთქვი, რომ ამაზე ვერ შევთანხმდით, ამით დავიცავი მაშინ მხოლოდ და მხოლოდ გუნდი და სახელმწიფოს ინტერესები. დღეს გეუბნებით — **მე არ გადავმდგარვარ მელიას გამო, ეს გამორიცხული საკითხია! მე გადავდექი, უბრალოდ, იმის გამო, რომ მთავრობას, რომელზეც ადამიანმა ხალხსაც დაპირდა, მეც დამპირდა, ხელიც ჩამომართვა და ამის მაგივრად... მე, უბრალოდ, ჩავთვალე, რომ ასეთი პრემიერი არც არავის აღარ სჭირდებოდა და გამოვედი, გავაკეთე ის, რაც გავაკეთე.** მაშინ დავინახე პირველად და მაშინ გავავლე პარალელი იმასთან, თუ რა შეიძლება, მომხდარიყო 20 ივნისს. თუ მიმდინარე ღონისძიების დროს არანაირი პრობლემა არ იყო, პრემიერის გვერდის ავლით აი, ასე ძალოვანი სტრუქტურების და გასამხედროებული საჯარისო ქვედანაყოფების გაყვანა-გამოყვანა და მოძრაობა, არაფერი უკვე გამორიცხული არ არის.

თეა წულუკიანი: **— არ ვიცი, რამდენ ხანს ფიქრობდით ამ ახსნაზე, 4 წელი? მაინც ვერ გავიგე, ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ გაგიჩნდათ განცდა, თითქოს, შინაგან საქმეთა მინისტრი არ გემორჩილებოდათ და ფეხს ითრევდა?**

გიორგი გახარია: — მე ამას კი არ ვამბობ, მე ამას ფაქტებით დაგიდასტურებთ!

თეა წულუკიანი: **— ჰოდა, დაგვიდასტურეთ!**

გიორგი გახარია: — თქვენ გამოძიება ხართ?

თეა წულუკიანი: **— აბა, რა ვართ? ფაქტი ის არის, რომ თქვენ როგორც კი გახვედით სცენიდან, მაშინვე დააკავა შინაგან საქმეთა მინისტრმა მელია თავისი ე.წ. ჯოხებიანი ბოევიკებიანად. ამიტომ არ ჯდება ლოგიკაში, რომ ის ფეხს ითრევდა. იქნებ თქვენ გეწყინათ და გადადექით?**

გიორგი გახარია: — არაფერი არ




გაგრძელება მე-14 გვერდზე

# კომისიის სკანდალური სხდომიდან

**მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!**

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც საქართველოს არ უნახავს!

*დასაწყისი*
*მე-4 გვერდზე*

მეწყინა, რომელი მაწყინარა ახლა მე მნახეთ!

**თეა წულუკიანი: — აბა, რა მოხდა?**

გიორგი გახარია: — მარტივი რამე მოხდა! მე სხვა რამეს გეუბნებით, თქვენ სხვაგან მიგყავთ!

**თეა წულუკიანი: — არსად არ მიმყავს, ფაქტს ვიძახი! თუ ის ფეხს ითრევდა...**

გიორგი გახარია: — რაში ითრევდა ფეხს?

**თეა წულუკიანი: — დაკავებაში!**

გიორგი გახარია: — მე ის არ მითქვამს, რომ დაკავებაში ფეხს ითრევდა, პირიქით, მე რომ ვეუბნებოდი, ჯერ გავაკეთოთ პოლიტსაბჭოს სხდომა და შემდგომ... არა, ის იქიდან იღებდა დავალებას, რომ მიდი ახლა, შევარდითო!

**თეა წულუკიანი: — აჰა, ანუ თქვენ ითრევდით ფეხს!**

გიორგი გახარია: — ერთი წუთით, ფეხს თქვენ ითრევდით! პენიტენციური დაწესებულების ნომერი მივანიჭოთო და ერთი თვის მერე რომ დავიჭიროთ...

**თეა წულუკიანი: — დეპუტატი ვარ მე ამ დროს, ჰა-ჰა-ჰააა...**

გიორგი გახარია: — თქვენ მაშინ პოლიტსაბჭოს წევრი იყავით!

**თეა წულუკიანი: — რა შუაშია ჩემთან პენიტენციური?**

**სოზარ სუბარი: — პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტი რატომ არის კრიმინალის დაკავება-არდაკავება?**

გიორგი გახარია: — დედა, რა ამბავი ატყდა!

**თეა წულუკიანი: — მოდით, ნუ აიბლანდებით!**

გიორგი გახარია: — მეეეე?

**თეა წულუკიანი: — 2021 წლის 18 თებერვალს მე ვხელმძღვანელობ პარლამენტში განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის კომიტეტს და რა შუაშია პენიტენციური?**

გიორგი გახარია: — კი, როგორც ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, ეს აზრი გამოთქვით!

**თეა წულუკიანი: — ანუ კომიტეტში ვარ დეპუტატი და ვიხუმრე რომ, თუ ვერ აკავებთ, იმას მივანიჭოთ ციხის ნომერი-თქო, ეს გითხარით, რეალურად!**

გიორგი გახარია: — არ გიხუმრიათ, ეს საკმაოდ სერიოზული დისკუსია იყო.

**თეა წულუკიანი: — პოლიტსაბჭოს წევრის, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ბრალი ყოფილა, რომ თქვენ ფეხი აითრიეთ და ვერ აკავებდით მელიას?**

გიორგი გახარია: — არა, არა!

**თეა წულუკიანი: — ნუ დაიბნევით ახლა, ძალიან გთხოვთ, რა! მთლად ასეთი დაბნევაც არ ივარგებს, ახლა გვითხარით, რა არის მომხდარი? გომელაური ფეხს არ ითრევდაო! თქვენ გინდოდათ პოლიტსაბჭოს ჩანიშვნა. რისი თქმა გინდოდათ?**

გიორგი გახარია: — ახლა ამ თავდაცვას, რომელსაც თქვენ ახორციელებთ, აზრი არა აქვს!

**თეა წულუკიანი: — თავდაცვა თუ თავდასხმა?**

გიორგი გახარია: — თავდაცვა! თქვენ ახლა თავს იცავთ!

**თეა წულუკიანი: — თავს კი არ ვიცავ, გეუბნებით, რომ მე ამ დროს ვარ დეპუტატი და არ ვარ იუსტიციის მინისტრი-მეთქი!**

გიორგი გახარია: — გავიგე, გავიგე...

**თეა წულუკიანი: — თქვენ გინდათ, დეპუტატს დააბრალოთ, რომ არ დააკავეთ და ვერ დააკავეთ ვიღაცის დავალებით მელია! ვის შეხვდით და ვინ გითხრათ, რომ არ ღირდა მელიას დაკავება?**

*გახარია კვლავ ამბობს — თქვენ მელია ისეთი ფორმით დააკვეთ, რომ მერე მისი გარეთ გამოშვება მოგიწიათ, მე კი მინდოდა, ისე ამეყვანა, უცხოელებს არავითარი კითხვის ნიშანი არ დარჩენოდათ და საფუძველი არ მისცემოდათ, რომ მისი ამნისტია მოეთხოვათო!*

თეა წულუკიანი: — **მელიას** არ აკავებდით და **გომელაურს** არ აძლევდით მოქმედების საშუალებას!

## გიორგი გახარია: — არაფერ შუაში არ არის გომელაური, სად შეგყავთ ახლა გომელაური?

## თეა წულუკიანი: — **გომელაური** იყო შინაგან საქმეთა მინისტრი!

## გიორგი გახარია: — მერე რა, რა გინდათ ამ **გომელაურთან** თავის გაჭირვება აქვს, დაანებეთ თავი ამ გომელაურს, რა!

## თეა წულუკიანი: — გომელაურს არაფერი გაჭირვება არა აქვს, თქვენგან განსხვავებით!

**სოზარ სუბარი: — გომელაურმა, თქვენგან განსხვავებით, მელიას დაკავებაც შეძლო და მიტინგებიც ისე ალკვეთა, რომ არ დაუზიანებია ადამიანები ისე, როგორც თქვენ დააზიანეთ!**

*გახარია კვლავ თავისას ამბობს — ჩემი გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ **ბიძინა ივანიშვილი** შემოვიდა პროცესში და გუნდის გადაწყვეტილებაზე იმოქმედაო!*

**თეა წულუკიანი: — კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ხომ არ შეხვდით რომელიღაც უცხოელს, დიპლომატს, რომელმაც გუნდის წინააღმდეგ და საკუთარი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლის გადაწყვეტილება მიგაღებინათ?**

გიორგი გახარია: — მე გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ მიმაღებინებს!

**თეა წულუკიანი: — მაგალითად, ხომ არ შეხვდით ისეთ უცხოელებს, რომლებმაც შემდეგ მელიას გირაოს ფული შეუგროვეს და გადაუხადეს?**

გიორგი გახარია: — არა, არავის ჩემს გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება არ მოუხდენია! ჩემს გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება მოახდინა...

**თეა წულუკიანი: — მაშინ, თქვენ შეგეშინდათ დაკავების?**

გიორგი გახარია: — არა, თქვენ შეგეშინდათ, მე რა შემეშინდა, კაცო!

**თეა წულუკიანი: — მე შემეშინდა?**

გიორგი გახარია: — აბა?

**თეა წულუკიანი: — ვისი შემეშინდა?**

გიორგი გახარია: — ვისი და **ბიძინასი, რომელმაც დაგირეკათ და გითხრათ, რომ ეხლა გაჩუმდითო,** რა! მიაყენეთ ერთი ადგილიო და ახლა რაც არის გასაკეთებელი, გააკეთეთო! ამის შეგეშინდათ, მეტი არაფრის!

**თეა წულუკიანი: — ესე იგი, ძალიან საინტერესო ამბებს ვისმენთ, რომ არ იყოს ეს ბრინჯივით დაბნეულობა თქვენი მხრიდან! ესე იგი, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ დაგვირეკა... „ჩვენში“ ვის გულისხმობთ, პოლიტსაბჭოს წევრებს თუ შინაგან საქმეთა მინისტრს?**

გიორგი გახარია: — **შინაგან საქმეთა მინისტრს** დაურეკა ზუსტად!

**თეა წულუკიანი: — დაგვირეკა და შეგვაშინა, რომ...**

გიორგი გახარია: — მე არ ვიცი! თქვენ ხომ არ იცით, მე **ივანიშვილთან** რა ურთიერთობა მქონდა? თქვენ რა ურთიერთობა გაქვთ, მე არ ვიცი!

**თეა წულუკიანი: — პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა გვაქვს დღემდე!**

გიორგი გახარია: — მეც პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა მქონდა, ძალიან დიდი პატივისცემაზე დაფუძნებული!

**თეა წულუკიანი: — შესაბამისად, შეგვაშინა და როცა გვაშინებდა, რა გვითხრა?**

გიორგი გახარია: — მე არ ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს, ფაქტია, რომ რაღაც მომენტში, არ მახსოვს ახლა დრო, რვა საათი იქნებოდა თუ რვის ნახევარი, სუყველა გაქრით!

**თეა წულუკიანი: — თქვენ ვიღაცამ გარედან გადაგაფიქრებინათ — მელია არ დააკავოო და გაგიყვანათ ოპოზიციაში, ეს არის მომხდარი! თქვენ გაგიყვანეს ოპოზიციაში და ნუ გრცხვენიათ, აღიარეთ ეს!**

გიორგი გახარია: — **ქალბატონო თეა,** ასე რთულია სიმართლის მოსმენა?

**თეა წულუკიანი: — რა არის სიმართლე? გეკითხებით — ვის შეხვდით და ვინ გაგიყვანათ ოპოზიციაში?**

გიორგი გახარია: — გიპასუხეთ — არავინ! ეს არის **სულელური შეკითხვა** და თუ გაინტერესებთ სიმართლის მოსმენა, აგერა ვარ და გპასუხობთ! სიმართლეს რომ იგებთ, მერე ემოციურად იძაბებით!

**თეა წულუკიანი: — სულელურ შეკითხვებს სვამენ სულელები, ამიტომ მადლობა კომპლიმენტისთვის, მე არა მაქვს პრობლემა! ყველა ხედავს, თქვენ რა დღეშიც ჩაიგდეთ თავი!**





გიორგი გახარია: — თუ გახსოვთ, ივანიშვილი ესწრებოდა ამ სხდომას?
თეა წულუკიანი: — ეს თქვენ მითხარით, რა გახსოვთ?
გიორგი გახარია: — არა, უბრალოდ, კითხვა დავსვი.
თეა წულუკიანი: — კითხვებს აქ მე ვსვამ.
გიორგი გახარია: — უმმმმ!

ვინ გაგიყვანათ ოპოზიციაში და დაგაპირისპირათ „ქართული ოცნების“ გუნდთან? აი, ეს რომ არ მითხრათ, ვერ გადავრჩები! მითხარით!

გიორგი გახარია: **— ივანიშვილმა!**

თეა წულუკიანი: **— ოპოზიციაში გაგიყვანათ ივანიშვილმა?** (იცინის. რედ.)

გიორგი გახარია: — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

თეა წულუკიანი: **— არ გრცხვენიათ, ამას რომ ამბობთ?**

გიორგი გახარია: — არა, არ მრცხვენია! ივანიშვილმა, რა თქმა უნდა!

თეა წულუკიანი: **— ივანიშვილმა გითხრათ, რომ აღარ დაიჭირო მელიაო?**

გიორგი გახარია: — **ივანიშვილმა,** მაშინ, როდესაც...

თეა წულუკიანი: **— ძალიან მძიმე დღეში ხართ!**

გიორგი გახარია: — ნუ ღელავთ ჩემზე! ჩემზე ნუ ღელავთ!

*კომისიის წევრი **თენგიზ შარმანაშვილი** გიორგი გახარიას ეუბნება, რომ მისი განცხადება — გადავდექი, რადგან **ივანიშვილი** ჩემს ზურგს უკან ამოქმედდა და პროცესების მართვა დაიწყოო,*

*გაგრძელება*
*მე-19 გვერდზე*

# რეპორტაჟი საგამოძიებო კომისიის სკანდალური სხდომიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი

# ტრისტან წითელაშვილი:

# ვერაგული სქემა გაშიფრულია,

## ვარშავის ამ ოფისში ქართველ მიგრანტებს ყალბ კონტრაქტებს უფორმებენ და მოტყუებით მიჰყავთ უკრაინის სასაკლაოზე!

*ვარშავის ცენტრალურ უბანში, დრზევორიტნიკოვის ქუჩაზე, არის ოფისი, რომელსაც სააკაშვილის ბანდის წარმომადგენლები კურირებენ. მაღალი ანაზღაურების დაპირებით აქ პოლონეთში სამუშაოს მძებნელ მიგრანტებს იტყუებენ, რომელთა შორისაც, ძირითადად, ქართველები არიან. სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად ყალბი კონტრაქტების გაფორმებით ამ ადამიანებს პირდაპირ სასაკლაოზე — უკრაინის ფრონტის წინა ხაზზე აგზავნიან. არადა, მათ შორის, ძალიან ხშირად სროლის უცოდინარები არიან. მოტყუებულთა ნაწილი უკრაინაში იღუპება ან უგზო-უკვლოდ იკარგება! — აცხადებს ვარშავიდან ახალდაბრუნებული სამხედრო ექსპერტი* **ტრისტან წითელაშვილი**, *რომელმაც ამ საკითხზე კერძო გამოძიება ჩაატარა და სკანდალური ინფორმაციები მოიპოვა:*




ტრისტან წითელაშვილი ვარშავაში, ორ ქართველ ემიგრანტთან ერთად

— ნაცები და სააკაშვილის გარემოცვა თუ ადრე ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდნენ, ამჯერად უკვე ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობაზე გადავიდნენ. რახანია, მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ვარშავაში ნაცებს ოფისი ჰქონდათ გახსნილი, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან პოლონეთში ჩასულ მიგრანტებს მსუყე ანაზღაურების სანაცვლოდ საომრად უკრაინაში აგზავნიდნენ. ამიტომ, როგორც სამხედრო ექსპერტმა, გადავწყვიტე, ამ მიმართულებით კერძო გამოძიება მეწარმოებინა. გამოვიყენე ჩემი წყაროები, პირადი კონტაქტები და პოლონეთში გავემგზავრე.

ნანხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — **გავშიფრე და უტყუარი მტკიცებულებებით შევავსე ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობის სქემა!** უახლოეს მომავალში საქართველოს მოსახლეობას სკანდალურ მასალებს წარვუდგენ, ხოლო ნაცებს ვპირდები, რომ ამ სისხლიანი ბიზნესის ჩავარდნასთან ერთად, პასუხისმგებლობა არ ასცდებათ!

**— ოფიციალურად რა საქმიანობით არის დაკავებული აღნიშნული ოფისი?**

— აქ დასაქმების მსურველ ადამიანებს აგროვებენ, რომელთაც უკრაინაში დაბომბილი ქალაქების ნანგრევებისგან გასუფთავებას, ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოცლას, შედუღებას, მშენებლობას და სხვა მშვიდობიანი სამუშაოების შესრულებას სთავაზობენ. ამ მიზნით მსურველებთან შესაბამისი კონტრაქტიც ფორმდება. რაც მთავარია, საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებიან — თანხა კომპენსაციებითა და პრემიებით თვეში 5 ათასი აშშ დოლარიდან იწყება და, ზოგჯერ 10 ათას დოლარსაც აღემატება! ვინ არ ცდუნდება ასეთი სატყუარათი, მითუფრო, ღატაკი მუშახელი! საათობრივ სამუშაოებსაც სთავაზობენ მიამიტებს. თანამედროვე სტილის ოფისია, აღჭურვილია სიგნალიზაციებით, დაცვის სისტემებით. პრესაშიც არეკლამებენ თავიანთ საქმიანობას და ქალაქში კედლებზეც აკრავენ შესაბამის პლაკატებს, რაც ევროპის ქვეყნებში სამუშაოს საძებნელად გადახვეწილ ქართველებსაც ხვდება თვალში. განსაკუთრებით კი ის უხარიათ, როდესაც დამსაქმებელთა შორის თანამემამულეებს ნახულობენ, იმედი ეძლევათ, რომ ისინი პატიოსნად მიუდგებიან და ღირსეული ანაზღაურებით კარგ სამსახურს შეურჩევენ, თუმცა, ვერ წარმოიდგენენ, რომ საბედისწერო ხაფანგში ებმებიან!

**— რატომ არის „საბედისწერო ხაფანგი“? რაში მდგომარეობს აფერა?**

— 20-50-კაციანი ჯგუფების დაკომპლექტებისთანავე, კურატორებს ეს ადამიანები ავტობუსებით ლვოვში გადაჰყავთ. ამ მომენტიდან ოჯახთან კავშირი წყდება. შეპირებული სამსახურების ნაცვლად, მოჯამაგირეები ხვდებიან სამხედრო ბაზაზე, რომელსაც ქართველები ხელმძღვანელობენ. იქ გებულობენ, რომ შრომითი კონტრაქტი იყო ფიქცია და სატყუარა! მოჯამაგირეებს მყისიერად ართმევენ თავისუფალ ნებას, ყველა სამოქალაქო უფლებას, გარე სამყაროსთან კავშირის საშუალებებს და, ასევ ვთქვა, თანამედროვე მამლუქები მენტორების განკარგულებაში ხვდებიან. დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში ამ საწყალ ხალხს ასწავლიან საბრძოლო მოქმედების პირობებში იარაღის გამოყენებას. შემდეგ ურიგებენ სამხედრო ფორმას, შესაბამის აღჭურვილობას და **უკრაინელი ფაშისტი ზედამხედველების ხელმძღვანელობით** პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე მიჰყავთ, რაღა თქმა უნდა, საზარბაზნე ხორცად!

**— გასაგებია, რომ კონტრაქტს არღვევენ და პირდაპირ ფიცხელ ომში ასაქმებენ ადამიანებს... თანხას მაინც თუ უხდიან, რათა დამშეულ ოჯახს გაუგზავნონ?**

— ოოო, ეგ ცალკე საკითხია. შეიძლება თავიდან კიდეც მისცენ მცირე ანაზღაურება, მაგრამ მერე ჯამაგირს უკავებენ. **თუ მებრძოლი გაკადნიერდება და ფულს მოითხოვს, მას, უბრალოდ, კლავენ.** ასე რომ, საბოლოოდ თანხას მაინც არ უხდიან მსხვერპლს! **რატომ მისცემენ, თუ მისი ლიკვიდაცია და თანხის ერთმანეთში გადანაწილება უფრო ადვილია?**

**რაც უფრო მეტი თანხა აქვს ასაღები მეომარს, მით მეტია ალბათობა, ზურგში ნასროლი ტყვიით დაიღუპოს. ამ სასაკლაოს სასწაულით გადარჩენილი ადამიანი მიყვება, რომ, როდესაც კუთვნილი ფული მოითხოვა, მიხვდა, რომ დამსაქმებლების მხრიდან სამიზნედ იქცია თავი.**

**— ნუთუ ტყვეობიდან თავის დაღწევას და გამოქცევას ვერავინ ახერხებს?**

— ეს თითქმის შეუძლებელია. წინ მოწინააღმდეგეა, უკან — უკროფაშისტები, რათა ფრონტიდან გამოქცეულებს ცეცხლი გაუხსნან! ამგვარად, ასეთ სიტუაციაში მოხვედრილ ადამიანს აღარ რჩება გზა, გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგეს შეებრძოლოს იმ იმედით, ვინძლო გადარჩეს, თუმცა, შანსი მიზერულია! **ამიტომ აბსოლუტური უმრავლესობა იღუპება ან მოწინააღმდეგის, ან ზურგში ჩასაფრებული ფაშისტ-ბენდერელის ტყვიით.** მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ვიდეოკადრები, სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები ქალაქებში როგორ განუკითხავად იჭერენ უკრაინელ ახალგაზრდებს ფრონტზე




გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2025 წლის №11–15

გიორგი ბეზირგანი

# კრემლის

# კატასტროფა

***ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 50-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს ცხოვრების დონის სხვადასხვა მაჩვენებლით მსოფლიოში მე-5 ადგილი ეკავა, ხოლო ეროვნული პროდუქტის ნამატით — აბსოლუტური პირველი, თანაც, სხვა სახელმწიფოებისაგან სოლიდური დაშორებით. სამი ათეული წლის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის მცდელობით, მიუხედავად მდგომარეობის გამოსწორებისთვის იური ანდროპოვის ამაო ძალისხმევისა, სახელმწიფომ პირველი მაჩვენებლით 77-ე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო მეორეთი — 68-ეზე და მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანას გაუსწრო ბავშვთა სიკვდილიანობით, აბორტების, განქორწინებათა რიცხვით და ალკოჰოლის მოხმარებით. ეკონომიკა დაუოკებლად მიექანებოდა უფსკრულისკენ. საძირკველი დალპა. იოსებ სტალინისა და მისი ნაწრთობი ბოლშევიკური კოჰორტის გენიითა და ენერგიით დედამიწაზე აღმართული გრანდიოზული შენობა დღე-დღეზე ჩამოიქცეოდა.***

სწორედ ამ პერიოდში, სამი გენმდივნის დამარხვის შემდეგ, ქვეყნის მართვის საჭესთან შედარებით ახალგაზრდა, ენერგიული მიხეილ გორბაჩოვი დადგა. როგორ უნდა მოქცეულიყო? ბრეჟნევის და ჩერნენკოს უძრაობის პოლიტიკის გაგრძელება სიკვდილს უდრიდა. თავისი მასწავლებლის ანდროპოვის მაგალითით „ქანჩების ბოლომდე მოჭერაც“ საბოლოოდ თვითმკვლელობამდე მიიყვანდა. ქვეყანაში უკვე, ფაქტობრივად, განუყოფლად „უძლვებოდა აღლუმს“ ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკა. და ოფიციალურს მასთან ბრძოლა აშკარად არ ძალუძდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზება რომ მოახდინოს? მაგრამ ამან შეიძლება პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვა გამოიწვიოს. ან იქნებ ამ ორი ეკონომიკის სინთეზით, გაერთიანებით გამოვიდნენ გარღვევიდან?

ამასობაში კი დოლარი გეგმაზომიერად უტევს და ნაბიჯ-ნაბიჯ იკავებს ყველა საკვანძო ადგილს საბჭოეთის ქვეყანაში. ნორმალურად ცხოვრება მხოლოდ დოლარების მფლობელთ შეუძლიათ, რამეთუ მანეთი ფარატინა ქაღალდად იქცა. მაღაზიის თაროებიდან პირველი აუცილებლობის საგნები ქრება. ხორცის, კარაქის და სხვა პროდუქტების გაცემა ტალონებით იწყება. სპეკულანტების ქარავანი მოსკოვისკენ მიისწრაფვის (სადაც ჯერ კიდევ შეიძლება რამის შეძენა), რადგანაც პროვინციები გამოფხეკილია. და, თქმაც კი მზარავს, თვით უმაღლესი რანგის სპეცგამანაწილებლებში დელიკატესებით მომარაგება ფერხდება.

რამე უნდა იღონონ. მაგრამ ჩიხიდან გამოსასვლელად ისევ და ისევ დოლარებია საჭირო. თუმცა, კაპიტალისტები „ბოროტების იმპერიის“ დაფინანსებაზე უარს აცხადებენ.

•

**გორბაჩოვისდროინდელი პოლიტბიუროს ერთ-ერთი პირველი სხდომა.** სიტყვას ახალი გენმდივანი წარმოთქვამს. იქნებ, ეკონომიკას საბაზრო პულსი შევძინოთ და მაშინ პროცესი დაიძვრება. როგორ შეხედავენ ამას ამხანაგები?

მაგრამ „ამხანაგები“ მხრებს იჩეჩენ. საჭიროა ვალუტა, ბევრი ვალუტა. განსვენებული ბრეჟნევი კიდევ ახერხებდა იმპერიალისტებთან მოლაპარაკებას, მაგრამ ანდროპოვმა ისეთი ამბები დაატრიალა, რომ მორჩა, აღარაფერს მოგვცემენ. ვალუტის გარეშე რა ეკონომიკის აღმავლობაზე შეიძლება ლაპარაკი?

**გორბაჩოვი** (იღიმება): **არსებობს კიდევ ერთი მუხლი, რომლითაც მოგვცემენ.**

გაოცებული, დაინტერესებული და დაძაბული თვალები ახალ გენმდივანს მიებჯინა.

**გორბაჩოვი: ადამიანის უფლებების, საჯაროობის, ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის მუხლით მოგვცემენ.**

**ჩებრიკოვი** (КГБ-ს თავმჯდომარე): **დიახ, მოგვცემენ, მაგრამ ეს დასასრულის დასაწყისია, მიხაილ სერგეევიჩ, საჯაროობა და გარდაქმნა კატასტროფას გამოიწვევს.**

**რიჟკოვი** (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე): **მთავარია, ფული მოგვცენ, ხოლო სად და როგორ გამოვიყენებთ — სხვა საკითხია. ჩვენ მას კაპშენებლობაში ჩავდებთ. ვერცერთი კომისია ვერ გაერკვევა.**

**შევარდნაძე** (საგარეო საქმეთა მინისტრი): **ვთვლი, რომ მიხეილ სერგის ძე მართალია. ადამიანის უფლებები ჩვენთან მტკივნეული საკითხია. მას სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. საბაზრო ეკონომიკა კი ქვეყანას გამოაცოცხლებს.**

**იაკოვლევი** (სკკპ ცკ-ის მდივანი): **მთლიანად და სავსებით ვუჭერ მხარს ამ წინადადებას. თუ ადამიანის უფლებების მუხლით მოგვცემენ — უნდა მივიღოთ. და ამ საქმეში მართლაც შევცვალოთ რაღაცები. ადამიანებს მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ. „დათბობა“ ქვეყანას გადაარჩენს, ეკონომიკას გამოაცოცხლებს.**

სკკპ ცკ-ის მდივანი **ლიგაჩოვი,** ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **რომანოვი,** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ალიევი** პირქუშად დუმან. ახალ გენმდივანთან მათი ურთიერთობა ვერ აეწყო. უფრო მეტიც, გორბაჩოვის სეიფში ინახება მასალა „უზბეკურ საქმეში“ ლიგაჩოვის მონაწილეობის და ლენინგრადში რომანოვის თავაშვებული ქმედებების შესახებ.

მაგრამ გორბაჩოვის წინადადების კენჭისყრისას ყველა მორჩილად სწევს ხელს. თავი არავის შეუკავებია.

•

გორკის გარეუბანში გადასახლებულ აკადემიკოს სახაროვის ბინაში ერთი წლის წინ გამორთული ტელეფონი მოულოდნელად აწკრიალდა.

— ანდრეი დმიტრიევიჩ, — გაისმა ყურმილში უცნობი ხმა, — ბოდიშს გიხდით გვიანი ზარისთვის. გორბაჩოვი გაწუხებთ მოსკოვიდან. შეგიძლიათ, როცა მოისურვებთ, მაშინ დაბრუნდეთ. პარტიისა და მთავრობის სახელით პატიებას გთხოვთ ყველაფრისთვის, რაც თქვენს თავს დატრიალდა...

•

მსოფლიოს აღტაცებისაგან სული შეუგუბდა. „გორბაჩოვმა სახაროვი გაათავისუფლა“ — ღაღადებდა გაზეთების ქუდები პლანეტის ყველა ენაზე. „კრემლის ეს ნაბიჯი, — ასკვნიდა ლონდონის „ფაინენშელ ტაიმსი“, — უდავოდ მოწმობს, რომ რუსეთში მრავალწლიანი უძრაობის და განუკითხაობის შემდეგ კვლავ დათბობა იწყება. წაიწევს თუ არა წინ კრემლის ახალი მმართველის დასახული ნოვაციები? ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, რამდენს ჩადებს დასავლეთი დაავადებულ საბჭოთა სისტემაში... მაგრამ, ასეა თუ ისე, უკვე ყველასათვის ცხადია — მოსკოვმა ახალი კურსი აიღო...“

•

მსოფლიოში დაწყებული აჟიოტაჟით ფრთაშესხმული გენმდივანი თვალისმომჭრელი ღიმილითა და გაწვდილი ხელით იწყებს ვოიაჟს პლანეტაზე. ეს „გულღია კომუნისტი“ და მუდმივად მის გვერდით მყოფი, უკანასკნელი მოდის მიხედვით ჩაცმული მეუღლე დასავლეთს ესიმპათიურება.

სტალინის მეუღლე ნადეჟდა ალილუევა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობდა. სამრეწველო აკადემიაში, სადაც ის სწავლობდა, არავინ იცოდა, რომ გენმდივნის ცოლი იყო. ვიქტორია ბრეჟნევა ხალხში იშვიათად ჩნდებოდა. რაც შეეხება ანდროპოვს, დასავლეთის ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ ის უცოლოა, ვიდრე დაკრძალვაზე მისი ქვრივი არ ნახეს.

მაგრამ რაისა მაქსიმოვნა წინამორბედებისაგან განსხვავდება. და სანამ ქმარი ხალხთან შეხვედრებზე სახმო სიმებს იწყვეტს, მრავალრიცხოვან ინტერვიუებს იძლევა და ირწმუნება, რომ პარტიამ ახალი კურსი სერიოზულად და სამუდამოდ აიღო, ცოლი დასავლეთის დედაქალაქებში „ამერიკენ ექსპრესის“ საკრედიტო ბარათებით დაქრის და საიუველირო თუ ანტიკვარულ მაღაზიებს ლაშქრავს. **ის 70 ათას გირვანქა სტერლინგად ზუსტად ისეთ საყურეს უკვეთავს, როგორიც რკინის ლედის — მარგარეტ ტეტჩერს აქვს. აუქციონზე ფაბერჟეს სააღდგომო ოქროს კვერცხს ყიდულობს (ნივთი უნიკალურია, რუსეთის საიმპერატორო გვარის შეკვეთით მხოლოდ რამდენიმე ასეთი შედევრი შეიქმნა. უნიკალურია ფასიც — 2,5 მილიონი დოლარი).**

**ის შეკვეთებით ავსებს დიორს, კარდენს. და ორი განთქმული მოდელიერი კირკიტა ჟურნალისტების შეკითხვისას პირველად ამბობს უარს შეკვეთის საერთო ღირებულების დასახელებაზე.**

•

დასავლეთი ფულს იძლევა. მაგრამ ცოტ-ცოტას. და კონკრეტული საქმეებისთვის. სახაროვის გათავისუფლება კეთილშობილური ჟესტია. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უნდა გათავისუფლდეს სინდისის ყველა პატიმარი. დამთავრდეს სამარცხვინო ომი ავღანეთში. საბჭოთა პრესას თათრული ცენზურის სადრუნჩე ჩამოეხსნას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა ჯარები გამოვიდნენ, რათა ამ სახელმწიფოთა ხალხებმა თვითონ განსაზღვრონ საკუთარი ბედი.

და გორბაჩოვი ყველაფრის გაკეთებას ჰპირდება, რასაც კარნახობენ, ოღონდაც ქვეყანაში ულევ ნაკადად მოედინებოდეს ვალუტა.

და აი, საბჭოთა კავშირში საჯაროობის და გარდაქმნის სარქველები იხსნება. საჯაროობა თავიდან აღვირახსნილი ანტისტალინური კამპანიის ახალ ეტაპში გამოიხატა. გარდაქმნის კურთხევა კი ლენინის სახელით ხდება.

„ჩვენს გზას ლენინს ვუსწორებთ, — ამბობს ახალი გენმდივანი, — რას ამბობდა ილიჩი, ამხანაგებო, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებისას? ის ამბობდა, რომ ნეპი სერიოზულად და დიდი ხნით შემოდის. სტალინმა კი რა გააკეთა? მან დაამახინჯა ლენინური იდეები, დაიწყო ყაზარმული სოციალიზმის შენება, სოციალისტური კანონიერების დარღვევა. სწორედ ამან მიგვიყვანა, ამხანაგებო, იქამდე, რაც ახლა გვაქვს.“

ლენინის მეორე ციტატა — „ნეპის რუსეთიდან სოციალისტურ რუსეთამდე“ — გორბაჩოვს თავის გამოსვლებში არ მოჰყავს. ბუნებრივია, არც ილიჩის სხვა ფუძემდებლურ ანდერძებს ახსენებს — რომ პარტიასა და სოციალიზმს დაღუპავს მრავალპარტიულობა და ბურჟუაზიული დემოკრატია, რაც მთავარია, „ვაჭრობის თავისუფლება“, რომელიც „ერთად აღებულ კოლჩაკებზე და დენიკინებზე უფრო საშინელია.“

**„მეტი დემოკრატია, მეტი საჯაროობა!“** — აცხადებს გორბაჩოვი ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზში.

**„მეტი სოციალიზმი, მეტი დისციპლინა!“** — მოძღვრავს საბჭოთა ხალხს შინ დაბრუნების შემდეგ.

ბოლოს კი ამ ორ ლოზუნგს აერთიანებს და შინ თუ გარეთ თუთიყუშივით იმეორებს: **„მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი! გარდაქმნის მდუღარე ქვაბში მთელი ჩვენი საზოგადოება მოიხარშება!“**

მაგრამ დემოკრატია და სოციალიზმი, როგორც ურანის ორი კრიტიკული მასა, მიახლოებისას აფეთქებას მოახდენს. „გარდაქმნის ქვაბში ხარშვას“ კი საზოგადოება თავისით იწყებს. ქვეყანას სამიტინგო ვნებათაღელვა იპყრობს, ჩნდება სახალხო ფრონტები. კრემლი ქვეყანაზე კონტროლს კარგავს.

თუხთუხებს აღმოსავლეთ ევროპა. გაივლის ცოტა ხანი და ამ ქვეყნებს ანტიკომუნისტურ ამბოხებათა ტალღა გადაუვლის. ბუქარესტის თოვლზე დარჩება სასამართლოს გარეშე დახვრეტილი ცოლ-ქმარი **ჩაუშესკუების** გვამები. **ერიხ ჰონეკერი** საბჭოთა სამხედრო ბაზაზე მიმალვას მოასწრებს. ბულგარეთის ლიდერს **ტოდორ ჟივკოვს** ხაზინის ქურდობის ბრალდებით ციხეში ჩაამწყვდევენ. დაინგრევა ხრუშჩოვის მიერ აღმართული ბერლინის კედელი და გამარჯვებული არმია, რომლისთვისაც სამშობლოში ყაზარმებისა და ბინების მომზადებაც ვერ მოასწრეს, სამარცხვინოდ გამოიქცევა გერმანიის მიწიდან.

ასევე უსახელოდ დატოვებენ საბჭოთა ჯარისკაცები ავღანეთის მიწას.

•

ეშმაკ პოლიტიკოსს, სახელისუფლებო თამაშებში გამოწვრთნილ პარტიულ ინტრიგან გორბაჩოვს მშვენივრად ესმის, რით შეიძლება დამთავრდეს მისი „თამაში“. და ჩასაძირი გემიდან გადასარჩენად პირველ რიგში „მშობლიური კომუნისტური პარტიისგან“ თავის შორს დაჭერას ცდილობს. ის ქვეყანაში ყველა საფეხურის თავისუფალი არჩევნების ჩატარების და საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების განზრახვას აცხადებს, რათა ყველაფერი ნორმალური ადამიანებივით ჰქონდეთ, როგორც „ვაშინგტონისა და პარიზის საუკეთესო სახლებში“. ყველგან პრეზიდენტია და ჩვენც პრეზიდენტი გვეყოლება. ამ პოსტზე ერთადერთ კანდიდატად ის, ცხადია, საკუთარ ძვირფას პერსონას წარადგენს.

ბუნებრივია, თავად პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებზე ლაპარაკიც არ არის. სსრკ-ის პირველ (და უკანასკნელ!) პრეზიდენტს ერთხმად ირჩევს სახალხო დეპუტატების ყრილობა. ჯერჯერობით გორბაჩოვი შეთავსებით სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანიც არის. და თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც „საუკეთესო სახლებში“ — მმართველი პარტიის ლიდერმა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი დაიკავა. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. არსი კი ადვილად იკითხება — გენმდივანი მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პარტიიდან დეზერტირობს.



# აბლაბუდა ★

*მიღებულია, რომ ე. წ. ГКЧП-ს (საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი) შეთქმულება გენმდივან გორბაჩოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ გადატრიალების ამ თავიდანვე განწირული მცდელობის პერიპეტიებზე ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი, რომ, ფაქტობრივად, ის თავად გორბაჩოვის შეთქმულებად უნდა ჩაითვალოს. არ ვიცი, დამეთანხმება თუ არა მკითხველი, მაგრამ ჩემი აზრით, გორბაჩოვი, რომელმაც ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა, მიხვდა, რომ პრეზიდენტის ტიტულიც ვერ გადაარჩენს, საქმე სრული კრახისაკენ მიდის, ქვეყანა ნაკერებზე ირღვევა (ბუნებრივია, პირადად მისთვის სავალალო შედეგებით). პროცესის დამუხრუჭება მას უკვე აღარ შეეძლო. ამასთან, „ჭანჭიკების მოჭერის“ უფლებას უკანასკნელი გენმდივნის და პირველი (და ასევე უკანასკნელი) პრეზიდენტის მიმართ დასავლეთში დამკვიდრებული დემოკრატის რენომეც არ აძლევდა. ერთადერთი შანსი მდგომარეობის სხვისი ხელით ხსნა გახლდათ. თანამოსაგრეები გენმდივანს დროებით ჩამოაცილებენ ხელისუფლებას, საგანგებო მდგომარეობას შემოიღებენ და რკინისებურ წესრიგს დაამყარებენ. გარკვეული ხნის შემდეგ კი გორბაჩოვი ხელისუფლებაში დაბრუნდება, ლაგამს ოდნავ მოუშვებს და რეჟიმს, ერთი მხრივ, დემოკრატიისა და თავისუფლების, მეორე მხრივ კი — სოციალიზმისა და კომუნისტური წესრიგის აუცილებელ რაოდენობას მიუზომავს. ამგვარად, სახელმწიფოც გადარჩება და ტახტიც გამაგრდება. თუ იმ დღეების მოვლენებს ყურადღებით დავაკვირდებით, ზემოთ თქმულის პირდაპირ თუ არა, ირიბ დადასტურებას მაინც დავინახავთ.*
*ეს იდეა ჩაიფუშა. რატომ და როგორ, ამას ქვემოთ ვნახავთ.*

●

პირველი „შეცდომა“ 1990 წლის მარტში სკკპ-ის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ კონსტიტუციის მე-6 მუხლის ამოღება იყო. მეორე — რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ელცინის არჩევა. თანაც რუსებს დაჟინებით შთააგონებენ იდეას, რომ ელცინი რუსეთის პრეზიდენტიც უნდა იყოს. და ძალიან მალე ის ხდება კიდეც პრეზიდენტი, თანაც, გორბაჩოვისაგან განსხვავებით, სახალხოდ არჩეული. გამოდის, რომ ქვეყანაში ორი პრეზიდენტია. და თუ ერთი გიგანტურ რუსეთს ხელმძღვანელობს და თითქმის ხალხის ნდობით სარგებლობს, მეორეს ყოველგვარი ნდობა დაკარგული აქვს და, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტთა აღლუმის პირობებში, პრაქტიკულად, არაფერს ხელმძღვანელობს.

საიდუმლო მოლაპარაკება, რომელსაც გორბაჩოვი 1991 წლის ივნისში ორი ყველაზე დიდი რესპუბლიკის — რუსეთის და ყაზახეთის ლიდერებთან ელცინთან და ნაზარბაევთან აწარმოებს მათთან ხელისუფლების გაყოფის მიზნით, ფაქტობრივად, უშედეგოდ მთავრდება. ნაზარბაევს გორბაჩოვი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს სთავაზობს, ელცინს — პარტიის გენმდივნის ან პირველი მდივნის. თვითონ კი პრეზიდენტად რჩება. ამ წინადადებებს ორივე ლიდერი დიდი ენთუზიაზმის გარეშე იღებს. ნაზარბაევი ყაზახეთში ისედაც ღმერთიც არის და მეფეც, რაში სჭირდება მოსკოვში მეორე ან მესამე როლის სათამაშოდ გადაბარგება? ელცინისთვის შეთავაზებული პოსტი ხომ საერთოდ მოჩვენებითია — პარტიის ხელმძღვანელი როლი გაუქმებულია, ქვეყანაში სახალხო ფრონტები ბობოქრობენ და სკკპ-ს ლაფს ასხამენ. ასე რომ, რუსეთის და ყაზახეთის ხელმძღვანელები არც „ჰოს“ ამბობენ, არც „არას“ და არაფრისმთქმელი „უნდა მოვიფიქრო“-თი იფარგლებიან.

მაგრამ გორბაჩოვს, ცხადია, ესმის, რომ მისი გეგმა ჩავარდა. ის გულდამძიმებული მიემგზავრება ოჯახთან ერთად დასასვენებლად ფოროსში.

და მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება.

**1991 წლის 5 აგვისტოს** КГБ-ს თავმჯდომარე **კრიუჩკოვი** ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში ცკ-ის მდივან **შენინს,** თავდაცვის მინისტრ **იაზოვს** და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ბაკლანოვს** ხვდება. სწორედ აქ მუშავდება შავად მომავალი შეთქმულების გეგმა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ საიდუმლო შეხვედრას გორბაჩოვის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი — მისი პირადი სამდივნოს უფროსი **ვალერი ბოლდინი** ესწრება.

„პატრონი“ გაყიდა თუ შეხვედრაზე მის ინტერესებს წარმოადგენს? ეს კითხვა ბოლომდე უპასუხოდ დარჩება. თუმცა, შეთქმულების ჩახშობის შემდეგ ბოლდინს ხელსაც არავინ ახლებს.

**17 აგვისტო. კრიუჩკოვი** КГБ-ს მე-7 სამმართველოს უფროსს, გენერალ **რასხეპოვს** იძახებს და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის დაკავებისა და სამხედრო ობიექტ ზავიდოვოზე მიყვანის ოპერაციის დაგეგმვას ავალებს. ოპერაციის თარიღს კრიუჩკოვი მოგვიანებით დაასახელებს, მაგრამ „ხვალვე ყველაფერი მზად უნდა იყოს.“

იმავე დღეს სოფელ მაშკინოში ერთ-ერთ აგარაკზე შეთქმულთა ყველა ძირითადი საბუთი მზადდება — **„გორბაჩოვის ავადმყოფობასთან დაკავშირებით“ ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტ იანაევისთვის გადაცემის შესახებ ბრძანების პროექტი, მიმართვა საბჭოთა ხალხს, მიმართვა მსოფლიოს ხალხებს და დადგენილება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ.**

მეორე დღეს, გაუგებარი მიზეზით, ფოროსზე გასაგზავნად დელეგაცია იქმნება. მის შემადგენლობაში არიან **შენინი, ბაკლანოვი, გენერალი პლეხანოვი,** რომელიც ყველა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის დაცვაზე აგებს პასუხს და — ყურადღება მიაქციეთ — ისევ ის **ვალერი ბოლდინი.** გაუგებარია, რა მიზნით მიფრინავს დელეგაცია ფოროსზე — გორბაჩოვის დასაკავებლად თუ (რაც უფრო სავარაუდოა) მასთან მოსალაპარაკებლად.

თავად გორბაჩოვი რაღას იქმს?

აი, რას მოყვება იგი მოგვიანებით:

„ვიჯექი და საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალზე ჩემს გამოსვლას ვამზადებდი. მეორე დღისთვის თვითმფრინავი უკვე შეკვეთილი იყო. რაისა მაქსიმოვნაც ჩემთან ერთად უნდა გამოფრენილიყო. დღისით, დაახლოებით 11-12 საათზე იანაევს ვესაუბრე. მან მკითხა, როდის ჩავფრინდებოდი. მე ვუპასუხე, რომ, ალბათ, საღამოს. ის დახვედრას დამპირდა. მუშაობას დაცვის უფროსმა მედვედევმა მომწყვიტა. ის შემოვიდა და მაუწყა, რომ ამხანაგების ჯგუფი ჩამოვიდა. ვკითხე, რა ვიზიტია ეს და რატომ არ შემითანხმეს. უცნაურია, ხვალ მივდივარ და უცებ — რაღაც ჯგუფი. ყურმილს ვიღებ, რომ კრიუჩკოვს დავურეკო და გავიგო, ეს რა მისიაა. ტელეფონი არ მუშაობს. მეორეს ვიღებ — ისიც დუმს. ვხვდები, რომ ყოველი მხრიდან ბლოკირებული ვარ. და ვხვდები, რა მისიამ ჩამომაკითხა. საათს შევხედე — 16.50 იყო.“

შემდგომში გორბაჩოვი განაცხადებს, რომ დელეგაცია მისგან ხელისუფლებიდან „გადადგომაზე“ ხელის მოწერას და ვიცე-პრეზიდენტ იანაევისთვის მის გადაცემას მოითხოვდა. მაგრამ მან ამაზე თითქოსდა კატეგორიული უარი თქვა.

●

თვითმხილველთა ჩვენებებით ვისარგებლებთ და უცნაურ დელეგაციასთან გორბაჩოვის შეხვედრის დეტალების აღდგენას შევეცდებით.

საუბარი **ოლეგ შენინმა** დაიწყო. უკვე შექმნილი ГКЧП-ს სახელით მან შესთავაზა გენმდივანს, „ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად“ თავისი ფუნქციები დროებით **იანაევისთვის** გადაეცა. გორბაჩოვმა პასუხად შეახსენა, რომ 20 აგვისტოს ახალი საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერაა დანიშნული. „ხელმოწერა არ მოხდება, — თქვა **ბაკლანოვმა**, — ელცინი დაპატიმრებულია“ (ამ ცნობას გორბაჩოვი უნდა გაეხარებინა, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადებს, აღშფოთდა). ასეა თუ ისე, ის ჩაეკითხა: „ვინ არის დაპატიმრებული? როდის? ვის მიერ?“ ბაკლანოვმა გამოასწორა: „დაპატიმრებული იქნება. ჯგუფი უკვე გაგზავნილია.“ და იქვე ბაკლანოვმა და შენინმა შემდეგი განაცხადეს: **„მიხაილ სერგეევიჩ, თქვენ არაფერი მოგეთხოვებათ. კიდევ ცოტა ხანს იყავით აქ. მთელ ჭუჭყიან სამუშაოს თქვენ მაგივრად ჩვენ შევასრულებთ.“**

ამის შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა. გორბაჩოვი ფოროსზე დარჩა.

●

**18 აგვისტო. 20.00.** კრემლში, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **პავლოვის** კაბინეტში **კრიუჩკოვი,** შინაგან საქმეთა მინისტრი **პუგო, იაზოვი,** სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ლუკიანოვი** (სხვათაშორის, გორბაჩოვის უახლოესი მეგობარი) გროვდებიან და ჯერ კარგად გამოუფხიზლებელი ვიცე-პრეზიდენტი **იანაევიც** მოჰყავთ. მალე მათ ფოროსიდან დაბრუნებული დელეგაცია უერთდება, რომელიც აცხადებს, რომ ყველა საკითხი გადაწყვეტილია და მოქმედების დრო დადგა.

**19 აგვისტოს** დილით რადიოთი და ტელევიზიით ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების და „ავადმყოფობის გამო“ ხელისუფლებისაგან გორბაჩოვის დროებით ჩამოცილების შესახებ აცხადებენ. **სახელმწიფოში მთელი ძალაუფლება ГКЧП-ს ხელში გადადის, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი, მარშალი დიმიტრი იაზოვი, პავლოვი, კრიუჩკოვი, პუგო, ბაკლანოვი და სხვები ხელმძღვანელობენ.**

●

ამასობაში **ელცინი,** რომელიც ჯერაც არ დაუპატიმრებიათ, გადატრიალების შესახებ შეიტყობს და სასწრაფოდ მიეშურება თეთრ სახლში (რუსეთის მთავრობა). აქ ის რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **ხასბულატოვის,** პრემიერ-მინისტრი **სილაევის** და თავის მიერ ხელმოწერილ განცხადებას აქვეყნებს. მასში ნათქვამია:

**„19 აგვისტოს ღამით კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ხელისუფლებას ჩამოაცილეს. რა მიზეზებითაც უნდა ამართლებდნენ ამ გადაყენებას, საქმე რეაქციულ, ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებასთან გვაქვს... შეთქმულებმა მოსკოვში ტანკები შემოიყვანეს. პრეზიდენტი გორბაჩოვი ყირიმშია დაკავებული...“**

●

დედაქალაქში მართლაც შეიყვანეს საბრძოლო ტექნიკა. მაგრამ სამხედროებს არავითარი დავალება არ მიუღიათ. შედეგად ტანკები გზისპირას იკავებენ პოზიციებს, ჯარისკაცები და ოფიცრები კი აფორიაქებულ მოსკოველებთან „დაძმობილებას“ იწყებენ. ვნებებს ელცინი ამძაფრებს, რომელიც ერთ-ერთ ტანკზე ადის და ხალხს მოუწოდებს — შეთქმულებს საკადრისი პასუხი გასცენ. ერთი საათის შემდეგ ის ხელს აწერს ბრძანებულებას, რომლითაც ГКЧП კანონგარეშე ცხადდება.

●

ГКЧП-ს ლიდერები, ხალხთან „მოლაპარაკების“ მიზნით, შსს-ში პრესკონფერენციას ატარებენ, რომელიც ყველა არხით გადაიცემა. და გაოცებული ტელემაყურებლები ხედავენ, როგორ უცახცახებს ხელები ვიცე-პრეზიდენტ იანაევს.

●

ამასობაში მოსკოვში არეულობა გრძელდება. არმია, ძირითადად, უმოქმედოდ არის. იმ ნაწილებს, რომლებიც „თეთრი სახლის“ ბლოკირებას ცდილობენ, რათა შემდეგ, ГКЧП-ს გეგმის თანახმად, შტურმით აიღონ, მოსკოველები ქვებს უშენენ. რუსეთის მთავრობის შენობასთან შეხლა-შემოხლაში სამი ახალგაზრდა იღუპება, რომლებსაც მყისვე დემოკრატიისთვის წამებულებად აცხადებენ. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა მოსკოვიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილებას იღებს. ეს **21 აგვისტოს დილის 9 საათზე** მოხდა. ერთი საათის შემდეგ კი **ბაკლანოვი, კრიუჩკოვი, პლეხანოვი და ლუკიანოვი** (!) ვნუკოვოს აეროდრომიდან ყირიმში მიფრინავენ. გამგზავრების წინ ლუკიანოვი პრესას უცხადებს, რომ ისინი იქ უკანონოდ დაკავებული სსრკ პრეზიდენტის „გასათავისუფლებლად“ (?!) მიფრინავენ.

თითქმის იმავე დროს ჰაერში კიდევ ერთი თვითმფრინავი აიჭრება, რომელიც ასევე გორბაჩოვის „გასათავისუფლებლად“ მიიჩქარის. მის ბორტზე რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი **რუცკოი** და „ავღანელი“ ოფიცრები იმყოფებიან.

რუცკოი პისტოლეტით ხელში პირველი შეიჭრება გორბაჩოვის რეზიდენციაში. გორბაჩოვი ბუტბუტებს: „მადლობელი ვარ, საშა, ამ არამზადებისაგან რომ მიხსენი.“ რაისა მაქსიმოვნა პისტოლეტიანი რუცკოის დანახვაზე შიშით კედელს ეკვრის. მას ეჩვენება, რომ „ელცინის კაცი“ მათ მოსაკლავად ჩამოვიდა.

და შორსმჭვრეტელი პირველი ლედი არც შემცდარა. ფოროსიდან დაბრუნებულ მის მეუღლეს პოლიტიკური სიკვდილი ელოდა. როდესაც 23 აგვისტოს გორბაჩოვი უმაღლესი საბჭოს სესიაზე მივიდა, შესასვლელთან ლოზუნგებით დახვდნენ — „გადადექი!“

გორბაჩოვის დრო ამოიწურა.

ქვეყანას ახალი პატრონი ჰყავდა. უფრო სწორად, პატრონთა მთელი ოცეული. ათწლეულობით ნაქსოვი დიადი საბჭოთა საბურველი, რომელიც პლანეტის ერთ მეექვსედს ფარავდა, საბოლოოდ დაირღვა...

**დასასრული**

## განწირულთა შეთქმულება



# ხელს ვადებ! ★

## ტრისტან წითელაშვილი:

# თუ მებრძოლი გაკადნიერდება და ფულს მოითხოვს, მას, უბრალოდ, კლავენ!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

იძულებითი გაგზავნის მიზნით. საკუთარ მოქალაქეებს ასე დაუნდობლად ეპყრობიან და უცხოელებს ხომ მითუფრო გაიმეტებენ?! თუმცა, ეს კიდევ არ არის მთავარი ტრაგედია.

მივაკვლიე ერთ ახალგაზრდა ქართველს, რომელსაც ბედმა გაუღიმა და ფრონტიდან გამოქცევა მოახერხა. მან მომითხრო, რომ **ფრონტის ხაზზე გაგზავნამდე მენტორები განსაკუთრებით ინტერესდებიან დამონებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით, გადატანილი ავადმყოფობებით.** როგორც აღმოჩნდა, ამას მეომარზე ზრუნვის კი არა, სულ სხვა მიზნით სჩადიან. **თუ ბრძოლის უცოდინარი ახალბედა მეომარი დაიჭრება** (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), **პირველადი დახმარების საბაბით სასწრაფოდ შეჰყავთ მახლობლად გაჩერებულ სპეციალურ, სამედიცინო დანადგარებით აღჭურვილ ავტომობილში, სადაც განწირულ ადამიანს ორგანოებად ანაწევრებენ, შემდეგ კი, ამოკვეთილი ორგანო სპეციალური კონტეინერებით დამკვეთისთვის გადასანერგად მიაქვთ!** საბუთებს იმგვარად აფორმებენ, თითქოს მსხვერპლი „სამუშაოს შესრულების“ პროცესში მოწინააღმდეგის მიერ გახსნილი ცეცხლის თუ დაბომბვის შედეგად დაიღუპა ან სულაც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

როგორც მოგახსენეთ, ცოცხალი მოწმე მყავს, რომელმაც უკრაინელი ფაშისტებისგან თავის დაღწევა მოახერხა და პოლონეთში ჩამოაღწია, შემდეგ კი, ჩემი დახმარებით, უხიფათო ადგილზე დაბინავდა. **გპირდებით, რომ ახლო მომავალში მასთან ინტერვიუს ჩაწერის საშუალებას მოგცემთ!** ამ კაცის გარდა, სხვა მოწმეებიც მყავს, რომლებთანაც ვარშავის ოფისის ქართველი ნაცი თანამშრომლები ყალბი კონტრაქტების გაფორმებას შეეცადნენ! მათთან ერთად გადაღებულ ფოტოსაც გაძლევთ, თუმცა, გთხოვთ, სახეებს ნუ გამოუჩენთ, რათა პოლონეთში მყოფი ნაცების სამიზნედ არ იქცნენ! **ესენი არიან ქართველი ვაჟკაცები, რომლებიც ფიზიკური შრომით გამომუშავებულ ჯამაგირს ვარშავიდან საქართველოში ოჯახებს უგზავნიან, რომლებიც არ ცდუნდნენ და ნაცების სატყუარას არ წამოეგნენ!**

**— ოფისი, რომლის შესახებაც მიყვებით, საკუთარი თვალით ნახეთ?**

— დიახ, ჩემი გამოძიების ფარგლებში ვარშავაში, დრზევორიტნიკოვის ქუჩაზე მდებარე ოფისში, თანმხლებ პირებთან ერთად მივედი, ვითომ სამუშაოს ვეძებდი. გამართლდა ჩემი წინასწარი ინფორმაციები — ოფისში ქართველი თანამშრომლები შემოგვეგებნენ. იმთავითვე უნდა გითხრათ — შეცდომა დავუშვი, მათ წინაშე პირველივე დღეს არ უნდა გამოვჩენილიყავი... მოკლედ, თავიდან გულისხმიერად შეგვიპატიჟეს, მაგრამ, ეტყობა, მიცნეს და დამოკიდებულებაც უმალ გააცივეს. იმ მოტივით, რომ ოფისის ხელმძღვანელობა ადგილზე არ იყო, გარეთ გამოგვისტუმრეს და კარები საგანგებოდ გამოკეტეს. მეორე დღესაც მივედი იმ იმედით, რომ ოფისიდან გამოსულ რომელიმე კლიენტს ვიდეოკამერის წინ გავესაუბრებოდი, მაგრამ პოლიცია გამოიძახეს.

**— პრობლემები შეგექმნათ?**

— პოლიციას საბუთები წარვუდგინე, ვაჩვენე პირადობის მოწმობა, სადაც გენერალ-მაიორის ჩინი არის დაფიქსირებული და განვუმარტე, რომ ვარ სამხედრო ექსპერტი, რომელსაც გამაჩნია ინფორმაცია, რომ ამ შენობაში იმყოფებიან საქართველოდან ჩამოსული ტერორისტები, რომლებიც უკანონო საქმიანობით — დაქირავებული მეომრების შეგროვებით არიან დაკავებულები და ამის შესახებ მინდა განცხადების დაწერა-მეთქი. მიპასუხეს, რომ მცდარი ინფორმაცია მქონია და ჩემს განცხადებას წარმოებაში არ მიიღებდნენ. დავიჟინე — თუნდაც მცდარი გამოდგეს ინფორმაცია, ვალდებულები ხართ, ჩემი განცხადება ჩაიბაროთ-მეთქი, მაგრამ ყველაფერი იღონეს, რათა განცხადება არ მიეღოთ!

**ჩამომიყალიბდა აზრი, რომ პოლონეთის ხელისუფლება და პოლიციაც საქმის კურსში არიან და ის კოლოსალური თანხები, რომელზეც ზელენსკი ამბობს — ჩემამდე არ მოსულაო, სწორედ ასეთი ოფისებიდან კორუფციული არხებით ნაწილდება პოლონეთის ვერტიკალშიც და პოლიციაშიც, ხოლო სააკაშვილის და თინა ბოკუჩავას კრიმინალური შავი ბიზნესი დღითი დღე იფურჩქნება.**

**— ბოკუჩავა რა შუაშია?**

— მას მერე, რაც საქართველოში ხმა დაირხა, რომ ადამიანებს უკრაინაში სასაკლაოზე მიერეკებიან და მოხალისეების რაოდენობამ მკვეთრად იკლო, **თინა ბოკუჩავამ** უმალ მოუწოდა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს „უკრაინის დასაცავად“ ომში წასასვლელად, რითაც გამჟღავნდა, რომ თავად მონაწილეობს ამ სისხლიან ბიზნესში! ნაცები თავიანთ მომხრეებსაც არ ინდობენ, ოღონდ დასავლეთის ფულებით ხელი მოითბონ!

**— კარგით, დავუბრუნდეთ ვარშავის ოფისს.**

— იმ ოფისში მუშაობენ ჯანმრთელი უკრაინელები, რომლებიც, წესით, ფრონტის წინა ხაზზე უნდა იყვნენ. იქ არიან ამერიკელებიც, თუმცა, უკვე ნათელია, რომ ოფისის ხელმძღვანელები ქართველები არიან და თანამემამულეების სასიკვდილოდ გამეტების ხარჯზე დიდ ფულს შოულობენ! მკითხველს ემახსოვრება, **რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე სწორედ ჩემ მიერ მოძიებულ ფაქტებზე დაყრდნობით გამჟღავნდა, რომ მაიდანზე მოწყობილ სისხლისღვრაში ქართველი სნაიპერები მონაწილეობდნენ.** ამჯერად ნაცების ამ დანაშაულის კვალზე გავედი, თუმცა, ვიდრე საკმარისი მტკიცებულებები არ შევაგროვე, ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავს ვიკავებდი. ახლა, როცა უკვე გამაჩნია ამ ოფისის მიერ ფრონტზე მოტყუებით გაგზავნილი და მოგვიანებით ფრონტიდან გამოპარული ქართველების ჩვენებები; **როდესაც გამაჩნია** იმ ქართველების ჩვენებები, რომელთა გადაბირების მცდელობის მიუხედავად, ხაფანგში შეტყუება ვერ მოახერხა ნაცებით დაკომპლექტებულმა ვარშავის ოფისმა — გადავწყვიტე, ეს სკანდალი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო, ხოლო უახლოეს მომავალში ჩემს ხელთ არსებული მტკიცებულებები ახალი დოკუმენტებითაც შევავსო.

**— კერძოდ?**

— მჟღავნდება კორუფციის ახალი დეტალები. ვარშავის ოფისში მუშაობენ უკრაინელი ქალები. **გაბრიყვებულ ქართველ ახალგაზრდებს, ვიდრე კურიერი ლვოვში წაიყვანს, ამ ქალებთან ფიქტიურ ქორწინებას აფორმებინებენ.** სქემა იმაზეა გათვლილი, რომ, როდესაც მსხვერპლი დაიღუპება, დასავლეთის წრეების მიერ მებრძოლის ოჯახისთვის დაწესებული კომპენსაციის თანხა უკრაინელ ფიქტიურ მეუღლეებს დარჩეთ, ხოლო გათეთრებული დასავლეთის შავი თანხებიდან მილიონიან „ატკატებს“ ადამიანების სიცოცხლით მოვაჭრენი იჯიბავენ. ვიმეორებ — **ამაოდ არ იწუწუნა ზელენსკიმ, რომ დასავლეთიდან გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი დანიშნულების ადგილამდე არ აღწევს!**

**„თუ ბრძოლის უცოდინარი ახალბედა მეომარი დაიჭრება (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), პირველადი დახმარების საბაბით სასწრაფოდ შეჰყავთ მახლობლად გაჩერებულ სპეციალურ, სამედიცინო დანადგარებით აღჭურვილ ავტომობილში, სადაც განწირულ ადამიანს ორგანოებად ანაწევრებენ!“**









# P.S.

## აი, ნახეთ, რას აცხადებს ხორცსაკეპი მანქანის ბიზნეს-პარტნიორი თინა ბოკუჩავა!

არადა, შე გარეწარო, დედა მაინც არ იყო? **როგორ მიერეკები სასაკლაოზე ქართველ ბიჭებს?** როგორ ისქელებთ ჯიბეს „ნაცებო“ უკრაინელ პარტნიორებთან ერთად? **ხართ კი ამის შემდეგ დასაზოგი ქართველების ამ შემზარავი გენოციდისათვის?**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

გენერალისიმუსი
2025 წლის 21 აპრილი. №16 (312)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც საქართველოს არ უნახავს!

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

*არადამაჯერებელი და ალოგიკურია, რადგან თუ **გახარია მელიას დაკავებაზე თანახმა იყო,** მაშინ **ივანიშვილის** პროცესში ჩართვის არავითარი საჭიროება არ არსებობდა!*

*აქ **გახარია** იყენებს თავის ცნობილ ტაქტიკას, რომლითაც ერთხელ ტელეწამყვანი **ინგა გრიგოლია** ლამის ჭკუიდან გადაიყვანა, როცა გადაცემის განმავლობაში მრავალჯერ მიმართა სახელით — **„ირმა“!***

*ვითომ შეეშალა!*

*ვითომ აერია!*

*ვითომ ოპონენტისა თუ თანამოსაუბრის სახელი არ იცის ან არ ახსოვს, რადგან მას უმნიშვნელო პერსონად მიიჩნევს!*

***აბა, შენ ვინ ხარ, რომ გიცნობდე ან შენი სახელი მახსოვდეს?** — ასეთია **გახარიას** ხრიკის ქვეტექსტი!*

*ჰოდა, ახლა საქართველოს პარლამენტის დეპუტატ **თენგიზ შარმანაშვილს** მიმართავს:*

*— უკაცრავად, თქვენი სახელი?*

**თენგიზ შარმანაშვილი: — გივი!**

**გიორგი გახარია:** — **გივი, ბატონო** გივი, შეხედეთ... ეს კითხვა...

*ცხადია, თეა წულუკიანი **გახარიას** ტრიუკს უმალ მიხვდა, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და **გახარიას** მიმართა:*

— ბატონი **თენგიზ შარმანაშვილი,** ღვაწლმოსილი ადამიანი და ძველი დროიდან ეროვნული მოძრაობის წევრი.

**გიორგი გახარია:** — ბოდიში, ბოდიში!

**თეა წულუკიანი: — როდესაც მე და თქვენ ბავშვები ვიყავით, ბატონი თენგიზი ჩვენი თავისუფლებისთვის იბრძოდა!**

**გიორგი გახარია:** — **ივანიშვილი** მაშინ, როცა მთელ საქართველოს, თითოეულ გუნდის წევრს **(და თქვენც ხშირად იყავით ამ შეხვედრების მოწმე)** დაჰპირდა, რომ მე მივდივარო, **18 თებერვალს,** ყველანაირი მიზეზის გარეშე, პირდაპირი კავშირით ძალოვან უწყებებთან და კიდევ ბევრ სხვასთან, შემოვიდა პროცესში და მართა ეს პროცესი ისე, რომ, საბოლოო ჯამში, მივიღეთ შედეგი, რომ **მელია** დააკავეთ 6 დღის შემდეგ და 3 თვეში თუ 4 თვეში გამოუშვით გარეთ! ეს არის ფაქტები და ამ ფაქტების მიღმა თქვენ რაც არ უნდა ილაპარაკოთ, არის ლირიკა!

**თეა წულუკიანი: — ახლა გავაგრძელოთ ლირიკა და ბელეტრისტიკა! ივანიშვილმა გაგიყვანათ ოპოზიციაში, ამას ხსნით ასე, რომ თავისი ქმედებებით გაიძულათ, გუნდიდან გასულიყავით, რადგან არ მოგეწონათ, რომ თქვენგან განსხვავებით ივანიშვილი და მთელი გუნდი დარჩა იმ პოზიციაზე, რომ მელია იმსახურებდა დაკავებას. როგორც კი თქვენ ფეხი აითრიეთ, შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვენგან განსხვავებით ფეხი არ აითრია, გადავიდა ქმედებაზე, თქვენ ეს არ მოგეწონათ და გადადექით.**

**გიორგი გახარია:** — გაანებეთ თავი **ვახოს,** ნუ რევთ ვახოს ამაში, რა! (შს მინისტრ ვახტანგ გომელაურს გულისხმობს. რედ.)

**თეა წულუკიანი: — ესე იგი, თქვენ, მე მგონი, წითელი ჯვარი ხართ თუ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, არ ვიცი! ხან დეპუტატებს ყავას უსხამდით იმის მაგივრად, რომ შტურმი მოგეგერიებინათ უფრო მაღალკვალიფიციურად, ხან ჩემზე ზრუნავდით, ვიღაცებზე ზრუნავდით და ბრიფინგზე ტყუილს იძახდით, ვითომ, მელიას დაკავება პოლარიზაციას გამოიწვევდა. ახლა აღმოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ბრალია თქვენი წასვლა...**

**გიორგი გახარია:** — და თქვენ არ იცოდით?!

**თეა წულუკიანი: — არა! მე თქვენ დაგირეკეთ, ბრიფინგი როგორც კი დასრულდა და გეკითხებით — რას შვრებით? თქვენ მითხარით — აღარ გამოვიდოდა, რა! და არ მიხსნით, რა აღარ გამოვიდოდა! გეთქვათ მაინც წინასწარ, რომ მიდიოდით-მეთქი, ეს გითხარით და თქვენ მიპასუხეთ — რატომ უნდა მეთქვა, შენ ჩემი ვიცე-პრემიერი აღარ იყავიო და ასე დარჩა კრება მხიარული. ახლა გისვამთ კითხვას ამდენი წლის მერე — შეხვდით თუ არა რომელიმე ქვეყნის ელჩს და ვინ გირჩიათ, რომ გასულიყავით ოპოზიციაში?**

**გიორგი გახარია:** — მე ყოველი დღის განმავლობაში ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდებოდი, მათ შორის, ელჩებსაც და უცხოელებს, სამსახური მქონდა ასეთი.

**თეა წულუკიანი: — და რომელმა გირჩიათ, რომ არ დაგეჭირათ მელია და გადასულიყავით ოპოზიციაში?**

**გიორგი გახარია:** — თქვენ ახლა ავრცელებთ დეზინფორმაციას, თავიდან ბოლომდე!

**თეა წულუკიანი: — ჰოდა, თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია!**

**გიორგი გახარია:** — არავის არაფერი მსგავსი არ ურჩევია! რომ ერჩია, მე ყოველთვის ნებისმიერი უცხოელის რეკომენდაცია, ბოდიში და, ფეხებზე მეკიდა! ჩემთვის ჩემ გუნდთან და ხალხთან შეთანხმების დარღვევა-არდარღვევა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი!

**თეა წულუკიანი: — გაგიყვანეს ოპოზიციაში, ბატონო გიორგი! არგუმენტი არა გაქვთ!**

**გიორგი გახარია:** — ოპოზიციაში გამიყვანა **ივანიშვილმა,** რომელმაც ყველა შეთანხმება დაარღვია და თქვენ თუ ცდილობთ...

**თეა წულუკიანი: — არაფერს არ ვცდილობ, გეკითხებით — ელჩებს რაზე შეხვდით?**

**გიორგი გახარია:** — რა შუაშია ელჩები, **ივანიშვილზე** მკითხეთ, კაცო! კიდე ერთხელ გეუბნებით, აგერ მკაფიოდ გეუბნებით — **ივანიშვილმა** ყველა **შეთანხმება რომ დაარღვია, ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა. ეხლა თქვენ გადაწყვიტეთ, ამ თემაში უფრო ღრმად შესვლა გინდათ თუ არ გინდათ?** თუ გინდათ, მე პრობლემა არა მაქვს, მოგყვებით ბოლომდე!

**თეა წულუკიანი: — რას იმუქრებით, არსად არ გაქვთ შესასვლელი და გინდა, შედით, გინდა, გამოდით! არც აქანე მიგიღებენ, არც იქანე მიგიღებენ! — ასეა თქვენი საქმე.**

**გიორგი გახარია:** — ჩემზე ნუ ღელავთ, ქალბატონო თეა!

**თეა წულუკიანი: — თქვენზე მე აღარ ვღელავ!**

**გიორგი გახარია:** — მე თქვენზე ვღელავ!

**თეა წულუკიანი: — ნუ იღელვებთ! რა მომენტშიც თქვენ გადადექით, იქ დამთავრდა თქვენი პოლიტიკური კარიერა, ეს ჩემი პირადი აზრია!**

**გიორგი გახარია:** — **ქალბატონო თეა,** რა მინდა, გთხოვოთ — თქვენ რომ მისვამთ ასე დაჟინებით მართლა საინტერესო კითხვას — **ვინ გაგიყვანა ოპოზიციაშიო, ძალიან გთხოვთ, ჰკითხეთ, რა, კობახიძეს — დიფ სთეითიდან ვინ დაურეკა და უთხრა — გახარია დანიშნე პრემიერადო!** რატომ არ ეკითხებით **კობახიძეს,** რომ თქვა — **დიფ სთეითმა** დამირეკა, თორემ 20 ივნისის მერე უნდა გაგვეგდოო! ჰკითხეთ, რა! კარგით ეხლა მართლა, თუ სერიოზულად ვლაპარაკობთ, სერიოზულად ვილაპარაკოთ!

**თეა წულუკიანი: — იცით, რა? მე სერიოზულად რომ ვლაპარაკობ, ამიტომ ნაკითხი მაქვს და პასუხიც მიღებული მაქვს! გვარზე და სახელზე ბატონი კობახიძე თავად ისაუბრებს. დიახ, გუნდში იყო შეთანხმებული თქვენი გათავისუფლება 20 ივნისის შემდეგ და დიახ, ზარი შედგა!**

**გიორგი გახარია:** — **დიფ სთეითიდან?**

**თეა წულუკიანი:** — კონკრეტული პირისგან!

**გიორგი გახარია:** — **დიფ სთეითიდან** ზარის შედეგად რომ ირჩევდით პრემიერს, დეპუტატებმა იცოდნენ, ხმა ვინც მომცა?

**თეა წულუკიანი: — ამაზე ისაუბრებს ის, ვინც ზარი მიიღო! ამერიკის ელჩს თუ შეხვდით გადადგომის ბრიფინგამდე?**

**გიორგი გახარია:** — ამერიკისაც და ბევრსაც შევხვდი!

**თეა წულუკიანი: — ამერიკის ელჩთან** ხომ არ იყო საუბარი იმაზე, რომ ჯობდა თავის შეკავება ამ სპეცოპერაციისგან და თქვენ ოპოზიციაში იქნებოდით უზრუნველყოფილი?

**გიორგი გახარია:** — არა, ეს ტყუილია! **ამერიკის ელჩს** შეუძლია, რაც უნდა ის თქვას, მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრი იღებს გადაწყვეტილებებს იქიდან გამომდინარე, რასაც ის თვლის საჭიროდ და რაც საქართველოს კანონმდებლობას შეეფერება.

**თეა წულუკიანი:** — **ამერიკის ელჩს** რომ შეხვდით, **მელიაზე** თუ იყო საუბარი იმ შეხვედრაზე?

**გიორგი გახარია:** — იმ შეხვედრაზე საუბარი იყო ყველაფერზე, **მელიაზე** კონკრეტულად არ მახსოვს, იყო თუ არა შეხვედრაზე საუბარი. რომც ყოფილიყო, ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს!

**თეა წულუკიანი:** — რა გითხრათ **მელიასთან** დაკავშირებით?

**გიორგი გახარია:** — **არ მახსოვს,** რა მითხრა! **მელიას** დაკავება რომ მომხდარიყო ისე, როგორც მე ვითხოვდი, ამას არანაირი საერთაშორისო გამოხმაურება, არანაირი პრობლემა და არანაირი ამინისტია, შეწყალება, რითიც გამოუშვით, არ დასჭირდებოდა! ეს იყო ჩემი პოზიცია, მეტი არაფერი და იმის იქით რაც მოხდა, აგერ არის ფაქტები, დააკავეთ ისე, როგორც დააკავეთ — იქ რაღაც კრანი აწიეთ...

**თეა წულუკიანი: — ვინც თქვენ, ჩემი აზრით, მოგცათ რჩევა, რომ მელია არ დაგეკავებინათ და ოპოზიციაში გასულიყავით, იმავე ხალხმა მერე მელიას შეუგროვა გირაოს ფული და გირაოთი გამოიყვანეს ე.წ. პარტნიორებმა.**

**გიორგი გახარია:** — ჰოდა, ვერ გამოიყვანდნენ, ჩემ შემთხვევაში ვერ გამოიყვანდნენ! ერთი რამეც მინდა, გითხრათ — **ყველა სიტყვას, რომელსაც მე ვამბობ, ვადასტურებ და პასუხისმგებელი ვარ!**

**სოზარ სუბარი: — როცა შეხვდით ამერიკის ელჩს 17 თებერვალს, გადადგომის წინა დღეს, არ იყო ლაპარაკი მელიაზე? როგორ შეიძლება, ეს არ გახსოვდეთ?**

**გიორგი გახარია:** — ბევრ სხვადასხვა საკითხზე იყო ლაპარაკი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე იყო...

**სოზარ სუბარი: — მაშინ ამაზე მეტი საკითხი რა იყო საქართველოში?**

**გიორგი გახარია:** — მათ შორის, მასზეც იყო ლაპარაკი და რა?

**სოზარ სუბარი: — და რა გთხრათ?**

**გიორგი გახარია:** — არაფერი, დასაკავებელია, უნდა დააკავო, **„ვსიო“!** მე სხვა ტონალობაში ვერავინ ვერ მელაპარაკებოდა, **„ვსიო“!**

**სოზარ სუბარი: — რამდენიმე დღეს რატომ ითხოვდით? რა იყო ეს რამდენიმე დღე?**

**გიორგი გახარია:** — ნუ ღელავ, ნუ ღელავ, **სოზარ! სოზარ,** ნუ ღელავ, აგერა ვარ, კაცო, ნუ ღელავ!

**სოზარ სუბარი: — ევროპარლამენტარები ამბობდნენ, რომ უნდა ჩამოფრინდნენ ქვეყანაში, ნაციონალური მოძრაობა აცხადებდა, რომ მაქსიმალური მობილიზება უნდა გაეკეთებინა... აი, რა იყო ეს რამდენიმე დღე...**

**გიორგი გახარია:** — რას ბოდავ ახლა!

**სოზარ სუბარი: — ბატონო?**

**გიორგი გახარია:** — რას ბოდავ ახლა, სოზარ!

**სოზარ სუბარი: — წესიერი სიტყვები მოიხმარეთ და ბოდვა თქვენკენ მოიკითხეთ!**

**გიორგი გახარია:** — ემოციები მართე, სოზარ, რა მოგივიდა!

**სოზარ სუბარი: — სიტყვები შეარჩიეთ და ისე ილაპარაკეთ!**

**გიორგი გახარია:** — რა მოგივიდა მართლა, მართე ეს ემოციები, გვიმუშავია ერთად ბოლო-ბოლო, ის იყავი ჩემი, კაცო!

**თეა წულუკიანი: — ნუ უზრდელობთ, თუ შეიძლება!**

**გიორგი გახარია:** — *(სოზარ სუბარს მიმართავს. რედ.)* აბა, რა გინდა ახლა, რაღაცა ნაციონალური მოძრაობის მობილიზაცია და რაღაცებს ყვები, რა! **2008 წელს შენი იყავი პირველი, ვინც აღიარა მიშას გაყალბებული არჩევნები, ერთი გაჩერდი, რა!**

**სოზარ სუბარი: — მატყუარა ხართ, კიდევ ერთხელ გეუბნებით!**

**გიორგი გახარია:** — აბა, ბიჭო, მა-

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*



**გიორგი გახარია:** — **ივანიშვილს** იცავთ?
ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაააააა... (იცინის. რედ.)
**ალუდა ღუდუშაური:** — მე ვიცავ სიმართლეს და დიახ, **ბატონი ივანიშვილი იცავს სიმართლეს და ამ ქვეყნის ღირსებას, ეს მოგწონთ თუ არა თქვენ!**



## რეპორტაჟი საგამოძიებო კომისიის სკანდალური სხდომიდან

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!

# დაკითხვა, რომლის მსგავსიც საქართველოს არ უნახავს!

*დასაწყისი მე–4 გვერდზე*

გის ვიდეოებსაც განახებ!

სოზარ სუბარი: **— მიშას ეს არჩევნები, 2021 წლის არჩევნები...**

გიორგი გახარია: — რა იყო, რა აგება პირი, პირი რა აგება! არ იყო ეგრე?

სოზარ სუბარი: **— უმრავლესობა ვინ შეუკრა ნაცებს საკრებულოებში, გინდა, რუსთავში და გინდა, სხვაგან!**

გიორგი გახარია: — გაჩერდი ახლა, ნუ ადარებ იმ 2008 წლის არჩევნების „გაპრავებას" და იმ რაღაც ზღაპრებს!

თეა წულუკიანი: **— ნუ უზრდელობთ, ბატონო გიორგი, თუ შეიძლება, ნუ უზრდელობთ!**

გიორგი გახარია: — მე და უზრდელობა? მე, უბრალოდ, მაიძულებთ, თავი დავიცვა, რა!

თეა წულუკიანი: **— რა გაქვთ თავის დასაცავი, თურმე, მართალი ყოფილხართ! მე კი ვერ გავიგე, რაში მდგომარეობდა ეს სიმართლე!**

## გიორგი გახარია: — 100-პროცენტიანი მართალი ვარ! და იცოდეთ — ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, ერთი ნაბიჯის უკან გადამდგმელი არა ვარ! კი არ ვემუქრები ვინმეს, უბრალოდ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს! მე რომ ვიღაცა დამაბრალებს, მე გუნდი მივატოვე...

თეა წულუკიანი: **— კი, თქვენ მიგვატოვეთ! ნუ გვემუქრებით!**

გიორგი გახარია: — თქვენ როდესაც მიიღეთ ბიძინასგან ზარი, გაქრით სუყველა და დაიმალეთ! ეს იყო რეალობა და მიატოვეთ გუნდი და საქმე თქვენ!

თეა წულუკიანი: **— დასამალი ვის რა სჭირდა! თქვენგან მოლოდინი იყო, რომ დაკავების გადაწყვეტილება აღასრულებდით, როგორც ამას ითვალისწინებდა კანონი!**

*აქ, კამათისას,* ***გახარიამ*** *ხმას აუწია, რაზეც* ***ალუდა ღუდუშაური*** *წამოენთო:*

— მოიცა, მოიცა, კაცო, რატომ ყვირიხარ! შენ რა არ მოგეწონა ერთი იმ დაკავებაში?

გიორგი გახარია: — ყველაფერი მომეწონა!

ალუდა ღუდუშაური: **— აბა, რას გვიყვირიხარ აქ!**

გიორგი გახარია: — ყველაფერი მომეწონა! დამშვიდდი!

ალუდა ღუდუშაური: **— რა უნდა დავმშვიდდე, კაცო! დამშვიდდი შენ! მოდიხარ აქ და გვიყვირიხარ, იმის ნაცვლად, რომ...**

გიორგი გახარია: — ყველაფერი მომეწონა!

ალუდა ღუდუშაური: — **მომისმინე, კაცო! გინდა, რომ ჩვენ დაგვაბოლო?! ამდენი ხანი ხალხს აბოლებდი, დადიოდი ტელევიზია-ტელევიზია, ხალხის თვალების დამთხრელი მოდიხარ აქ და რაღაცებს გვიყვირიხარ! ჯერ ტონს დაუწიე და მერე გვითხარი ერთი, რას უწუნებდი ამ ოპერაციას?!**

***გურამ მაჭარაშვილი*** *კითხულობს ამონარიდს* ***გიორგი გახარიას*** *მიერ 2023 წლის ივლისში ერთ-ერთი მედიასაშუალებისათვის მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც იგი აცხადებს, რომ* ***ბიძინა ივანიშვილი*** *მის, როგორც პრემიერ-მინისტრის, საქმეებში არასოდეს ჩარეულა.*

*— ან მაშინ ატყუებდით საზოგადოებას, ან — დღეს! ჯერ ამ კითხვაზე გავცეთ პასუხი! — ეკითხება* ***მაჭარაშვილი გახარიას.***

გიორგი გახარია: — არა, არც მაშინ მომიტყუებია, არც — ახლა!

გურამ მაჭარაშვილი: — **როგორ? ერეოდა თუ არ ერეოდა, კაცო?**

გიორგი გახარია: — მე მასთან კომუნიკაცია არ მქონია-მეთქი! როგორც კი ჩარევის მცდელობა იყო, მე ავდექი და გადავდექი!

***სოზარ სუბარი*** *კითხულობს* ***ნიკა მელიას*** *დაკავების თაობაზე აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომელშიც შეშფოთებაა გამოთქმული და აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მოწოდებები დიალოგისა და თავშეკავების შესახებ.*

***გახარია*** *ამბობს —* ***ჩემთან საუბარში ასეთი მოწოდება არავის გაუკეთებიაო!***

***— აბა, ამერიკის ელჩმა რისთვის შეიწუხა თავი თქვენთან შეხვედრაზე?*** *— ეკითხება* ***თეა წულუკიანი*** *და აი, აქ* ***გახარია*** *კვლავ იტყვის თავის საყვარელ სიტყვებს —* ***იქ ბევრ საკითხზე იყო საუბარი, არ მახსოვს, რომ მარტო მელიას თემაზე გვესაუბრაო!***

*ესეც 39-ე* ***„არ მახსოვს"!***

*აფსუს, სულ რაღაც 2* ***„არ მახსოვს"*** *დააკლდა* ***გახარიას*** *და სიმბოლურ ციფრს — 41-ს მივიღებდით!*

41 **„არ მახსოვს"** გიორგი გახარიასაგან! — მართლაც ნიშანდობლივი იქნებოდა!

თეა წულუკიანი: — **ბატონო გიორგი, პარლამენტში შემოსვლას აპირებთ, როგორც ვატყობ!**

გიორგი გახარია: — **ქალბატონო თეა,** თუ გამიმხელთ, რითი შეატყვეთ, მერე მე მეცოდინება!

გურამ მაჭარაშვილი: — **ჩვენ ვერც ის შევატყვეთ, რომ არ აპირებთ!**

გიორგი გახარია: — ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და იქნება, ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს მივეხმარო ისე, როგორც ძალმიძს და ამის იქით ახლა... შეიძლება, ახალი პარლამენტიც იყოს, ახალი არჩევნებიც, არ ვიცი, რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე ასეთი ჭორებიც მსმენია, **ქალბატონო თეა,** რომ ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას თავისი მანდატების აღდგენა უნდა. შეიძლება, აღუდგინოთ და ისინი შემოვიდნენ, არ ვიცი!

თეა წულუკიანი: — **აღდგენილი ამ დღეებში მხოლოდ ლაზარე ვიცით, დიდება უფალს!**

ალუდა ღუდუშაური: — **მოკლედ, ასეთი სურათი არის, რა — თქვენ ძალიან იწვალეთ დღევანდელ ამ შეხვედრაზე. ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, ძალიან იწვალეთ და დაადასტურეთ, რომ შეხვდით ამერიკის ელჩს! ძალიან იწვალეთ და დაადასტურეთ, რომ საუბარი, თურმე, შეეხებოდა მელიას საკითხს! აქედან გამომდინარე, თქვენ დღეს, როგორც ტელევიზია-ტელევიზია დადიხართ და ატყუებთ ქართველ ხალხს, დღესაც მორიგ ჯერზე — სრული სიცრუე, აი, როგორც თქვენ ამბობდით, წყალი, სუყველაფერი წყალი! და ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია, დღეს ვთქვათ — ამ სხდომაზე რაც მოვისმინეთ, თქვენ ბევრჯერ მოგვატყუეთ, მოატყუეთ საზოგადოება, ამიტომ თქვენ ხართ ჩვეულებრივი მატყუარა! დიდი მადლობა!**



**თეა წულუკიანი:** — გეკითხებით — ვის შეხვდით და ვინ გაგიყვანათ ოპოზიციაში?
**გიორგი გახარია:** — გიპასუხეთ — არავინ! ეს არის სულელური შეკითხვა და თუ გაინტერესებთ სიმართლის მოსმენა, აგერა ვარ და გპასუხობთ! სიმართლეს რომ იგებთ, მერე ემოციურად იძაბებით!
**თეა წულუკიანი:** — სულელურ შეკითხვებს სვამენ სულელები, ამიტომ მადლობა კომპლიმენტისთვის, მე არა მაქვს პრობლემა! ყველა ხედავს, თქვენ რა დღეშიც ჩაიგდეთ თავი!



**თეა წულუკიანი:** — მაშინ, თქვენ შეგეშინდათ დაკავების?
**გიორგი გახარია:** — არა, თქვენ შეგეშინდათ, მე რა შემეშინდა, კაცო!
**თეა წულუკიანი:** — მე შემეშინდა?
**გიორგი გახარია:** — აბა?
**თეა წულუკიანი:** — ვისი შემეშინდა?
**გიორგი გახარია:** — ვისი და ბიძინასი, რომელმაც დაგირეკათ და გითხრათ, რომ ეხლა გაჩუმდითო, რა! მიაყენეთ ერთი ადგილიო და ახლა რაც არის გასაკეთებელი, გააკეთეთო! ამის შეგეშინდათ, მეტი არაფრის!

## P.S.

***გახარიამ ღუდუშაურის*** *განცხადებას არაფერი უპასუხა, ადგა და წავიდა!*
*ასე დასრულდა საგამოძიებო კომისიის 6-საათიანი სხდომა!*
*ჩვენ კი ერთი კითხვა მაინც დაგვრჩა:*
***რას გულისხმობდა გიორგი გახარია, როცა კომისიის სხდომაზე არაერთხელ განაცხადა — მე ოპოზიციაში ივანიშვილმა გამიყვანაო?***
***გახარიას*** *ამ ფრაზის —* ***„მე ოპოზიციაში ივანიშვილმა გამიყვანა!"*** *— მრავალჯერ და აქცენტირებულად გამეორებით იმაზე მეტის თქმა ხომ არ სურდა, რაც კომისიის სხდომაზე თქვა?*
***ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საგამოძიებო კომისიის კომპეტენცია არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, მასზე პასუხს გასცემს პოლიტიკური მოვლენების სამომავლო განვითარება, რომელსაც ყურადღებითა და გულდასმით უნდა დავაკვირდეთ!***

***ჯაბა ხუბუა***

# რეპორტაჟი საგამოძიებო კომისიის სკანდალური სხდომიდან

***ინტერნეტი სკანდალურმა ინფორმაციამ წალეკა: ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ყოფილი ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი ცნობილმა რუსმა პრანკერებმა, ვოვანმა და ლექსუსმა უმოწყალოდ აშაყირეს. პრანკის ორგანიზება კი, რაც სხვისი სახელით კონკრეტული პირის გაცურებასა და მხილებას გულისხმობს, მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა, პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანმა მამუკა ფიფიამ უზრუნველყო, რომლის ინტელექტუალური პოტენციალის შეფასებაში თავის დროზე ქართველი ლიბერასტები მწარედ მოტყუვდნენ, ახლა კი იმ ფიასკოს შედეგებს იმკიან.***






# მამუკა ფიფია:

# ასე გავპრანკეთ უჩა და სალომე, ჯო უილსონიც მივაყოლეთ!

**მამუკა ფიფია:** — გაშაყირება მიმდინარე წლის დასაწყისში დავგეგმეთ, როცა ყველა პატრიოტი ქართველი შეშფოთებულები ვიყავით კრუასანებზე გაზრდილი **სალომე ზურაბიშვილის** დასავლეთიდან წაქეზებული განცხადებებით. დასავლეთი იმ პერიოდში გაშმაგებით ცდილობდა თბილისში საპროტესტო ტალღის აგორებას და მოვლენების სისხლიან დაპირისპირებაში გადაზრდას. მარიონეტი ზურაბიშვილი აცხადებდა, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევის მიუხედავად, „ის პრეზიდენტად რჩებოდა და პრეზიდენტის სასახლიდან გასვლას არ აპირებდა“. **აი, სწორედ მაშინ დამებადა თვითმარქვია პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მხილების იდეა, დავუკავშირდი ჩემს მეგობრებს, სხვადასხვა ცნობილი ადამიანის იმიტაციის განუმეორებელი ნიჭით განთქმულ რუს პრანკერებს ვოვანსა და ლექსუსს.** მათ ვთხოვე, სალომესთვის დაერეკათ ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკის, რუსეთში განთქმული ლიბერალის **გარი კასპაროვის** სახელით და მისთვის მაცდუნებელი წინადადება შეეთავაზებინათ.

დღეს რუსეთში ყველაზე ძლიერი პრანკერები არიან **ვოვანი და ლექსუსი** ***(ვლადიმერ კუზნეცოვი** და **ალექსეი სტოლიაროვი.** რედ.).* ისინი ახერხებენ ცნობილ ადამიანებთან კონტაქტზე გასვლას და აიძულებენ ისეთი პოზიციების გამჟღავნებას, რის შესახებაც საზოგადოების წინაშე დუმილს ამჯობინებენ. **ვოვანის და ლექსუსის** ხუმრობები ადრე გაცილებით უწყინარი იყო. ამჟამად კი ისინი დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ გლობალურ პოლიტიკაზე და აიძულონ ცნობილი ადამიანები გაამჟღავნონ, თავიანთი ჭეშმარიტი შეხედულებები და ამა თუ იმ ქმედების მოტივაცია.

**— ნუთუ სალომე არ დაეჭვდა?**

—არათუ **ზურაბიშვილი,** „მეგობარი აქტის“ ავტორი **ჯო უილსონიც** არ დაეჭვებულა, როცა **ვოვანმა და ლექსუსმა** მას უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის **პეტრო პოროშენკოს** სახელითა და იმიტირებული ხმით დაურეკეს! არც სალომეს გაუვლია აზრად, რომ აშაყირებდნენ, რადგან ნომერი უმაღლეს დონეზე იყო ჩაფიქრებული და მომზადებული. გარდა იმისა, რომ მას **გარი კასპაროვის** თითქმის ბუნებრივი ხმა ესმოდა, ეკრანზეც თავად მოჭადრაკეს ხედავდა.

**— მაინც, რა შესთავაზეს პრანკერებმა გარი კასპაროვის სახელით სალომეს?**

— მოკლედ, **გარი კასპაროვი** საუბრისას სალომესეუბნება — მე ამერიკაში ორივე ძირითადი პარტიის (რესპუბლიკელების და დემოკრატების) ნდობითა და მხარდაჭერით ვსარგებლობ და, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებამ ოპოზიციას ე.წ. რუსულ კანონზე დაყრდნობით USAID-ის გზავნილები და, ზოგადად, დასავლური ფული გადაუკეტა, ვიდრე ფულის გადმორიცხვის საიმედო ვარიანტები გაჩნდება, თბილისში მიმდინარე დაუმორჩილებლობის აქციების ნახევარი მილიონით დაფინანსება მე დამევალაო. „კასპაროვმა“ ასევე სთხოვა ზურაბიშვილს, თავად განესაზღვრა, კონკრეტულად რომელ სფეროში სჭირდებოდა ფინანსური თანადგომა. პრანკერებს შეეძლოთ, რამდენიმე მილიონი შეეთავაზებინათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა. სალომეს უთქვამს — პირველ რიგში, რეგიონულ მედიას უჭირს, ასევე ცენტრალურ ლიბერალურ ტელევიზიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ უფრო კომპეტენტურად ამ თემაზე არასამთავრობოების ხელმძღვანელები დაგელაპარაკებიანო.







მართლაც მალე „გარი კასპაროვთან“ კონტაქტზე **უჩა ნანუაშვილი** გამოვიდა. იგი ბოლომდე გაიხსნა პრანკერებთან საუბარში. დაჰპირდა, რომ დეტალურად გაწერდა თანხების დანიშნულებას და მართლაც, მალე მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიაწოდა „კასპაროვს“ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იყო, უპირველესად, ვინ უნდა გამხდარიყო ფულადი გზავნილის ადრესატი.

**— მაგალითად, ვისზე და რა საკითხზე შეაჩერა ყურადღება?**

— მახსენდება, რომ უჩას დოკუმენტში ერთ-ერთ პუნქტად ეწერა **75 ათასი დოლარი,** რაც ხელისუფლების მიერ დაჯარიმებული ოპოზიციის აქტივისტებისთვის ჯარიმების გადახდას უნდა მოხმარებოდა.

**— სალომესთან და უჩასთან „პრანკერების“ საუბრის ვიდეოჩანაწერი სად შეიძლება ვნახოთ?**

— ჩანაწერი აქამდე არ გასაჯაროვებულა. რუსეთის ტელევიზიის 1 არხზე გავა გადაცემა, რომელშიც იქნება ამ საუბრების სიუჟეტები, რაზეც კომენტარს გააკეთებენ ცნობილი პირები: სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დიმიტრი ნოვიკოვი,** სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ალექსეი ჟურავლიოვი,** პოლიტოლოგი **კარინე გევორქიანი,** ასევე — თქვენი მონამორჩილი. რამდენიმე დღის წინ გადაცემა უკვე ჩავწერეთ და სულ მალე ტელემაყურებელი მას ეკრანზე იხილავს!

**— 9 მაისს რას აპირებთ, გამარჯვების დღეს როგორ და სად აღნიშნავთ?**

— რამდენიმე დღის წინათ, რუსეთის სახელისუფლო პარტია „ედინაია როსიას“ ბიუროს წევრის, სენატორ **ანდრეი არკადის ძე კლიმოვისგან** წერილი მივიღე, რომელშიც მატყობინებს, რომ „ნაციზმზე გამარჯვების მნიშვნელობასთან და საერთაშორისო მოვლენებში გაეროს როლის ანალიზთან“ დაკავშირებით, 28 აპრილს მოსკოვში „ედინაია როსია“ რუსეთის პოლიტიკური პარტიების ლიდერებისთვის მრგვალ მაგიდას გამართავს. ამ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მე ინდივიდუალურად გახლავართ მიწვეული. რაც შეეხება თავად გამარჯვების დღეს, 9 მაისისთვის მე საქართველოში ვიქნები და რამდენიმე მნიშვნელოვან, მასშტაბურ ღონისძიებას ჩავატარებთ. გეტყვით იმასაც, რომ რუსეთის პრეზიდენტს **ვლადიმერ პუტინს** ქართული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ სახელით (რომლის საერთაშორისო მდივანიც გახლავართ) წერილი მივწერე და ვთხოვე სამამულო ომის ქართველი ვეტერანებისთვის გამარჯვების დღის საგანგებოდ მილოცვა და სამახსოვრო მედლებით დაჯილდოება. რამდენიმე დღის წინ შემატყობინეს, რომ პუტინმა ჩემი თხოვნის შესასრულებლად განკარგულება გასცა და მედლები უკვე თბილისშია!

**— ლიბერალებს ეს აქტივობა არ გამოეპარებათ... არ გეშინიათ მათი მხრიდან აგრესიული აქციების?**

— სამამულო ომში ხომ ამ ლიბერალების ბებია-ბაბუებიც იბრძოდნენ? რატომღაც, არ მგონია, ამ წმინდა თემას, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი წინაპრების ხსოვნას ჭუჭყიანი ხელებით წაეპოტინონ. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემი საყვარელი გაზეთის **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებიდან მთელ ქართველ ერს, რომელიც მყარად დაადგა უფსკრულიდან თავის დაღწევის გზას, ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ვისურვებ, რომ უახლოეს მომავალში მაცხოვრის მიმართ წმინდა სამადლობელი ლოცვა ილორის წმინდა გიორგის ტაძარში აფხაზ ძმებთან ერთად აღგვევლინოს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**ზელენსკიზე: როცა ომს იწყებ, უნდა იცოდე, რომ ომის მოგება შეგიძლია.**

„აიპრესი“

**დიმიტრი პესკოვი**
*კრემლის პრესმდივანი*



რუსეთი მზად არის **საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის** ნაბიჯების გადასადგმელად.

„პირველი არხი“

**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



ჩვენ ვაგრძელებთ ძალისხმევას **კავკასიაში ხანგრძლივი სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. ჩვენ თვალი არ გვიჭირავს ვინმეს მიწაზე, ვინმეს სუვერენიტეტზე ან რესურსებზე**.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ვაფასებთ **საქართველოსთან მეგობრობას** და ვრჩებით **თანამშრომლობის გაღრმავების** იდეის ერთგულნი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**არარატ მირზოიანი**
*სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



არსებობს თანამშრომლობის ბევრი გზა და მჯერა, **საქართველოს შეუძლია, ამ მხრივ იყოს ლიდერი რეგიონში.**

„რეზონანსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



სანამ საქართველოს ტერიტორიაზე იქნება **რუსეთის ორი ე.წ. საელჩო სოხუმსა და ცხინვალში,** მანამ დიპლომატიურ დიალოგზე არ იქნება საუბარი.

„რეზონანსი“

# «აი, ასე გამაუბედურა

**საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო, 2004 წლის 23 აპრილს „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის“ ბრალდებით დააკავეს და საპატიმროში ტანჯეს. ამ ყველაფრის მიზეზი გახდა სააკაშვილის პირადი შურისძიება, რადგან კონტროლის პალატამ ჯერ კიდევ შევარდნაძის იუსტიციის მინისტრი სააკაშვილი შეამოწმა და მას დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვის ფაქტი დაუფიქსირა.**



სულხან მოლაშვილის მამა თამაზ მოლაშვილი

სულხან მოლაშვილმა სააკაშვილის დილეგში ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოიარა. მისი ძმა **თორნიკე მოლაშვილიც** დააპატიმრეს და სულხანს ძმის გათავისუფლების სანაცვლოდ ულტიმატუმი წაუყენეს — **ევროსასამართლოდან საჩივარი გამოიტანეთო! სულხან მოლაშვილს** ფეხებზე დენი მიუერთეს, ხოლო ზურგზე სიგარეტის ნამწვავები მიაწვეს. თერთმეტი თვის განმავლობაში არ უმკურნალეს C ჰეპატიტზე, რაც იმით დასრულდა, რომ 2016 წლის ივნისში პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში 46 წლის ახალგაზრდა კაცი ღვიძლის უკმარისობით გარდაიცვალა!

2025 წლის 16 აპრილს საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისის წინაშე, რომელსაც **თეა წულუკიანი** ხელმძღვანელობს, აწ განსვენებული **სულხან მოლაშვილის მამა თამაზ მოლაშვილი** წარდგა, რომელმაც აღნიშნა, რომ **სააკაშვილს შევარდნაძის იუსტიციის სამინისტროში ჭარამხანა ჰქონდა გახსნილი და ვიღაც ქალბატონების გულის მონადირებას იმ სახელმწიფო თანხებით ცდილობდა, რომელთა გაფლანგვის გამოც სულხან მოლაშვილის კონტროლის პალატამ განგაში ატეხა.**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა **თამაზ მოლაშვილი** კომისიას თავისი შვილის ტანჯვა-წამებისა და უკანონო პატიმრობის შესახებ მოუთხრობდა, **გიგა ბოკერიას ცოლი და სააკაშვილის ძველი მეგობარი თამარ ჩერგოლეიშვილი** ფეისბუქში წყევლა-კრულვიან სტატუსს აქვეყნებდა და აწ განსვენებულ **სულხან მოლაშვილს** ანათემას უგზავნიდა — **„მე უდიდესი იმედი მაქვს, რომ ღმერთი არსებობს და ეს ცილისმწამებელი ჯოჯოხეთის კუპრში იწვის!“**

**თამაზ მოლაშვილმა** საუბრის დასაწყისში საგანგებოდ ახსენა წიგნი, რომელშიც ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს **სააკაშვილის** ცოდები ყოფილა აღნუსხული. მისი განცხადებით,

**„სულხან მოლაშვილი** კონტროლის პალატის თავმჯდომარედ რომ დანიშნეს, აი, ეს წიგნი გამოსცა. აი, აქ წერია, დაწყებული სამინისტროდან და შემდეგ საკრებულოდან, სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტს როგორ ფლანგავდა. დეტალებში არის აქ ყველაფერი აღწერილი. ეს ჩაიდეს გულში. სულხანმა თქვა: „ჩემი ოჯახი რომ არააწიოკონ, მაგათთან მე თვითონ მივალო! პატრიარქთან მივიდა, კურთხევა აიღო და მიაკითხა პირდაპირ რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს **ირაკლი ოქრუაშვილს,** რომელიც დაემალა და არ გამოჩნდა. სულხანს უთხრეს — ჩვენთან რა გინდა, კაცო, აგერ ქალაქის პროკურორი **ვალერი გრიგალაშვილი** გეძებსო! მივიდა იქ თუ არა, იმის შემდეგ სულხანი ვეღარ ვნახეთ. სამჯერ მისცეს სამ-სამი თვით პატიმრობა. ორი ვადა რომ გაუვიდა, დაავიწყდათ მესამეჯერაც რომ უნდა მიეცათ პატიმრობა და თვითონ სულხანმა გაახსენათ — **ხვალიდან მე თქვენი პატიმარი აღარ ვიქნებიო! — რატომ? — ჰკითხეს.— რატომ და ის სამი თვე დამიმთავრდაო!** შუაღამისას მივიდნენ, შუაღამისას, 2 საათზე... სულხანს ექიმისთვის უთქვამს, დასაძინებელი წამალი მომეცით, კარგად რომ დამეძინოსო! სულხანს ეძინა, პროკურორი მიიყვანეს, მოსამართლე მიიყვანეს და მძინარე პატიმარს განაჩენი გამოუცხადეს!“

***კიდევ უფრო მძიმე იყო იმის მოსმენა, როცა სააკაშვილის ბასკაკებმა და ჩაფრებმა სულხან მოლაშვილს წყნეთში აგარაკის ყიდვა აიძულეს, სადაც თამაზ მოლაშვილის განცხადებით, სააკაშვილმა მერე ისევ და ისევ ჭარამხანა გახსნა!***

პირობა ასეთი იყო — აგარაკის ყიდვის შემდეგ **სულხან მოლაშვილი** უნდა გაეთავისუფლებინათ. ოჯახმა გერმანიაში მცხოვრები ნათესავისა და სხვა კეთილისმსურველების დახმარებით აგარაკისთვის საჭირო თანხის შეგროვება შეძლო და აგარაკი იყიდა, თუმცა, პირობა დაირღვა და **სულხან მოლაშვილი** ციხეში დატოვეს.

**თამაზ მოლაშვილის** თქმით,

„პირადად მაგათი სიტყვა იყო ასეთი — **კაცო, მოიცადე, როგორმე გავაკეთოთ ისე, რომ ეს აგარაკი მიშას მივუგდოთ.** ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი რძლის საქციელი — **კი მაგრამ, უარი რომ ვთქვა,**



სააკაშვილის რეჟიმის ჯურღმულებში ნაწამები სულხან მოლაშვილი

## „სულხანს ბევრი მეგობარი ჰყავდა და მაგათ მოჰქონდათ ამბები – სულხანს წამების დროს რომ ულებდნენ, გაბღენძილი სააკაშვილი სიამოვნებით უყურებდა ამასო!“

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
ექსპერტი



აქციებზე მყოფი ახალგაზრდები **გაუნათლებლობის მწვერვალზე რომ არიან,** ეს **სააკაშვილების, ლომაიების, ალასანიების და შაშკინების** მიზანმიმართული ძალისხმევის შედეგია. მათი მიზანი ახალგაზრდების **მართვად ზომბებად** გადაქცევა იყო.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ მაისაია**
პოლიტოლოგი



„ოცნებამ“ შეიძლება **საბჭოთა ჰიმნიც დააბრუნოს,** რომაელმა პოლიტიკოსმა ციცერონმა თავის დროზე გენიალური ფრაზა თქვა: **„იმპერიის კრახი ხდება მაშინ, როცა უაზრო კანონების მიღება ხდება“.**

„ახალი თაობა“

**გიორგი ახვლედიანი**
ანალიტიკოსი



**არჩევნების გაყალბების ერთი კონკრეტული ფაქტი ვერ დაასახელეს არგუმენტად.** მათ საქართველო არ უნდათ, როგორც **დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.** საქართველოს ხელისუფლება ისჯება **ქვეყნის და ხალხის ინტერესების გამტარებელი პოლიტიკის გამო.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მირიან მირიანაშვილი**
ანალიტიკოსი



დასავლეთი **რიგგარეშე არჩევნების იდეას** დიდად არ უჭერს მხარს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **ქართულ ოპოზიციურ პარტიებს აშკარად არ ემხრობა!**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
ანალიტიკოსი



დიდი ხანია, ვამბობთ მეც და სხვებიც, რომ **პოლიტიკური სპექტრი გასაახლებელია** და ამაში „ქართული ოცნება“ თუ დაგვეხმარება, არ იქნება ცუდი.

„კვირის პალიტრა“

# მიშა სააკაშვილმა!»

სულხანი რომ ციხეში მომიკლან, სამ შვილს რა ვუყოო?!“

მოლაშვილი დილეგში ჩააგდეს და აწამეს. ნაწამები სულხანი ჯოჯოხეთად ქცეულ დილეგში მოინახულეს **ელენე თევდორაძემ, თომას ჰამერბერგმა და მათიას იორშმა,** რომლებმაც განგაში ატეხეს, თუმცა, საქართველოში მოქმედ ყველა ელჩს პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული და სააკაშვილს **„დემოკრატიის შუქურას“** უწოდებდა! საბოლოო ჯამში ევროპულმა სასამართლომ **სულხან მოლაშვილის** უფლებების დარღვევა ოთხი მუხლით აღიარა და დაადასტურა, რომ რეჟიმმა ის აწამა. **სააკაშვილი** და მისი ხროვა იძულებული გახდნენ, უმძიმესი ავადმყოფი ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ, მაგრამ სულხანის ჯანმრთელობა უკვე მიზანმიმართულად განადგურებული იყო.

**თამაზ მოლაშვილმა** ცრემლის გარეშე ვერ გაიხსენა ის უბედურება, რაც **სააკაშვილმა და მისმა ბანდამ** სულხან მოლაშვილს ციხეში მოუწყვეს. აი, რა ბრძანა მოხუცმა და გამწარებულმა მამამ:

„სულხანს ბევრი მეგობარი ჰყავდა და მაგათ მოჰქონდათ ამბები — სულხანს წამების დროს რომ უღებდნენ, გაბღენძილი **მიხეილ სააკაშვილი** სიამოვნებით უყურებდა ამასო! **ქალბატონ ელენესა და მათიას იორშის** რომ გაუღეს დილეგის კარი, სულხანი ჩაიკეცა, თურმე. იცით, რატომ? იმიტომ, რომ სინათლე არ ჰქონდა, დასაჯდომი არ ჰქონდა... რაღაც ერთი ჭუჭრუტანა იყო, პირი რომ მიადოს ადამიანმა და ისუნთქოს იქიდანო... **(ტირის)** თეთრმეტი თვე როგორ გავიდა, რომ ჩვენ გაგებაში არ ვიყავით C ჰეპატიტი ჰქონდა თუ არა? თერთმეტი თვის განმავლობაში რომ C ჰეპატიტი ჰქონდა, რას უშხაპუნებდნენ, რას უკეთებდნენ? აქ მედიცინის ხალხშიც ძალიან ბევრი დამნაშავეა. მერე და მერე ისეთი ამბები გამოჰქონდათ იქიდან, რომ ტირილი კი არა, ბღავილი ამიტყდებოდა ხოლმე! სულხანს დანა კი არ გაუყარეს, შუბლში ტყვია კი არ დაახალეს, ნელი სიკვდილით მომიკლეს!“

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე მართლაცდა მეხის გავარდნასავით ხმა ჰქონდა **თეა წულუკიანის** სიტყვებს, რომლითაც მან ევროკავშირის ელჩს **პაველ ჰერჩინსკის** მიმართა: ***„გამოვიდეს ევროკავშირის ელჩი და გაგვცეს პასუხი იმაზე, რაც სააკაშვილმა პირადი შურისძიების მიზნით, სულხან მოლაშვილს საპატიმროში დამართა, რომელიც მინუს ერთ სართულზე ჰყავდათ, მაპატიეთ, ბატონო თამაზ, ეს სიტყვა უნდა გამოვიყენო, დამწყვდეული; უჰაეროდ, დილეგში, საჭმლის გარეშე, სკამისა და საწოლის გარეშე. დაუწვეს ზურგი სიგარეტის ნამწვავებით, ამ დროს რომ არ ეყვირა, თავზე ჩამოაცვეს ცელოფანი და გუდავდნენ. არ უმკურნალეს C ჰეპატიტზე, ოჯახს აყიდვინეს აგარაკი, გადააცემინეს სახელმწიფოსთვის და ყველაფერი ის უბედურება, რაც მოვყევი... გამოვიდეს ევროკავშირის ელჩი და თქვას მხოლოდ ერთი სიტყვა, კარგია ეს თუ ცუდი?“***

***ცხადია, ევროკავშირის ელჩი არ გამოვა და არაფერს იტყვის, რადგან სულხან მოლაშვილს სააკაშვილი და მისი ევროპელი თუ ამერიკელი პატრონები ერთად აწამებდნენ!***

შეუძლებელია, თვალზე ცრემლის გარეშე მოგესმინა **თამაზ მოლაშვილისთვის,** რომელმაც მთელი საქართველო აატირა და თავადაც ატირებულმა აღსარებასავით გვითხრა:

**„დედა გარდამეცვალა, მამა, მეუღლე, ყველა ხომ უბედურებაა, მაგრამ შვილი... მტერს არ ვუსურვებ, სულ სხვა გრძნობაა! აი, ასე გამაუბედურა მიშა სააკაშვილმა!“**

არანაკლებ ემოციური იყო **თამაზ მოლაშვილის** ის აღსარება, როცა მან კომისიას უთხრა, რომ ***სააკაშვილის მოსაკლავად იარაღი გამზადებული ჰქონდა, მაგრამ ნაციფიურერი და ჯალათების უსტაბაში იმ დღეს რაღაცა ბედად ახალგარემონტებული სკოლის გახსნაზე არ მივიდა! აი, მისი აღიარებაც:***

„ჩემს სკოლაში რემონტი გააკეთეს **სააკაშვილის** მეფობის დროს. სულხანი დაჭერილია და ვაგინებთ სააკაშვილს. როგორი საქმეა, მე, **თამაზ მოლაშვილმა,** სააკაშვილი ლენტის გასაჭრელად რომ მოვა, აუცილებლად უნდა ხელი ჩამოვართვა? იყო საშუალება, რომ იარაღიც ამეღო და გაწირული ვიყავი იმ დღეისთვის მე. ეტყობა, ვიღაცამ გადააფიქრებინა — ეს სულხან მოლაშვილის მამაა, რატომ უნდა გაჭრა ლენტი იქ, წადი და სხვაგან გაჭერიო! ამცდა მეც და მაგასაც, თორემ, კი არ ვტრაბახობ, სატრაბახო რა არის, მე თავი გადადებული მქონდა, იარაღიც მქონდა, არც მაგას გავახარებდი და არც ჩემს თავს!“ **(ტირის).**

2025 წლს 16 აპრილის კომისიის სხდომაზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკვანძო და ამაღელვებელი მომენტი ის იყო, როცა **თამაზ მოლაშვილმა მალხაზ მაჩალიკაშვილთან** შეხვედრა გაიხსენა და ასეთი რამ თქვა:

**„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო! — გაიძახიან. ეს ხალხი რამ გააველურა, რომ მიდიან მიცვალებულთან და უსამძიმრებენ — გისამძიმრებო! აი, ეს ადამიანები როგორ უნდა მივიდნენ ვიღაცასთან და მიუსამძიმრონ, როცა სულხან მოლაშვილის მამას ეუბნებიან — შენი შვილის მკვლელი უნდა გამოვიდესო!** აზროვნება ხომ უნდა ჰქონდეთ? **მაჩალიკაშვილი** რომ არის, შვილი რომ მოუკლეს, დგას და უკან სააკაშვილის სურათი აქვს. მივედი, მხარზე ხელი დავადე — **მე სულხან მოლაშვილის მამა ვარ-მეთქი! შვილი მომიკლა აი, ამან-მეთქი!** შენ რომ შვილი მოგიკლა, აი, იმაზე რომ მითხრან მე და ტაში დავუკრა, გაგეხარდება-მეთქი? პასუხი არ გაინტერესებთ? **მიყურებს, მიყურებს, პაუზა გააკეთა ძალიან დიდი... ვერაფერი ვერ მითხრა. აი, ასე მხარზე დავარტყი ხელი და წამოვედი. აი, ახლა ურევს გემრიელად, მაგრამ მე ვიგრძენი, რომ მაშინ მაგან რაღაც იგრძნო!“**



## სულხან მოლაშვილის მწამებელი რეჟიმის ბელადი მიხეილ სააკაშვილი სასამართლო დარბაზის გალიაში



## თეა წულუკიანი: გამოვიდეს ევროკავშირის ელჩი და გაგვცეს პასუხი იმაზე, რაც სააკაშვილმა პირადი შურისძიების მიზნით, სულხან მოლაშვილს საპატიმროში დამართა!

დასასრულ **თამაზ მოლაშვილმა,** ფაქტობრივად, მთელი ქართველი ერის სურვილი გაახმოვანა, როცა კომისიას მიმართა:

„სულხან მოლაშვილი რომ შეაგდეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უბედურ კამერაში, სააკაშვილს მოჰკიდონ ერთი ხელი, მიიყვანონ იქა, შეაგდონ, ნახევარი საათით და რომ გამოვა იქიდან, **თამაზ მოლაშვილი** დახვდეს და უთხრას — აი, ასე ჰყავდით, შენი ბრძანებით, **სულხან მოლაშვილი!** კარგი იყო? მაგრამ არა! წამოკოტრიალებულია დასასვენებლ სახლში, გემრიელად მიირთმევს და ამას ჰქვია დაპატიმრება?“

წინამდებარე საგაზეთო მასალის ეპილოგად, ალბათ, ყველაზე უფრო **თეა წულუკიანის** ერთი ფრაზა გამოგვადგება — **იმედი გვაქვს, ახალ წელს ნაცმოძრაობა აღარ იარსებებს! ღმერთმა ქნას, ქალბატონო თეა, თქვენი ეს სურვილი ახდეს,** მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ისე მოხდეს, როგორც **სააკაშვილის ხელისბიჭმა ირაკლი ოქრუაშვილმა** თქვა — **ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო!** — და იმის შემდეგ ცხინვალი საქართველოს რუკიდან გაქრა!

*მოამზადა* ***დიტო ჩუბინიძემ***

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



გაიხსენეთ, რა თქვა რამდენიმე კვირის წინათ გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელმა — **თუ უკრაინაში ომი 2028-2029 წლამდე გაგრძელდება, ევროპა უფრო დაცული იქნება** და რუსეთთან ომში ჩვენი ჩაბმის რისკი შემცირდებაო.

„თბილისელები“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საგარეო საკითხებში*



**ოპოზიციამ ჩარეცხა** და ლოგიკური იქნება, **გახარია** პარლამენტში რომ შევიდეს.

„ახალი თაობა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



ოპოზიციას არჩევნების მოგება თუ უნდა, **ახლა უნდა თანხმდებოდნენ მერობის კანდიდატზე.** ვინაიდან მსგავსი რაღაცები ფეხებზე ჰკიდიათ, **არ იბრძვიან გამარჯვებისთვის!**

„პირველი არხი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**როგორ უნდა აკრძალონ პოლიტიკური პარტია?!** პარტია შედგება ადამიანებისგან, პოლიტიკოსებისგან, **მათ ახალი პარტიის დაფუძნებას აუკრძალავენ თუ სხვა ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებას?!**

„ახალი თაობა“

**თამარ კიკნაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პროფესორი*



ახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, **ოპოზიცია იმ ხმებსაც ვერ მიიღებს,** რაც 2024 წლის 26 ოქტომბერს მიიღო, რადგან საკუთარი ქმედებებით **თავიანთი დისკრედიტაცია** მოახდინეს.

„საერთო გაზეთი“



***— ალკოჰოლი არტერიულ წნევაზე დამანგრევლად მოქმედებს, თუმცა, გამოუვალ სიტუაციაში მაღალი წნევის დაბლა დასაწევად ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ ალკოჰოლია, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არაყი! — აცხადებს ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი და დასძენს:***


**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**


## კახა საბახტარიშვილი:

# ალკოჰოლის ხშირი მიღება ჰიპერტონიას იწვევს!



— ალკოჰოლი რომ ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ბევრმა შესაძლოა, არ იცის, თუ რა გავლენას ახდენს ის არტერიულ წნევაზე. საქართველოში გავრცელებულია აზრი, რომ არაყი მაღალ წნევას უხდება და დაბლა სწევს. კაცმა რომ თქვას, პირველადი ეფექტის თვალსაზრისით, ნებისმიერი ალკოჰოლი და, მათ შორის, განსაკუთრებით არაყი, სისხლძარღვებს სწრაფად აფართოებს, რაც არტერიული წნევის მაჩვენებელსაც ავტომატურად ამცირებს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როგორც კი ალკოჰოლი ორგანიზმიდან გამოსვლას დაიწყებს და ე.წ. ნაბახუსევის ეფექტი დადგება, დაიწყება უკუპროცესი. ამ დროს არტერიული წნევის მაჩვენებელმა შესაძლოა, იმდენად საშიშ ნიშნულს მიაღწიოს, რომ ადამიანი ინფარქტისა და ინსულტის საფრთხის წინაშე დადგეს!

**— მაინც რა მეცნიერული ახსნა აქვს ალკოჰოლის მიერ წნევის ჯერ დაბლა დაწევის და შემდეგ მაღლა აწევის საშიშ პროცესს?**

— როგორც ვიცით, ყველა ალკოჰოლური სასმლის შემადგენლობაში შედის ეთილის სპირტი. ცნობილია, რომ ცხიმები სპირტში სრულად ან ნაწილობრივ იხსნება. სისხლძარღვების კედლების უჯრედული მემბრანა, ანუ გარსი, ძირითადად, ცხიმებისგან შედგება. როდესაც სპირტი მემბრანას მოხვდება, იგი რბილდება და ხდება ელასტიკური, რაც მთელი სისხლძარღვის მოდუნებას, გაფართოებასა და წნევის დაწევას იწვევს. ეს მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება, რადგან ორგანიზმი ცდილობს, ჩართოს ე.წ. ადაპტაციის მექანიზმი, რათა მემბრანა დაზიანებისგან დაიცვას. ეს პროცესი მემბრანაზე ქოლესტერინის დამატებით ხდება, რომელიც ერთგვარი წებოს როლს ასრულებს. ამის შედეგად უჯრედის გარსი ხდება არაელასტიკური, რასაც წნევის მატება მოსდევს. არსებობს სხვა მექანიზმიც, რომელიც დალევის შემდეგ წნევის მატებას უზრუნველყოფს. ალბათ, ყველას შეგიმჩნევიათ, რომ ადამიანს ნაბახუსევზე სახე შეშუპებული აქვს და ძლიერი წყურვილი ტანჯავს. საქმე ის გახლავთ, რომ ორგანიზმში მოხვედრილი ეთილის სპირტი უჯრედიდან დიდი რაოდენობით წყალს იერთებს და უჯრედი, ფაქტობრივად, წყლის შიმშილს განიცდის. გარდა ამისა, ეთილის სპირტი არღვევს წყლისა და ელექტროლიტების ბალანსს. კერძოდ, იზრდება ნატრიუმის კონცენტრაცია და ხდება სითხის შეკავება, რაც დამატებით ზრდის წნევას. **განსაკუთრებით მძიმეა ლუდით თრობა, შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობის დაზიანებისა და არტერიული წნევის მატების მხრივ, ლუდი არაყზე უფრო საშიში სასმელია!**

## „დიაბეტის დროს არყის დალევა კატეგორიულად დაუშვებელია!“



**— მაინც რა განაპირობებს ლუდისგან მომდინარე ასეთ საფრთხეს?**

— ლუდის წარმოების ტექნოლოგიაში, უმრავლეს შემთხვევაში, ალაოს ფერმენტაციისას გამოიყენება აზოტის ნაერთები, რომლებსაც **ნიტროზამინები** ეწოდება. ეს სხვა არაფერია, თუ არა კანცეროგენები, ანუ კიბოს გამომწვევი ნივთიერებები. როგორც თანამედროვე კვლევებით დასტურდება, ლუდში დიდი რაოდენობით **ფიტოესტროგენია,** რაც ქალთა ბუნებრივი სასქესო ჰორმონია. ამიტომაც **მამაკაცები, რომლებიც ყოველდღიურად ლუდს გადაჭარბებული რაოდენობით მიირთმევენ, მოყვანილობით ნელ-ნელა ემსგავსებიან ქალებს, ანუ განიცდიან ფემინიზაციას.** სწორედ ამით აიხსნება ლუდის მოყვარულ ქვეყნებში მამაკაცთა იმპოტენციისა და ჭარბწონიანობის, ასევე შობადობის შემცირების მატება. ქალები, რომლებიც ბევრ ლუდს სვამენ, პირიქით, მამაკაცებს ემსგავსებიან და მათი მასკულინიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ლუდში შემავალი ქერი, რომელიც ცალკე შესანიშნავი სამკურნალო მცენარეა, ლუდის წარმოების პროცესში ანტიბიოტიკის თვისებას იძენს, ანუ გარდაიქმნება ალკოლოიდ **იზომორფინად,** რაც ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალებაა. სწორედ იზომორფინი განაპირობებს ლუდზე დამოკიდებულებას. **ილია ჭავჭავაძე,** რომელსაც ეს სასმელი სძულდა, აბსოლუტურად მართალი იყო, როცა ლუდს **„ვირის შარდს“** უწოდებდა! ლუდი დიდ დატვირთვას ახდენს თირკმლებზე, რის შედეგადაც მათი გამომყოფი ფუნქცია უარესდება. ყოველივეს თან სდევს სხეულის შეშუპება და არტერიული წნევის მატება. საერთოდ, **ვინც ალკოჰოლურ სასმელს ეტანება, მალე ბერდება!**

**— რატომ?**

— იმისათვის, რომ ორგანიზმმა ალკოჰოლი დაშალოს, ღვიძლში არსებობს ფერმენტი **ალკოჰოლდეჰიდროგენაზა.** ამ ფერმენტის გავლენით ალკოჰოლი იშლება, მაგრამ დაშლის შუალედური პროდუქტი **აცეტალდეჰიდია,** რომელიც ძალზე სახიფათო ნაერთია. გარდა იმისა, რომ ის ანგრევს ღვიძლსა და თავის ტვინს, წარმოშობს თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც ჟანგავენ სისხლძარღვების შიდა კედლებს და იქ ათე-

## „ჯანმრთელობის დაზიანებისა და არტერიული წნევის მატების მხრივ, ლუდი არაყზე უფრო საშიში სასმელია!“

### კვირგვინოსნები

**მაყვალა გონაშვილი**
*პოეტი*



2004 წელს შემთხვევით ჩამივარდა ხელში **ზურაბ ჭიაბერაშვილის** პროექტი, სადაც ეწერა, რომ **საქართველო წინ ვერ მიდის იმიტომ, რომ ის დიდ პატივს სცემს ისტორიას და ქართულ ენას;** ამიტომ საჭიროა, ყველაზე მეტად დამცირებულნი იყვნენ ქართულისა და ისტორიის მასწავლებლები, ისინი შევზღუდოთ **და ქართულ მწერლობაში შევარჩიოთ ახალი სახელები,** რომლებიც ხელს შეგვიწყობენ მომავალ ევროპულ განვითარებაშიო... ამის მერე იწერება სწორედ **ლაშა ბუღაძის** ისტორიული ნაწარმოები თამარ მეფისადმი. ეს ადამიანები უკვე არიან ამ პროექტის გმირები.

„TV აჭარა“

**მერაბ ჭათიაშვილი**
*მწერალი*



ყოველთვის ვამბობ, რომ **მეგრული უმდიდრესი კუთხური ენაა.** უბედნიერესი ვიქნები, თუ მოვესწრები, რომ თუნდაც მესამე-მეოთხე კლასებიდან დრო, **ქართულ ენასთან ერთად, ძირძველი კუთხური ენებისა და მათში ჩამალული მარგალიტების შესწავლას დაეთმობა.** ეს აუცილებელია, რადგან **მეგრული და სვანური ენები,** ქართული ენის, ქართველობის წიაღია.

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ხონელიძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი*



**ყველა უბედურების სათავე ჩვენ ვართ!** რატომ? — დღევანდელი დღე ჩვენ შევქმენით, როცა **ქვეყანას განვუსაზღვრეთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსი!** ეს არის მანიშნებელი იმისა, რომ **ჩვენი ქვეყანა გავწირეთ მსახურებისთვის!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ისიაძე**
*აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი*



მინდა, მთელ მსოფლიოს მოვუყვე, რომ **ჩემს ქვეყანას ასეთი მაღალი რანგის კულტურა აქვს.** ეს **19 ქვეყანას** ეყოფოდა, რადგან **19 მუსიკალური დიალექტი** გვაქვს.

„სარკე“

როსკლეროზული ფოლაქების განვითარებას იწვევენ. ამიტომ არის, რომ, ალკოჰოლის ხშირი მიღება ჰიპერტონიას იწვევს!

**— რა ხდება მაშინ, როცა ადამიანი პახმელიაზეა, წნევა მაღალი აქვს, წნევის დამწევ საშუალებას ღებულობს, მაგრამ წნევა, დაბლა ჩამოსვლის მიუხედავად, ისევ მაღლა ადის?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მიღებისას ან ხშირი სმის გამო ორგანიზმში მატულობს ნეირომედიატორ **გლუტამატის** რაოდენობა, რომელიც ნერვულ უჯრედებს აღაგზნებს. ამავე დროს მკვეთრად მცირდება გამა ამინომჟავის რაოდენობა, რომელიც, პირიქით, ნერვულ სისტემას ამშვიდებს. სწორედ ამის გამოა, რომ პახმელიის დროს ნერვული სისტემა აღგზნებულია და ადამიანს ყველაფერი აღიზიანებს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ნაბახუსევზე, როგორც წესი, გულისცემა აჩქარებულია და წნევაც აწეულია. **წნევის დამწევი წამლები ნაბახუსევზე ნერვულ სისტემას ვერ ამშვიდებენ და ამიტომაც ისინი ნაკლებად ეფექტური არიან.** საერთოდ, როცა ადამიანს მძიმე პახმელია აქვს და წნევა 180-ს ან 200 ერთეულს ეთამაშება, კარდიოლოგს კი არა, პირველ რიგში, ნარკოლოგს უნდა გამოვუძახოთ, რათა პაციენტს ნერვული სისტემის დამამშვიდებელი პრეპარატი შეურჩიოს. ამ დროს საუკეთესო საშუალებაა გადასხმა, რომელიც ორგანიზმის დეტოქსიკაციასა და წნევის დაბლა დაწევას უზრუნველყოფს.

**— საერთოდ, წნევის დამწევი და დამარეგულირებელი პრეპარატები ალკოჰოლთან წინააღმდეგობაში არიან?**

— წნევის დამწევი და დამარეგულირებელი პრეპარატების უმრავლესობა ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად ბევრ გვერდით მოვლენას იწვევს. **ზოგიერთი უგუნური ასეთ რამეს სჩადის — ქეიფის დაწყების წინ, აქაოდა, წნევამ არ ამიწიოსო, წინასწარ სვამს წნევის დამწევ წამალს! ეს უდიდესი შეცდომაა, რაც შესაძლოა სიკვდილით დასრულდეს.**

ჩვენ ზემოთ გარკვევით ვთქვით, რომ დალევის მომენტში წნევა ისედაც დაბლა იწევს და თუ წნევას პრეპარატის გამოყენებით წინასწარ დავწევთ და მერე ალკოჰოლს დავლევთ, **შესაძლოა, წნევა კატასტროფულად დაეცეს და გული გაჩერდეს.** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ალკოჰოლთან ერთად ან ნაბახუსევზე **კლოფელინის** დალევა! იგი ძლიერმოქმედი წნევის დამწევია, მაგრამ, საბედნიეროდ, თავისუფლად არ იყიდება, რადგან ხშირად კრიმინალები იყენებენ. **კერძოდ, საკმარისია, კლოფელინის ტაბლეტი ადამიანს ალკოჰოლთან ერთად მივაღებინოთ, რომ ის მომენტალურად გაითიშება!**



## „წნევის დამწევი წამლები ნაბახუსევზე ნერვულ სისტემას ვერ ამშვიდებენ და ამიტომაც ისინი ნაკლებად ეფექტური არიან!"

## „ზოგიერთი უგუნური ასეთ რამეს სჩადის — ქეიფის დაწყების წინ, აქაოდა, წნევამ არ ამიწიოსო, წინასწარ სვამს წნევის დამწევ წამალს! ეს უდიდესი შეცდომაა, რაც შესაძლოა სიკვდილით დასრულდეს!"

**— თუ მაღალი წნევა გვაქვს და წნევის დამწევი პრეპარატი არსად მოგვეპოვება, წნევა როგორ უნდა დავიწიოთ?**

— ამისთვის ისევ და ისევ საუკეთესო საშუალებაა ალკოჰოლი, კონკრეტულად კი **მხოლოდ კონიაკი და ისიც მცირე რაოდენობით!** კონიაკი შესანიშნავი პროდუქტია, რომელსაც სტენოკარდიული შეტევის დროს ბევრი გადაურჩენია. საკმარისია, ამ დროს 50 გრამი კონიაკი მივიღოთ, სპაზმი მოიხსნება, სისხლძარღვები გაფართოვდება, წნევა დაბლა დაიწევს და ადამიანი, დიდი ალბათობით, ინფარქტსა და ინსულტს გადაურჩება.

**— არაყს ეს ეფექტი არა აქვს?**

— არავითარ შემთხვევაში! პირიქით, **თუ სტენოკარდიული შეტევის დროს არაყს დავლევთ, შესაძლოა, სიკვდილი დავაჩქაროთ!** კონიაკისგან განსხვავებით, არაყი სისხლს ასქელებს, არტერიულ წნევას მაღლა სწევს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ინფარქტისა და ინსულტის დამაჩქარებელი პროცესი!

**— ჯანმრთელობისთვის ორნახადი არაყი უფრო სახიფათოა თუ ერთნახადი?**

— ცხადია, ორნახადი არაყი ბევრად უფრო სასარგებლოა და თუმცა, ორჯერ გამოხდის შედეგად არაყს გრადუსი ემატება, სამაგიეროდ, ორთქლდება ის მავნე ნივთიერებები, რომელთა უმრავლესობაც კიბოსა და ციროზს იწვევს. სხვათაშორის, განზავებული სამნახადი არაყი ბევრად უფრო უსაფრთხოა!

**— ამბობენ, რომ არაყი შაქრიანი დიაბეტის დროს სასარგებლოა!**

— ეს მითია! დიაბეტის დროს არყის დალევა კატეგორიულად დაუშვებელია. არაყმა დროის მცირე მონაკვეთში შაქრის მაჩვენებელი შესაძლოა, დაბლა დასწიოს, მაგრამ რაკიღა მრავალატომიანი სპირტი, ანუ ტუტე ნაერთია, სისხლს ასქელებს. ამის შედეგად არტერიული წნევა მაღლა იწევს და დიაბეტის დროს ისედაც გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს.

**— მაინც რომელია ყველაზე უსაფრთხო და უწყინარი ალკოჰოლური სასმელი, რომლის მიმართაც არტერიული წნევა შედარებით მდგრადია?**

— რა თქმა უნდა, ღვინო, რომლის სამშობლოც საქართველოა! ევროპული „ვაინ" და რუსული „ვინო" სუყველა ქართული „ღვინიდან" მოდის. **ღვინო ქოლესტერინის ნომერ პირველი მტერია, ამიტომაც მიირთმევენ მას ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხები უძველესი დროიდან, სადაც ოდითგანვე მაღალი ქოლესტერინის შემცველ ცხიმიან საკვებს — ბატკნის, ღორის ან ბატის ხორცს მიირთმევენ.** ფრანგები საგანგებოდ ასუქებენ ბატს და მისი გადიდებული მაღალქოლესტერინული ღვიძლისგან ამზადებენ ეროვნულ პროდუქტს, რომელსაც ფუაგრა ეწოდება.

ნებისმიერი გამოკვლევით, ფრანგების უმეტესობა სწორედ ინსულტისა და ინფარქტისგან უნდა იღუპებოდეს, მაგრამ იმის გამო, რომ ფრანგებს, იტალიელებსა და ესპანელებს წესად აქვთ მაღალცხიმიანი საჭმლის ჭამისას 100-150 გრამი ღვინის დალევა, ეს საფრთხე განეიტრალებულია! **საერთოდ, წითელი ღვინო, მაგალითად, საფერავი, რომელიც თავისი სასარგებლო თვისებებით, ღვინოების მეფეა, წნევას უფრო ადვილად სწევს მაღლა, ვიდრე ნებისმიერი თეთრი ღვინო. მაგრამ დღეში 50 გრამი საფერავი, პირიქით, წნევას არეგულირებს და, ზოგადად, ისე მოქმედებს, როგორც პანაცეა — ყველაფრის წამალი.**

## „კონიაკი შესანიშნავი პროდუქტია, რომელსაც სტენოკარდიული შეტევის დროს ბევრი გადაურჩენია. საკმარისია, ამ დროს 50 გრამი კონიაკი მივიღოთ, სპაზმი მოიხსნება, სისხლძარღვები გაფართოვდება, წნევა დაბლა დაიწევს და ადამიანი, დიდი ალბათობით, ინფარქტსა და ინსულტს გადაურჩება!"






# „ვინც ალკოჰოლურ სასმელს ეტანება, მალე ბერდება!"

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



მთელი 36 წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ **9 აპრილის გმირთა მემორიალი არ იყო ის ადგილი, სადაც ქართველები ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ.** ეს იყო წმინდა ადგილი, სადაც ბოლო პერიოდამდე **სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები ერთმანეთს არ ეჭიდავებოდნენ.** ამჯერად სამწუხარო რამ მოხდა. დამრჩა განცდა, რომ **მავანმა ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგება სცადა,** პროვოცირების ნიშნების ამოკითხვა შეძლეს მმართველი გუნდის წევრებმა და განზე გადგნენ, თუმცა, 9 აპრილის პოლიტიზება მაინც მოხდა.

„კვირის პალიტრა"

**ირაკლი ჩიხლაძე**
*ტელეკომპანია „იმედის" გენერალური დირექტორის მოადგილე*



**სისხლიანი რეჟიმის მხარდამჭერები** ბელადის ტრადიციას აგრძელებენ — **მოგვპარონ თავისუფლების დღე.** არ გამოუვიდათ, პროვოკაცია არ შედგა, თუმცა, ტრადიცია მაინც დაირღვა — **9 აპრილის მემორიალთან წელს არ მიუშვეს გმირები, იყვნენ მხოლოდ ანტიგმირები.**

„TV იმედი"

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



ღრმად პროვინციალი **ბურჭულაძის** გამოჩენა იმის მკაფიო ნიშანიცაა, რომ ქართულ პოლიტიკურ არენაზე **ოპოზიციის ნიშა თავისუფალია** — აღარც **სააკაშვილია**, აღარც **ბვარამიაა**, აღარც **ხაზარაძეა**, აღარც **ბოკუჩავაა**, აღარც **გახარიაა,** აღარც **ხაბეა** და აღარც **ელისაშვილია.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



**დაინიცირდება საკანონმდებლო ინიციატივა,** რომლის მიხედვით, პირველი ოქტომბრიდან **უმაღლეს სასწავლებლებში ბაკალავრიატზე აღდგება და სავალდებულო იქნება ქართული ენის სწავლება.** „პირველი არხი"

# რით უნდა ამაყობდეს

დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-16

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, ვნების კვირასა და აღდგომა დღეს საქართველოს ისტორიაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მომხდარი, რომელმაც ქვეყნის სვებედი დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრა:***



— მათგან უახლესი ამბავი 1802 წლის 12 აპრილს სიონის საკათედრო ტაძარში მოხდა. ამ დღეს, აღდგომის წინარე შაბათს, ქართლ-კახეთის სამეფოს დიდებულები და სამღვდელოება, ერეკლე მეორის ვაჟის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ **ანტონ მეორის** ხელმძღვანელობით, სიონის საკათედრო ტაძარში საგანგებოდ შეიკრიბნენ, რათა მოესმინათ რუსეთის იმპერატორის **ალექსანდრე პირველის** მიერ გამოცემული მანიფესტი. ყველა ელოდა, რომ რუსთხელმწიფე აღასრულებდა **გიორგი მეთორმეტის** თხოვნას და თავისი მანიფესტით ქართლ-კახეთის მეფედ **იულონ ბატონიშვილის** ნაცვლად **დავით გიორგის ძე ბაგრატიონს** ცნობდა. საუბედუროდ, მოხდა სულ სხვა რამ — ქართველებისთვის სრულიად მოულოდნელად, ბაგრატიონთა სამეფო დინასტია ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიდან გადაყენებულად გამოცხადდა და ქართლ-კახეთის მეფის ტიტული მიიტაცა რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა.**

1801 წლის 11 სექტემბერს **ალექსანდრე პირველი** მოსკოვში მეფედ ეკურთხა, ხოლო მეორე დღეს, 12 სექტემბერს, მან გამოსცა მანიფესტი, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო გადავიდა რუსეთის იმპერატორის უშუალო დაქვემდებარებაში, ანუ იურიდიულად ქართლ-კახეთის სამეფოს ისევე, როგორც პოლონეთის სამეფოს, არსებობა არ შეუწყვეტია და რუსეთის იმპერატორები ამ დროიდან მოყოლებული ყოველთვის ატარებდნენ **„ცარ გრუზინსკის“** ტიტულს.

ფაქტობრივად, 1802 წლის 12 აპრილიდან დაიწყო ქართული სახელმწიფო სისტემის სრული დემონტაჟი. ჯერ გაუქმდა ქართული ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა, რომელიც მთლიანად რუსულ ყაიდაზე გადავიდა; 1811 წლის მარტში გაუქმდა საქართველოს საპატრიარქო და საქართველოს ეკლესიის მართვა რუსულენოვან ეგზარქოსებს გადაეცათ; ეკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა აიკრძალა; 1832-1834 წლებში გაუქმდა ვახტანგ მეექვსის სამართალზე დაფუძნებული სამართლის წარმოება და ამავე წელს დაიხურა თბილისის ზარაფხანაც. 1834 წლამდე ფულის ნიშნებს, რომელიც კავკასიაში მოქმედებდა, სწორედ თბილისში ბეჭდავდნენ.

**— როდემდე გაგრძელდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი?**

— ქართული სახელმწიფო სისტემა იმდენად მყარი იყო, რომ რუსეთის იმპერიას საქართველოს წინაშე პერიოდულად უწევდა რაღაც დათმობებზე წასვლა. ამის ნათელი დასტურია 1845 წლიდან **მიხეილ ვორონცოვის** მეფისნაცვლობა, ქართულენოვანი სასწავლებლების აღდგენა, არაფორმალურად ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვის დაშვება და ა.შ. უკანასკნელი ქართული სამთავრო — სამეგრელო იურიდიულად მხოლოდ 1867 წლის იანვარში გაუქმდა. უფრო სწორად, ამაში საამაყო არაფერია, რადგან რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟის — **ნიკო დადიანისგან** სამეგრელოს მთავრის ტიტული 1 მილიონ რუსულ რუბლად იყიდა! თვალსაჩინოებისთვის,

## სწორედ 1867 წლის მარტში მიჰყიდეს

## რუსებმა ალიასკა ამერიკელებს, რაშიც 10 მილიონი რუბლი აიღეს, ანუ სამეგრელოს გვირგვინი, მინიმუმ, ალიასკის მეათედი მაინც უღირდა რუსეთის იმპერიას.

იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ამერიკელებისგან აღებული იმ 10 მილიონი რუბლით რუსეთის რკინიგზის 90 პროცენტი გაიყვანა.

**— რაში გამოიყენა ნიკო დადიანმა 1 მილიონი რუსული ოქროს რუბლი?**

— 1867 წლის 1 მილიონი რუსული ოქროს რუბლი დღეს 1 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება. **ნიკო დადიანმა** და მისმა ძმამ **ანდრია დადიანმა** ეს უზარმაზარი ფული მონაკოში დახარჯეს. მონაკოელებმა ძმებს ეს ღვაწლი არ დაუვიწყეს და ამ ქვეყანაში დღემდე ტარდება **ანდრია დადიანის** სახელობის ტურნირი ჭადრაკში. ცხადია, ამაში საამაყო არაფერია, მაგრამ საამაყოა ის, რომ მაშინდელი ელიტის ასეთმა მუცელღმერთობამ და უნამუსობამ ვერ გატეხეს ჭაბუკი **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი,** რომლებმაც ქართველი ერის მკვდრეთით აღდგენის პროცესი დაიწყეს. მათი გზა გააგრძელეს **ვაჟა-ფშაველამ, გაბრიელ ეპისკოპოსმა, კირიონ საძაგლიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, პავლე ინგოროყვამ, დიმიტრი უზნაძემ** და ა.შ. ეს პროცესი 1917 წლის 25 მარტს დაგვირგვინდა საქართველოს საპატრიარქოს აღდგენით, ხოლო 1918 წლის 26 მაისს — ქართული სახელმწიფოს აღდგენით. 1801 წლიდან 1917 წლამდე პერიოდში ქართველ ერს სირცხვილი მოწმინდეს **მარიამ დედოფალმა,** რომელმაც გენერალი **ლაზარევი** მოკლა; **კონსტანტინე-მურზაყან დადეშქელიანმა,** რომელმაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი **გაგარინი** მოკლა და **დიმიტრი ყიფიანმა** და **ილია ჭავჭავაძემ,** რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სა-

## სვიმონ მასხარაშვილი:

## 1089 წლის აღდგომა დღეს, როგორც კი დავით აღმაშენებელი ბაგრატის ტაძარში მეფედ აკურთხეს, საქართველოში მიწისძვრა მყისიერად შეწყდა!







**„რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟის — ნიკო დადიანისგან სამეგრელოს მთავრის ტიტული 1 მილიონ რუსულ რუბლად იყიდა!“**

## კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ მეტრეველი**
*ანალიტიკოსი*



გახარია **ტყუილს ამბობს.** 20 ივნისიდან ძალიან მალე, რამდენიმე ადამიანი შევხვდით და საუბრისას თქვა, რომ **ყველაფერზე ის იღებდა პასუხისმგებლობას,** მათ შორის ე.წ **დათვის ტყვიების სროლაზეც.**

„იმედინიუსი“

**ზაზა კოლელიშვილი**
*მსახიობი*



ჩვენ რომ **ჩვენ წინ მყოფი ადამიანის შეცდომებზე ვსწავლობდეთ,** ახლა ქვეყანა მეტად დალაგებული და აშენებული გვექნებოდა.

„კვირის პალიტრა“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



საakaშვილმა **ჯო ბაიდენის თამასუქი მიიღო 2009 წელს,** მილიარდდოლარიანი პოლიტიკური ქრთამის სახით. **2008 წლის აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეუფასებლობა ეროვნულ დონეზე,** დანაშაული იქნებოდა მომავალი თაობების წინაშე. **სამართალი უნდა აღსრულდეს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ლაბაძე**
*ამერიკის მცოდნე*



**„ოცნება“ ამ არჩევნებს მოიგებს,** რადგან ოპოზიცია სრულიად გაკოტრებულია. **69 მუნიციპალიტეტში ერთი პარტიის მერი გვეყოლება** და ძველი ბოლშევიკური სისტემა შენარჩუნდება.

„ახალი თაობა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**„ქართულ ოცნებას“** იმ დოკუმენტის დადება უნდა, სადაც **2008 წლის ომში საქართველოს სახელმწიფო იქნება დადანაშაულებული.**

„ახალი თაობა“

# ქართველი?






„1801 წლიდან 1917 წლამდე პერიოდში ქართველ ერს სირცხვილი მოწმინდეს **მარიამ დედოფალმა,** რომელმაც გენერალი **ლაზარევი** მოკლა; **კონსტანტინე-მურზაყან დადეშქელიანმა,** რომელმაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი **გაგარინი** მოკლა და **დიმიტრი ყიფიანმა** და **ილია ჭავჭავაძემ,** რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საქართველოს!“

ქართველოს!

**— ცნობილია, რომ სწორედ აღდგომას დაემთხვა შაჰ-აბასის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი შემოსევა საქართველოში!**

— 1615 წელს აღდგომის ვნების კვირაში **შაჰ-აბასი** გარე კახეთს აწიოკებდა. შაბათს იმ უღმერთომ შეისვენა და ნადირობას მიჰყო ხელი. შუაღამისას, როცა სააღდგომო ლიტანიობა დაიწყო, ერთ-ერთ სერზე, გარეჯის სიახლოვეს, ბანაკად მდგომმა შაჰმა ათასობით ჩირაღდანი შენიშნა. შაჰი მიხვდა, რომ გარეჯელი ბერები აღდგომას აღნიშნავდნენ და თავის ჯარს უბრძანა მლოცველი ბერების ამოხოცვა. ზუსტად ამწამს მოხდა სასწაული — გარეჯის წინამძღვარს **არქიმანდრიტ არსენს** უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ ბერების დასახოცად მტარვალები მოდიოდნენ და ვინც სიკვდილს არ გაექცეოდა, ყველანი ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებდნენ, ხოლო, ვინც საფრთხეს დროებით გაექცეოდა, მას ეს მკრეხელობად და ცოდვად არ ჩაეთვლებოდა. **არქიმანდრიტმა არსენმა** ეს ყოველივე მაშინვე აუწყა კახეთიდან და მთელი საქართველოდან ჩამოსულ 6 ათასამდე ბერს, რომელთაგანაც მხოლოდ ორი გაეცალა კრებულს და მოშორებით განაგრძო ლოცვა. როცა **შაჰ-აბასის** რაზმელები მონასტერს მოადგნენ, **არქიმანდრიტმა არსენმა** მათ მეთაურს სთხოვა, რომ ლიტურგიის ბოლომდე ჩატარება ეცლიათ და მხოლოდ ზიარების შემდეგ დაეხოცათ ისინი. მტარვალების თვალწინ ლოცულობდნენ და გალობდნენ გმირი ქართველი ბერები.

## როცა ზიარება დასრულდა, მონასტრის წინამძღვარმა მტერს შესძახა – მიდით, აღასრულეთო! ყიზილბაშები ქართველ ბერებს ხოცავდნენ, მაგრამ უფლის სადიდებელი საეკლესიო მრავალ-ჟამიერი ბოლო წამამდე არ წყდებოდა.

ყიზილბაშებმა ხოცვა-ჟლეტა დაასრულეს და უკვე ბანაკისკენ მიეშურებოდნენ, როდესაც მოშორებით მყოფმა იმ ორმა ბერმა იხილა ზეციდან გარდამოსული ღვთაებრივი გვირგვინები, რომლითაც ქრისტეს სახელის სადიდებლად აღსრულებული ქართველი ბერები იმოსებოდნენ. ხოლო ორი ცეცხლოვანი გვირგვინი ჰაერში იყო გამოკიდებული, რომელიც მათთვის იყო განკუთვნილი. ამ ორმა ბერმა სძლია სიკვდილის შიშს და ყვირილით გაეკიდნენ ყიზილბაშებს — **შესდექით და თქვენი განაზრახი ჩვენზეც აღასრულეთო!** ყიზილბაშებმა ეს ორი ბერიც დახოცეს და ისინიც ეზიარნენ ცათა სასუფეველს. ბერების თავდადებას ფუჭად არ ჩაუვლია. მათი გმირობით, **მეფე ლუარსაბისა და ქეთევან დედოფლის** თავდადებით, ქართველებმა 1625 წლის მარტყოფის, მარაბდის, ქსნისა და სხვა ბრძოლებით **შაჰ-აბასს** ექვს თვეში მთელი პროფესიული არმიის ნახევარი გავუნადგურეთ და თავისუფლება მოვიპოვეთ! აღდგომის დღეებში სხვა ბევრი რამეც მომხდარა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია **დავით აღმაშენებლის** მეფობასთან დაკავშირებული აღდგომის სასწაულები!

**— თუ არ ვცდები, დავითის გამეფებამდე, საქართველოში დიდი მიწისძვრა სწორედ აღდგომას მოხდა!**

— დიახ, 1088 წლის აღდგომას საქართველოში მოხდა დიდი მიწისძვრა, მაგრამ საოცრად შემზარავი იყო ის, რომ აღდგომის დღიდან მოყოლებული, მიწისძვრა ყოველდღე მეორდებოდა. გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და მიწისძვრა არ წყდებოდა. „დიდი თურქობისგან“ ისედაც იავარქმნილი ქვეყანა საერთოდ მიწასთან გასწორდა. ასეთი სეისმური მოვლენა მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. ეს შემზარავი ამბავი სელჩუკთა სახელმწიფოშიც შეიტყვეს და ბიზანტიის იმპერიაშიც. ბიზანტიიდან საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდნენ ბიზანტიის იმპერატრიცა, დავით აღმაშენებლის მამიდა — **მარიამი, იოანე პეტრიწი** და **არსენ იყალთოელი.** ქუთაისში შეიკრიბა დიდი თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ: **გიორგი მეორე, გიორგი ჭყონდიდელი,** მომავალი კათალიკოსი **იოანე.** მათ ეს მიწისძვრა ღვთაებრივ ნიშნად აღიქვეს და დაადგინეს, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა **გიორგი მეორეს** უნდა მიეღო „მეფეთ-მეფის“ წოდება, მაგრამ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოსცილებოდა და ტახტზე ასულიყო სრულიად ჭაბუკი, 16 წლის **უფლისწული დავითი.** მართლაც, 1089 წლის აღდგომა დღეს ბაგრატის ტაძარში დაწყეს დავით აღმაშენებლის მეფედ კურთხევის რიტუალი. მიწისძვრები ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ, როგორც კი **დავით აღმაშენებელს** ბაგრატის ტაძარში თავზე გვირგვინი დაადგეს და მეფედ აკურთხეს, საქართველოში მიწისძვრა მყისიერად შეწყდა და დავითის გარდაცვალებამდე, მთელი 36 წლის განმავლობაში, ქვეყანაში მიწისძვრა აღარ მომხდარა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## საეკლესიო კალენდარი




**✞ 21 აპრილი. ორშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი.** მოციქულთა: იროდიონისა, აგაბოსი, ასინკრიტესი, რუფოსი, ფლეგონტისა, ერმისა და სხვათა მათთანათა; მოწამისა პავსილიპესი; კელესტინესი, რომის პაპისა.

**✞ 22 აპრილი. სამშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი. დღესასწაული ივერიის ღმრთისმშობლის ხატისა;** ექვსი ათასთა ღირსმოწმე მამათა, დავითგარეჯის უდაბნოში მოწყვეტილთა; მოწამისა ევფსიქისა; მოწამეთა: დისან ეპისკოპოსისა, მარიავე ხუცისა, აბდიესისა და სხვათა ორასსამოცდაათთა; ღირსმოწამისა ვადიმ არქიმანდრიტისა.

**✞ 23 აპრილი. ოთხშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი. კრება ღირსთა მამათა, სინის წმიდა მთაზე მოსაგრეთა;** ქვაბთახევის მონასტრებში წამებულთა მამათა და დედათა ჟამსა თემურ-ლენგისისა; მოწამეთა: ტერენტისა, პომპიოსი, აფრიკანესი, მაქსიმესი, ზენონისა, ალექსანდრესი, თეოდორესი და სხვათა ოცდაცამეტთა; მოწამეთა: იაკობ ხუცისა, აზადან და ავდიკი დიაკონთა, სპარსელთა; მღვდელმოწამისა გრიგოლ V-ისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

**✞ 24 აპრილი. ხუთშაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათი.** მღვდელმოწამისა ანტიპასი, ასიის პერგამის ეპისკოპოსისა; ღირსისა ფარმუთისი; ღირსისა იოანესი, ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა.

**✞ 25 აპრილი. პარასკევი. ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევი. დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „წყარო ცხოვრებისა“;** ღირსისა ბასილი აღმსარებელისა, პარიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ზენონისა, ვერონიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ისააკ ასურისა, იტალიის სპოლეტს; ღირსმოწამეთა: მინასი, დავითისა და იოანესი; ღირსისა ანთუსა ქალწულისა; ღირსისა ათანასია იღუმენიასი.

**✞ 26 აპრილი. შაბათი. ბრწყინვალე შვიდეულის შაბათი. თბილისის სიონში თავად გივი ამილახვრის სულის საოხად ჟამი შეიწირვის;** წირვის შემდეგ არტოსის განტეხა და დარიგება; მღვდელმოწამისა არტემონისა, ლაოდიკიელი ხუცისა; მოწამისა კრისკენტისა, მირონლუკიელისა.

**✞ 27 აპრილი. კვირა. აღდგომიდან მე-2, მოციქულ თომას კვირიაკე. აღდგომის განახლება. კვირაცხოვლობა;** წმიდისა მოწამისა დიმიტრისა; მოწამეთა: ანტონი, იოანე და ევსტათი ლიტველთა; მოწამისა არდალიონისა; მოწამეთა 1000-თა სპარსელთა და აზატი საჭურისისა.

## კვირგვინოსნები

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**გომელაურის** დროს ბევრი ისეთი რამ მოხდა, რამაც ეჭვქვეშ დააყენა „ქართული ოცნების“ ძალაუფლება. როგორც კი **ღარიბაშვილი** ჩაანაცვლა და სათავეში მოვიდა **კობახიძე,** „ქართული ოცნება“ წელში გაიმართა. ჯერ რუსული კანონი მიიღო, საპროტესტო მუხტიც გაანელა, **კობახიძე ივანიშვილს უმტკიცებს, რომ გომელაური კარგია,** მაგრამ ჩვენ უკეთესები ვართო.

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**კლასიკური პარტიიდან** უნდა გარდავიქმნათ **წინააღმდეგობის მოძრაობად!**

„პირველი არხი“

**გიგი უგულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**რა უსირცხვილო და უთავმოყვარეოა გახარია,** თვითონ უსირცხვილოდ ზის პარლამენტში, შატალოზეა, არ დადის, მაგრამ **ხელფასს და პარტიულ დაფინანსებას საკენკივით იღებს.**

„რუსთავი-2“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**2030 წელს შევალთ ევროკავშირშიო!** კი მაგრამ, **თუ ასეთი მამაძაღლები არიან ეს ევროპელები** და სულ საქართველოს ხელისუფლების გადატრიალებას ფიქრობენ, როგორც ესენი აბრალებენ, **აბა, სად მიჰყავთ ეს ქვეყანა 2030 წლისთვის?**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ქალბატონ სალომეს** ხუთი თვე ჰქონდა, რომ კოორდინაცია განეხორციელებინა, **თითქოს პარტიების გამთლიანებას ცდილობდა,** მაგრამ გვითხრა, რომ **ერთიანობის იდეა, თურმე, შემოგდებული ყოფილა.**

„პირველი არხი“



# ლეგენდარული ალპინისტების



მარინე უთმელიძე, ნატო ცნობილაძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, დენიზა გოზალიშვილი, თამარ თულაშვილი-ფურცელაძე



## ივანე ჯაფარიძე:

## მარინე უთმელიძე იყო პირველი ქალი მსოფლიოში, ვინც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2025 წლის №3-4, 6-8, 10-12, 16*

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— ძალზე ცოტამ თუ იცის, რომ **იოსებ ნონეშვილის** ლექსი — **„ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს“**, რომლის მიხედვით სიმღერაცაა შექმნილი და დღესაც პოპულარულია, მთამსვლელ ქალს — **მარინე უთმელიძეს** ეძღვნება. ის მეტისმეტად თავმდაბალი, მორიდებული და მოკრძალებული ქალბატონი გახლდათ და მთელი ცხოვრების მანძილზე მალავდა, რომ **იოსებ ნონეშვილის** შთაგონების წყარო იყო. აქვე ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ამ ლექსს ხშირად ასაღებენ **ალექსანდრა ჯაფარიძისადმი** მიძღვნილად, რაც არასწორია. ამის შესახებ არაერთხელ ხმამაღლა განვაცხადე, მაგრამ მაინც ჯიუტად ავრცელებენ ტყუილს და სიმართლე არ აინტერესებთ.

**— რა იყო მარინე უთმელიძის ყველაზე დიდი მიღწევა მთამსვლელობაში?**

— მისთვის ყველაზე მეტად ნაყოფიერი იყო 1949-1951 წლების ალპინისტური სეზონი, როცა კავკასიონის მწვერვალებზე ურთულესი ასვლები განახორციელა, ხოლო 1952 წელი — ალპინისტური მოღვაწეობის გვირგვინი, როცა **თორნიკე ტატიშვილთან** (ხელმძღვანელი), **ჯუმბერ მეძმარიაშვილთან** და **სარგის ცაიშვილთან** ერთად, ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში, უშბის ორივე მწვერვალი დალაშქრა.

**მარინე უთმელიძე** იყო პირველი ქალი მსოფლიოში, ვინც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა. ამ ამბავთან დაკავშირებით თავის დღიურში ჩაწერილი ჰქონდა: *„სამი დღეა ქარიშხალი მძვინვარებს. უნაგირას გავლას დაახლოებით ოთხი საათი მოვუნდით. შემოგვაღამდა სამხრეთ მწვერვალის კლდეებზე. მეტი გზა არ იყო, კლდეზე მიჯაჭვულები მთელი ღამე გათენებას ველოდით. დილით მშვენიერი ამინდი დადგა და რთული კლდეების გადალახვის შემდეგ, უკვე სამხრეთ მწვერვალზე ვულოცავდით ერთმანეთს გამარჯვებას“*. ეს იყო მარინე უთმელიძის უდიდესი წარმატება, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება მთამსვლელობაში. ამის შემდეგ ის მრავალი პოეტის მუზად იქცა და მშვენიერი ლექსებიც უძღვნეს ცნობილმა პოეტებმა: **ვახტანგ გორგანელმა, ზაქარია შერაზადიშვილმა** და **იოსებ ნონეშვილმა.**

**— როდის დაინტერესდა მთამსვლელობით?**

— **მარინე უთმელიძე** მერვე კლასში სწავლობდა, როდესაც ალიოშა ჯაფარიძის წიგნი — „პამირის მთებში“ და **დავით წერეთლის** — „მოგზაურობა პამირზე“ წაიკითხა. ალიოშას და დავითს ერთად ჰქონდათ დალაშქრული პამირი. ქალბატონი მარინე წერდა: *მივხვდი, რომ ეს იყო უძნელესი და ურთულესი საქმე, რად-*



ქართველი მთამსვლელები ალპურ კლუბში:

*ალექსი ივანიშვილი, ბექნუ ხერგიანი, ავთანდილ ძიძიგური, ლევან ახვლედიანი, კოტე ჯავრიშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი, მარინე უთმელიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, გივი ყალაბეგიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე*

### ეგ სახე მყინვართა სარკეშიც მინახავს!

**მაღალ მთებს, ქარაფებს აფრქვევდა მინანქარს,**
**ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს...**
**ქალი ხარ, ალი ხარ, მითხარი, ვინა ხარ?**
**არ გეყო, ძალით რომ დაიპყარ ეს გული?**
**ახლა მთებს მიადექ რისხვით წარბშეკრული,**
**უფრთხილდი, ლამაზო, მთა განა გულია?**
**მანდ ყველგან ქარიშხლის ფრთა განაბულია.**
**და როგორც ლომები პირს რისხვით აღებენ,**
**ნისლებში ნაპრალთა ვეება თაღები.**
**უფრთხილდი, ყაზბეგიც ბერი ნუ გგონია,**
**ჭაბუკის გული აქვს ჭაღარა გოლიათს.**
**მაგ თვალთა ცდუნებას, ვაჰ, თუ ვერ გაუძლოს,**
**დაგტოვოს თავისთან, მყინვართა საუფლოს.**
**...მაგრამ შენ სრულიად არ უფრთხი არაფერს**
**და როგორც კიბეებს, აბიჯებ ქარაფებს.**
**პირველი მიუძღვი გამოცდილ მთამსვლელებს...**
**ხან თოვლი გეყრება, ხან წვიმა გასველებს.**
**მე შენმა სურვილმა მთამსვლელად მაქცია,**
**წერაქვი მიჭირავს, წრიაპი მაცვია...**
**და ფრთხილად მოგყვები, შენსავით ვიქცევი..**
**რამდენჯერ აშკარა მარცხისგან მიხსენი.**
**ფეხი თუ დამიცდა, ხელს მიწვდი მაშინვე,**
**რამდენჯერ დაღუპვას შენ გადამარჩინე.**
**მაგრამ ძირს, ქალაქში, როდესაც ჩავდივართ,**
**მთამსვლელთა ადათ-წესს ივიწყებ ადვილად.**
**შემხვდები ქუჩაში, გულცივად მიყურებ,**
**მანიშნებ: ბარშიაც მხსნელად ნუ მიგულებ.**
**ვგრძნობ, მე არ ვეკუთვნი მაგ თვალთა არჩევანს**
**და ვხედავ ჩვენს შორის ნაპრალის გაჩენას...**
**მე შენი სიმკაცრის ნაპრალში ვვარდები,**
**ძვირფასო, საშველად ნუ დაგვიანდები,**
**მე ყველა ნაპრალზე ეს მეტად მაშინებს...**
**კვლავ ხელი მომეცი, კვლავ გადამარჩინე...**

*იოსებ ნონეშვილი*

## კვირგვინოსნები

**მურმან დუმბაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ქვეყანაში **მთავარ ოპოზიციურ ძალად** ნაციონალური მოძრაობა რჩება. არ გამოვრიცხავ, რომ **ივანიშვილმა სათადარიგო ვარიანტი აამოქმედოს.** ვითომ, ახალ ოპოზიციას რომ შემოიყვანს **ღარიბაშვილისა და ლილუაშვილის** სახით, რეალურად კი, ეს ის ხალხია, ვისაც **ივანიშვილი** ყველაზე მეტად ენდობა.

„ახალი თაობა“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**„ქოცი“ უდრის ნაცს** კი არა, **„ქოცი“ უდრის „ქოცს“,** აი, ეს დაამტკიცა **ბახარიამ წულუკიანის** ღალატის კომისიაზე.

„რეზონანსი“

**ია ფარულავა**
*მსახიობი*



**ქოცების და მათი მთავრობის წევრების ბოდვებზე** არ უნდა გვქონდეს რეაქცია, იმიტომ, რომ **ისინი ამით გვართმევენ ჩვენს საბოლოო დაგროვილ მოთმინებას და ენერგიას!** მალე ისტორია ყველას დააყენებს თავის ადგილას!

„ახალი თაობა“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ფარსში როცა მონაწილეობ, **ფარსის ნაწილი ხარ,** პარლამენტსა და კომისიაში მონაწილეობა არის **„ოცნების“ გაპრავება, წერტილი.**

„რეზონანსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



თუ ეს აქციები **პოლიტიკურ ალტერნატივაში** აქამდე არ გადაიზარდა, ახლა როგორ უნდა გადაიზარდოს? რაც მთავარია, **ეს არ კმარა, რომ ბიძინაზე ზეწოლა გაიზარდოს დასავლეთიდან.** „კვირის პალიტრა“

# მემკვიდრე მოგვითხრობს

*გან იმ დროს პამირის მთები სათანადოდ არ იყო შესწავლილი.* ეს ის დრო იყო, როდესაც არ არსებობდა მთამსვლელობისთვის სათანადო ტანსაცმელი და აღჭურვილობა. ყინულებში ისე დადიოდნენ, როგორც მთაში მოხევეები, რომლებსაც ქალამნების ტიპის ფეხსაცმელი — ბანდულები ეცვათ — ზემოდან ტყავით, ქვემოდან — თასმებით შეკრული. შიგნით სპეციალურ ბალახს აფენდნენ. ამაზე მოხევეები ხუმრობდნენ კიდეც: ბანდულები ჩვენი საუკეთესო სამოსია, წყალი როგორც შედის, ისევე გამოდისო. ეს ყველაფერი ძალიან კარგად აქვს აღწერილი თვითონ **მარინე უთმელიძეს.**

ამასთან, მისი ფიზიკის მასწავლებელი **ვანო კუკავაძე** იმ ექსპედიციის მონაწილე გახლდათ, რომლის წევრებიც 1923 წელს მყინვარწვერზე პირველად ავიდნენ. **მარინე უთმელიძის** თაობას აზროვნებაში ჩაბეჭდილი ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მყინვარწვერის სილამაზე და დედოფლობა, მათ ანდამატივით იზიდავდნენ კავკასიონის მწვერვალები. თუმცა, ისიც იცოდნენ, რომ ამ გზაზე იშვიათი არ იყო ტრაგიკული შემთხვევები.

**— მარინე უთმელიძე დაძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებს იცნობდა?**

— ისინი მან 1943 წელს გაიცნო. **მარინე უთმელიძე** წერდა: *აკაკი ბელიაშვილის მოთხრობებიდან გავიგე, რა სატანჯველი მიუყენებია თეთნულდს ჯაფარიძეების ოჯახისთვისო.*

მთამსვლელობას პირველად სტუდენტობის პერიოდში ეზიარა, როდესაც თავისი ლექტორის **მელენტი სანებლიძის** ხელმძღვანელობით, ჯგუფთან ერთად, 1943 წელს ალპინიზმის 20 წლისთავთან დაკავშირებით, მყინვარწვერზე ავიდა. ამის შემდეგ ის მონაწილეობდა საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ **ალიოშა ჯაფარიძე** და **კოტე ჯავრიშვილი.** ზედიზედ წარმატებით დალაშქრეს მწვერვალები: მაილი, ორწვერი, ბანგურიანი, დონღუზორუნი, თეთნულდი და გალითაუ. 1947 წელს უკვე **მარინე უთმელიძემ** თავად უხელმძღვანელა ექსპედიციას მწვერვალ მახისთავზე, აქ სრულად გამოჩნდა მისი, როგორც კარგი წინამძღოლისა და ორგანიზატორის ნიჭი. მოკრძალებული ბუნების მიუხედავად, როგორც გაბედულმა მთამსვლელმა, ქართული ალპინიზმის გამოჩენილ მოღვაწეთა ყურადღება მიიპყრო.

**— მარინე უთმელიძე ცნობილი იყო, როგორც პედაგოგიც...**

— 1949 წელს დიდებულმა ქალბატონმა, მოღვაწემ და ღირსეულმა მამულიშვილმა **მზია ერისთავმა** (საქართველოში ბავშვთა ტურიზმის ფუძემდებელი) **მარინე უთმელიძე** პედაგოგად მიიწვია პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში. მაშინ იქ უკვე მუშაობდა **ალექსანდრა ჯაფარიძე,** რომელიც ბავშვებს მთამსვლელობის ანბანას ასწავლიდა. **მზია ერისთავი** გრძნობდა, რომ, თუკი ქალთაგან ვინმე გააგრძელებდა **ალექსანდრა ჯაფარიძის** გზას, ერთ-ერთი პირველთაგანი, უთუოდ, მარინე უთმელიძე იქნებოდა. არც შემცდარა, **მარინე უთმელიძემ** ღირსეულად გაართვა თავი ახალგაზრდების გაწვრთნას და სასახლეში მუშაობის პარალელურად, აქტიურად იყო ჩაბმული მთამსვლელობაშიც. ბავშვებთან ერთად მან მრავალჯერ შემოიარა საქართველოს მთაბარი. ნათქვამია: **მყინვარებს ჩუმი სიმამაცე სჭირდებათო,** და ქალბატონი მარინეც სწორედ ამ რწმენით ზრდიდა ნორჩ მთამსვლელებს. ამ ბავშვებიდან დღეს მრავალი გამოჩენილი მოღვაწე და საამაყო მამულიშვილია, რომლებიც თვითონ ზრდიან ახალ თაობას. სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული ლოზუნგებითა და მოწოდებებით არ ისწავლება, თუკი საკუთარი ქვეყნის მრავალფეროვნებასა და მის ბრძენ ხალხს არ იცნობ, თუკი ღია ცის ქვეშ კარავში ღამე არ გაგითევია და მშობლიური მიწის სურნელი არ გიგრძნია, სამშობლოს სიყვარულს ვერ გაიგებ და ვერც შეისისხლხორცებ. ყოფილი პიონერთა სასახლის, ამჟამად კი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში გაზრდილი თაობებისთვის, მთაში გატარებული დღეები დაუვიწყარია და ათწლეულების შემდეგაც კი სტიმულის მიმცემია. 1966 წლიდან **მარინე უთმელიძე** მუშაობას იწყებს ახლად დაარსებულ ქართულ ენციკლოპედიაში, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის უფროს სამეცნიერო რედაქტორად, სადაც ამ რედაქციის ხელმძღვანელმა, ცნობილმა მთამსვლელმა და გეოლოგმა **კოტე ჯავრიშვილმა** მიიწვია.

ქართული ენციკლოპედიის თითქმის ყველა ტომში შეხვდებით **მარინე უთმელიძის** მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ სტატიებსა თუ ნარკვევებს. ალპინიზმში მიღწეული წარმატებებისთვის მას მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება, იყო საქართველოს ტურიზმის სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ტურიზმსა და ალპინიზმში. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ. მიანიჭეს „სახალხო განათლების წარჩინებულისა“ და „ტურიზმის წარჩინებული მოღვაწის“ წოდებები. არაერთხელ დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1981 წელს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა. მარინე უთმელიძეზე, როგორც პედაგოგზე, მოგზაურზე, მთამსვლელზე, მრავალი ლაშქრობის ხელმძღვანელზე, საქართველოში არაერთი ტურისტული მარშრუტის ავტორზე, ენციკლოპედისტსა და მოღვაწეზე, დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავდა — მისი უპირველესი დანიშნულება ბავშვებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა იყო, ხოლო ყველაზე დიდი სიმდიდრე მათთან ერთად გატარებული წლები.



ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, მარინე უთმელიძე ბაკურიანში

## მთამსვლელ ქალიშვილს

**მიწიდან ოქროს სხივები**
**მზემ აკრიფა და შეკონა,**
**ქარმა რომ ჩამომიქროლა,**
**მე შენი სუნთქვა მეგონა.**
**ცაზე რომ მთვარე გადმოდგა,**
**მკერდი ამევსო ნუგეშით,**
**მხოლოდ ის გამკვირვებია,**
**რამ აგიყვანა ღრუბლებში?!**
**ვარსკვლავებს ვთხოვო სიმაღლე?**
**ძმობას გამიწევს რომელი,**
**ჩემი გულივით ახლო ხარ,**
**მთვარისებრ — მიუწვდომელი.**

*ვახტანგ გორგანელი*

## მიჰყვები უშბას

*მარინე უთმელიძეს*

**მწვერვალისაკენ მიმავალს, მტკიცეს,**
**თუ ქარიშხალი ნამქერში გახვევს,**
**თავსაბურავი გადიძვრე მყისვე...**
**მწამს, შენს წინაშე ყინულიც გალხვეს.**
**მჯერა — გრიგალი ჩადგება უცბად,**
**რომ გზა განაგრძო საშიში დიდად,**
**აღმართში ისე მიჰყვები უშბას —**
**მიაბიჯებდე თითქოსდა მინდვრად.**
**ვერ შეგაფერხებს ნისლი და მწუხრი,**
**მოიტან ქალთა დიდების მარცვალს,**
**შენი მხნეობა და შენი მუხლი**
**მუდამ შვენოდეს ამ მიწას, ამ ცას!**

*ზაქარია შერაზადიშვილი*

### ბოლოთქმა

**მარინე უთმელიძე** გარდაიცვალა 2007 წლის 2 ივნისს, იგი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი განერიდა წუთისოფელს, მაგრამ დატოვა უამრავი სიკეთე და უდიდესი სიყვარული მის მიერ აღზრდილ მოსწავლეებში, ალპინისტებსა და თითოეულ ადამიანში, ვინც მას იცნობდა. აქვე გთავაზობთ პოეტების — **ვახტანგ გორგანელისა** და **ზაქარია შერაზადიშვილის** **მარინე უთმელიძისადმი** მიძღვნილ მშვენიერ ლექსებს, რომელთაც, იოსებ ნონეშვილის ლექსისაგან განსხვავებით, ნაკლებად იცნობს საზოგადოება.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიტაშვილი***

## კვირგვინოსნები

**პეტრე ციცქარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი*



**გიორგი გახარია** არის პარლამენტარი, **მანდატები არ დაუტოვებიათ, სახელმწიფო დაფინანსებასაც იღებენ,** შესაბამისად, კომისიაზეც მიდიან, ჩვეულებრივად თანამშრომლობენ. „პირველი არხი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ივანიშვილისთვის** ადამიანები იყოფიან **მტრებად და ყმებად.** ამიტომ მტრობა სჯობს, მე ფრიად კმაყოფილი ვარ, **რომ მისი მტრების კოჰორტაში ძალიან დროულად ჩავეწერე.** „ახალი თაობა“

**თამარ მაყაშვილი**
*მსახიობი*



ბევრ რეჟისორს სჭირს ასეთი რაღაც — **სპექტაკლს დგამს და თავადაც არ იცის, რა უნდა თქვას, მაყურებელი ვერ იგებს, რისი თქმა სურს.** იმიტომ მიყვარს **რობერტ სტურუა,** რომ ყველანაირი სირთულე ისეთი სიმარტივით მოაქვს მაყურებლამდე, მერე თვეები ფიქრობ. „სარკე“

**დავით დარჩია**
*მსახიობი*



არ შეიძლება, **თამაშობდე ჰამლეტს და იმავდროულად სახლში პურის მიტანაზე ფიქრობდე,** მაგრამ ამ პროფესიას ისეთი ძალა აქვს, რაღაცნაირად **გიტაცებს და გიტყუებს.** „კვირის პალიტრა“

**გვანცა გიორგობიანი**
*მსახიობი*



**აფხაზეთი ჩემი მოუშუშებელი ტკივილია.** ეს ჭრილობა არ შემიხორცდა. ვერ წარმოიდგენთ, ზღვა როგორ მენატრება. **გული რომ ამოგაგლიჯოს ადამიანმა,** ხომ ძნელია, ისუნთქო? **დაახლოებით ასე ვარ.** წამართვეს ზღვა, რომელიც ჩემი გული იყო. „სარკე“

# კუროს ზოდიაქოს ნიშანი –

*კურო მიწის სტიქიის ნიშანია, მართავს სიყვარულის, სილამაზისა და კომფორტის პლანეტა ვენერა. ეს ადამიანები არიან ჯიუტნი, მაგრამ პრაქტიკულნი, უკან არ იხევენ და ნელ-ნელა მიიწევენ წარმატებისკენ, აფასებენ სტაბილურობას, არიან ერთგულები, მზრუნველები, შრომისმოყვარეები, კარგად გეგმავენ გრძელვადიან ურთიერთობებს, უყვართ უსაფრთხო სამუშაო გარემო, წარმატებას აღწევენ ხელოვნებაში, ფინანსებში, კულინარიაში. უყვართ გემრიელი საკვები. მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, კუროებს ახასიათებთ რაღაც საკითხზე თავიანთი შეხედულების სხვაზე თავსმოხვევა და, რომც ცდებოდნენ, მათი გადარწმუნება ძალიან ძნელია. არ უყვართ კომფორტის ზონიდან გასვლა და ცვლილებები.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი **ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი).** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1889 წლის 24 აპრილს, ხარის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო პოეტი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი).** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

**1903 წლის 24 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, კინოსცენარისტი **აკაკი ბელიაშვილი.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.





**1933 წლის 24 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, დრამატურგი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი **რეზო ჭეიშვილი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1894 წლის 25 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი **ვასო ყუშიტაშვილი,** რომელიც 1919-1933 წლებში მოღვაწეობდა საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან, ფრანგ რეჟისორ შარლ დიულენთან ერთად, პარიზში დააფუძნა თეატრი „ატელიე". გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1935 წლის 25 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი **ომარ მხეიძე.** გარდაიცვალა 88 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.

**1929 წლის 26 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

# მიმდინარე კვირა: 21 - 27 აპრილი

### კუროს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1942 წლის 22 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, მხატვარი, საქართველოს სახალხო არტისტი **ჟანრი ლოლაშვილი.**



**1968 წლის 22 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი და მსახიობი, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **დიმიტრი ხვთისიაშვილი.**



**1954 წლის 25 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **ზურაბ ანთელავა.** სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" შეასრულა კვაზი მანტკავას როლი.



**1961 წლის 25 აპრილს, ხარის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამხარეო რწმუნებული კოდორის ხეობაში 2001-2003 წლებში **ემზარ კვიციანი.**



**1935 წლის 26 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ჩინელი მხატვარი და პედაგოგი, მხატვარ **გივი ყანდარელის** მეუღლე **მალი ლიუ ყანდარელი.** მას უკავშირდება საქართველოში ჩინური ენის სწავლების დაწყება და სინოლოგიის განვითარება.



**1952 წლის 26 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი და მსახიობი, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგოგიძე.**



**1981 წლის 26 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მოდელი, სამოდელო სააგენტო „Geo-models"-ის ხელმძღვანელი **თაკო ჩხეიძე.**



**1958 წლის 27 აპრილს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე 2013-2018 წლებში, **გივი ბერიკაშვილის** ქალიშვილი **მანანა ბერიკაშვილი.**



**1929 წლის 27 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, გრაფიკოსი, საქართველოს ეროვნული ვალუტის — ქართული ლარის დიზაინის ერთ-ერთი ავტორი **ნოდარ მალაზონია.**

### კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1824 წლის 21 აპრილს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, დრამატურგი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი **რაფიელ ერისთავი.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1894 წლის 21 აპრილს, ხარის წელიწადში,** დაიბადა პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვარი, მწერალი, პოეტი და მკვლევარი **ილია ზდანევიჩი.** ძმასთან, **კირილ ზდანევიჩთან** ერთად, მას დიდი წვლილი მიუძღვის ფართო საზოგადოებისთვის **ნიკო ფიროსმანის** შემოქმედების გაცნობაში. გარდაიცვალა 81 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1923 წლის 21 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ექიმი და მწერალი **შალვა მჭედლიშვილი,** რომლის პირველი მეუღლეც გახლდათ პოეტი **ანა კალანდაძე.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1933 წლის 21 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ჯემალ ღაღანიძე.** გარდაიცვალა 89 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1922 წლის 22 აპრილს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **აბესალომ ლორია.** გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1933 წლის 22 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **გურამ ფანჯიკიძე.** გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1876 წლის 23 აპრილს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი.** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1871 წლის 24 აპრილს, თხის წელიწადში,** დაიბადა მწერალი და პედაგოგი, ქართველთა შორის

## 21 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.12 საათზე, ჩადის 18.48 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში 03.18 საათზე. ამოდის 01.52 საათზე, ჩადის 11.05 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 04.43 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 03.23 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: 9 მაისამდე ცის კაბადონზე იკვრება ძალიან მძიმე ურთიერთობა** (ტაუ კვადრატი) **პლანეტების — მარსის, იუპიტერისა და შავი მთვარის** ენერგიებს შორის, რაც მეტად გაამძაფრებს კონფლიქტებს, ბოროტებით წარმატების მიღწევას, უცხოელი ემისრების აგრესიულ შემოტევებს, სპორტულ კონფლიქტებს, იურიდიულ და პოლიტიკურ დაპირისპირებას, ომებს, პროვოკაციებს, იდეოლოგიურ და რელიგიურ კონფლიქტებს. ამიტომ დღესაც ნუ აჰყვებით პროვოკაციებს, გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია.საღამო უმჯობესია, გაატაროთ ოჯახში. ნუ გადაღლით გულს, ნუ ინერვიულებთ, მოიმატებს შური და ეჭვიანობა, ურთიერთობებში შესაძლებელია ზოგიერთი ადამიანის ნამდვილი სახე დაინახოთ. პარტნიორულ ურთიერთობებში მოსალოდნელია განწყობის და გეგმების მოულოდნელი ცვლილება. კარგია სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება. ნუ ფორიაქობთ, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, დაუგდეთ ყური მანდილოსნების რჩევებს. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ ალკოჰოლურ სასმელებს, შებოლილ და ცხარე კერძებს. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, თვალების გადაღლას. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით. კარგია სამშენებლო-სამღებრო საქმიანობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აქვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი, წითელი, ყვითელი, ვარდისფერი, ვერცხლისფერი ნეონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, სასწორისთვის. **ნეიტრალურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 22 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.10 საათზე, ჩადის 18.49 საათზე. **მთვარე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 02.25 საათზე, ჩადის 12.18 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 04.57 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კონფლიქტური დღეა. უხეშობას და ძალას ნუ გამოავლენთ ახლობლებთან, რასაც სერიოზული უსიამოვნება მოჰყვება. შესაძლებელია ქრონიკული დაავადების გამწვავება, ინტუიციის გამახვილება. პარტნიორულ ურთიერთობებში კი შესაძლებელი იქნება პრობლემების გადაჭრა. ნუ ინერვიულებთ და ნუ იფორიაქებთ, ზედმეტსაც ნუ ილაპარაკებთ. დაეყრდენით მხოლოდ რეალურ ფაქტებს და არა ფანტაზიებს. საკვებ რაციონში შეიტანეთ მოთუშული ბოსტნეული და ფაფები. დაუგდეთ ყური უფროსი თაობის ქალბატონთა რჩევებს. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, უმჯობესია, იაროთ. კარგია სუნთქვითი ვარჯიშები და ცურვა. სასიკეთო დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სამღებრო-სარემონტო სამუშაოებისთვის, კომპიუტერის, ელექტრო და გაზაპარატურის შესაძენად, პროგრამული სისტემების ასათვისებლად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, მინერალებით ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აქვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 23 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.09 საათზე, ჩადის 18.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში 09.11 საათზე, ამოდის 02.52 საათზე, ჩადის 13.32 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 05.06 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.57 საათიდან 09.08 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ მათ მიმართ, ვინც გაქებთ, მან შეიძლება მოგატყუოთ. საკვებ რაციონში შეიტანეთ იოგურტი, ხაჭო, თაფლი. ძლიერდება ინტუიცია, მარტივდება მიზნის მიღწევა. შესაძლებელია პერსპექტივების გაფართოება ბიზნესში. კარგია პარტნიორული ქველმოქმედება. შესაძლებელია ალერგიული შეშუპება. მოერიდეთ პედიკიურს, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ახალი საქმის დაწყებას, დაპირებების გაცემას, ახალი ფეხსაცმლის ყიდვას ან ჩაცმას, სესხის აღებას ან გაცემას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს. დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. კარგი დღეა ფოტოგრაფიისა და კულინარიისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისა და უცხოელებთან კონტაქტისთვის, ქველმოქმედებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, მცენარეების დარგვა-მორწყვისთვის, ქორწინებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემები, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, შავი გაგატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, სასწორისთვის.

## 24 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.07 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში (მთვარის 26-ე დღე იწყება 05.13 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** ეცადეთ, დღეს ზედმიწევნით დაიცვათ მოქმედების გეგმა. მოერიდეთ კამათს, საბუთებს ხელი არ მოაწეროთ, სანამ მათ კარგად არ გადახედავთ. პარტნიორულ ურთიერთობებში შესაძლებელია იმედგაცრუება. მოსალოდნელია ალერგიული შეშუპება. აკონტროლეთ საკვების და სასმლის ხარისხი. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ კონსერვებს, ნამცხვრებს, ლუდს, ტკბილ გაზიან სასმელებს. მოერიდეთ ტერფების მასაჟს, პედიკიურს, ანალიზების ჩატარებას, ექოსკოპიას, ახალი ფეხსაცმლის ყიდვას ან ჩაცმას, დაპირებების გაცემას, სესხის აღებას ან გაცემას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნაერთებს, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. სასიკეთო დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისა და მორწყვისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, ქორწინებისთვის, კონტრაქტების დასადებად, ნადირობისა და თევზაობისთვის, ქველმოქმედებისთვის, ფოტოგრაფობასა და კულინარიისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, სპონსორების საძიებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ლიმფური და ნერვული სისტემა, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი, შავი გაგატი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსთვის, მერწყულისთვის.

# 21 მარტი – 20 აპრილი



ბულგარული წარმოშობის ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ნელი ნენოვა.** მეუღლესთან — **გენო წულაიასთან** ერთად, მან გადაიღო ფილმები „წარსული ზაფხული“, „ცეროდენა რაინდები“, „პეპელა“, „ქორწინება იმერულად“, „ჩიორა“. გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.

## კუროს ნიშნით დაიბადნენ:

**1937 წლის 22 აპრილს, ხარის წელიწადში,** დაიბადა



ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი და მწერალი **ჯეკ ნიკოლსონი.** ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოზე — „ოსკარზე“ 12-ჯერ იყო ნომინირებული, „ოსკარით“ დაჯილდოვდა სამჯერ. მიღებული აქვს შვიდი „ოქროს გლობუსი“.

**1986 წლის 22 აპრილს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და მოდელი **ემბერ ჰერდი.**



**1995 წლის 23 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა



ამერიკელი მოდელი **ჯიჯი ჰადიდი,** რომელიც ბრიტანეთის მოდის საბჭოს მიერ დასახელებულია 2016 წლის საერთაშორისო მოდელად.

**1942 წლის 24 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, მსახიობი და რეჟისორი, კინოპროდიუსერი **ბარბრა სტრეიზანდი.** დაჯილდოებულია ამერიკის კინოაკადემიის პრიზით „ოსკარით“, მიღებული აქვს ამერიკის ხმისჩამწერი აკადემიის მუსიკალური ჯილდო „გრემი“ და „ოქროს გლობუსი“.





**1952 წლის 24 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ფრანგული მოდის დიზაინერი **ჟან-პოლ გოტიე.** იგი დასახელებულია ერთ-ერთ პირველ დიზაინერად, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა 1980-1990-იანი წლების მსოფლიო მოდის განვითარებაში.

**1969 წლის 25 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი, ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს — „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი **რენე ზელვეგერი.** ის არის ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი.





**1940 წლის 25 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი, „ოქროს გლობუსის“, „ოსკარისა“ და სხვა მაღალი ჯილდოების მფლობელი **ალ პაჩინო.**

**1970 წლის 26 აპრილს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა მოდელი, ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** მეუღლე და ამერიკის პირველი ლედი **მელანია ტრამპი.**



## კუროს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1816 წლის 21 აპრილს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მწერალი **შარლოტა ბრონტე.** 1847 წელს გამოაქვეყნა რომანი „ჯეინ ეარი“, რომელმაც მსოფლიო წარმატება მოუტანა. გარდაიცვალა 39 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1915 წლის 21 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა მექსიკური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, მხატვარი და მწერალი **ენტონი ქვინი.** ორჯერ დაჯილდოვდა „ოსკარით“ კაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის. გარდაიცვალა 86 წლის ასაკში, კურდღლის ასაკში.

**1724 წლის 22 აპრილს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და იდეალიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი **იმანუელ კანტი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.





**1909 წლის 22 აპრილს, მამლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მეცნიერი **რიტა მონტალჩინი,** რომელმაც ზრდის ფაქტორების აღმოჩენისთვის, **სტენლი კოენთან** ერთად, მიიღო ნობელის პრემია ფიზიოლოგიის დარგში. მისი დევიზი იყო: „იცხოვრეთ მშვიდად, იფიქრეთ მუდამ ტვინის მარცხენა ნახევარსფეროთი. ყველა დიდ ტრაგედიაში დამნაშავე ის არის, რადგან ინტელექტი და აზროვნება იქ აღძრული დაბალი დონის ინსტინქტებით არის დაბინდული“. გარდაიცვალა 103 წლის, დრაკონის წელიწადში.

**1870 წლის 22 აპრილს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი, 1917 წელს რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი **ვლადიმერ ლენინი.** გარდაიცვალა 53 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.





**1903 წლის 24 აპრილს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა რუსი პოეტი და თარჯიმანი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (სიკვდილის შემდეგ) **ნიკოლოზ ზაბოლოცკი.** რუსულ ენაზე მას ნათარგმნი აქვს: „ვეფხისტყაოსანი“, ასევე დავით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებები, გიორგი აბაშიძის, ალექსანდრე აბაშელის, ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა ლექსები. გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1917 წლის 25 აპრილს, გველის წელიწადში,** დაიბადა ჯაზის მომღერალი, 13 „გრემის“ მფლობელი, ამერიკის მეორმოცე პრეზიდენტის — რონალდ რეიგანის მიერ ეროვნული ხელოვნების მედლით დაჯილდოებული **ელა ფიცჯერალდი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1791 წლის 27 აპრილს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი გამომგონებელი და მხატვარი, ელექტრომაგნიტური მბეჭდავი ტელეგრაფი — „მორზეს აპარატის“ (მორზეს ანბანი) შემქმნელი **სემიუელ მორზე.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.

*მოამზადა*

***ქეთევან ხამიცაშვილმა***

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 25 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.06 საათზე, ჩადის 18.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში 11.29 საათზე. ამოდის 03.40 საათზე, ჩადის 16.04 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 05.19 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარი**ს პერიოდია 06.58 საათიდან 11.25 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: კარგი დღეა ლოცვისა და მედიტაციისთვის.** არ ვარგა დღეს და ხვალ ცხოველური საკვების მიღება, თვალების გადაღლა, ექსტრასენსებთან კონტაქტი, ზედმეტი სიამაყის გამოვლენა, ახალი საქმის დაწყება. ტრავმული დღეა. შესაძლებელი იქნება სოციალური და მეგობრული კავშირების განმტკიცება, შეხვედრების გამართვა. პარტნიორულ ურთიერთობებში მეტად იზრუნეთ ერთმანეთზე. იარეთ ფეხით, კარგია ვარჯიშები, სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები. ეფექტურია თირკმლების, კანის, ენდოკრინული სისტემის, კანის, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. აკონტროლეთ ხასიათში ემოცია, აგრესია, სიჯიუტე. მოერიდეთ თვალების გადაღლას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, ვალის დაბრუნებას, წესების დარღვევას. სასიკეთო დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტისთვის, მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ქარვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, სასწორისთვის. **ნეიტრალურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 26 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.04 საათზე, ჩადის 18.54 საათზე. **მთვარე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 04.04 საათზე, ჩადის 17.23 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 05.26 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.19 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** საქმეები უმჯობესია, დილის საათებში წარმართოთ, საღამოს მოსალოდნელია დეპრესია, ქრონიკული დაავადებების გამწვავება, მოტყუება ხვალინდელი ახალმთვარეობის წინ. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს, აკონტროლეთ ემოცია, აგრესია, კამათისადმი მიდრეკილება, სულსწრაფობა. დინჯად იმოქმედეთ. ეფექტურია თირკმლების, კანის, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემების, ყელის მკურნალობა. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ ცხიმიან კარაქს, რძის ნაწარმს, თხილს, თაფლს და სხვა ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს, ალკოჰოლურ სასმელებს. კარგია ბოსტნეული, ხილი, ასკილის ნაყენი. მოერიდეთ ფიზიკურ და სულიერ გადაღლას, ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტისთვის, მგზავრობასა და მოგზაურობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 27 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.03 საათზე, ჩადის 18.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში 11.17 საათზე. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 18.45 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 05.34 საათზე. **ახალი მთვარე** და I დღე. I ფაზა იწყება 23.33 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 11.18 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობაა — რთული დღეა, მზის და მთვარის ენერგიათა შეერთება კუროს ზოდიაქოში მეტად განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, დეპრესიას, ღალატს, კონფლიქტებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, ცდუნებებს, შეცდომებს და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს — იყავით ყურადღებით. საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად, დღეს მშვიდად იყავით, აკონტროლეთ ემოციები, ეჭვიანობა, სიჯიუტე. მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, ფულის სესხება-გასესხებას, ხელშეკრულების დადებას, მოლაპარაკების წარმოებას, ხორცეულ საკვებს, ალკოჰოლურ სასმელებს, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს, ორპირ ქარს, ყურების გაციებას, ცივ და გაზიან სასმელებს, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ყურების გახვრეტას, აკონტროლეთ საფულე. პოზიტიური დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, ილოცეთ და დალოცეთ ყველა. ფული დაანახვეთ მთვარეს. შეიძლება საქმეების დასახვა და არდაწყება. შესაძლებელია, ამინდი გაუარესდეს. მიუღებელია თესვა, მცენარეების დარგვა. კარგია ფუტკრის ოჯახის მკურნალობა, ნიადაგის დამუშავება, მავნებლებთან ბრძოლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, სასწორისთვის.










## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კვარტალი; 7. დაშნა; 12. ცვაიგი; 13. კასტა; 14. სტენდალი; 15. ლიფტი; 16. ნადირი; 17. ჰაინე; 18. მანეკენი; 19. ჟუანი; 20. სტიქია; 22. ტრიკო; 23. სიცილია; 27. ალ; 28. ნეირო; 30. დარიოსი; 32. კიპი; 34. ფარვანა; 35. ბუკლე; 36. სტენდი; 38. ნარი; 39. ანაბაზისი; 44. ლი; 45. ზორგე; 46. მორზე; 47. დილა; 49. სერვანტესი; 50. ქილიკი; 52. სტატია; 54. პოლემიკა; 58. პისარო; 61. ესტაფეტა; 63. სარაგოსა; 64. ფოლი; 65. სპიდომეტრი; 67. ანომალია; 68. არია.

**შვეულად:** 2. ვატმანი; 3. რონდელი; 4. არაბეთი; 5. იცინის; 6. მანდრილი; 7. დილიჟანი; 8. შაფრანი; 9. აკიჰიტო; 10. ასპირინი; 11. ბალერონი; 21. ტაროსი; 23. სუფსა; 24. ცურვა; 25. ლიანა; 26. ადამი; 29. რეკორდი; 31. ოტელო; 32. კენედი; 33. პაროლი; 35. ბიზე; 37. ნირვანა; 40. ნიელო; 41. ბუვიე; 42. ზანტი; 43. სმენა; 46. მისისიპი; 48. იკეა; 50. ქა; 51. ლეი; 53. დო; 54. პასტა; 55. ლარგო; 56. მაგმა; 57. კასრი; 58. პაქტი; 59. სოფია; 60. რელსი; 62. ეშმა; 66. და.

**მონაკოლოსიონიანისულიერინიამორიგედიმილიონი**
**მინისტრიპიკაპიკიმონოკლინიკაპიკოლონიასაინი**

| ქალაქი საფრანგეთში | პარფიუმერული ხსნარი | ეთერზეთის შემცველი მცენარე | შურისმაძიებელი ქალღმერთი ბერძ. მით-ში | გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობის შემსრულებელი | სოფელი იმერეთში | ქალაქი საფრანგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|
| უუფლებო ადამიანი | როდოსის ... | ქართველი მსახიობი მამაკაცი | სულდგმული | წყვილჩლიქოსანი ცხოველი | წყლის ფრინველი | 1000×1000 |



თარაზულად: 1. წელიწადის მეოთხედი; 7. მოკლე, სწორი ხმალი; 8. ავსტრიელი მწერალი („ამოკი“); 13. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 14. ფრანგი მწერალი („წითელი და შავი“); 15. „ტრანსპორტი“ მაღალსართულიან სახლებში; 16. მხეცი (ზოგად.); 17. გერმანელი პოეტი; 18. პირი, რომელიც ახალი მოდელების დემონსტრაციას ახდენს გამოფენაზე; 19.ჟ.ბ. მოლიერის პიესის პერსონაჟი დონ ...; 20. ბუნების მძლავრი მოვლენა; 22. ტრიკოტაჟის ერთგვარი ტანსაცმელი; 23. იტალიის კუნძული; 27. მსახიობი ... პაჩინო; 28. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ნერვულს; 30. სპარსეთის მეფეთა სახელი; 32. ლაოსის ფულის ერთეული; 34. ღამის პატარა პეპელა; 35. კულულებიანი შალის ან ჩითის ქსოვილი; 36. საგამოფენო დაფა; 38. ეკლიანი მცენარე; 39. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 44. კორეის სამეფო დინასტია; 45. რუსი მზვერავი იაპონიაში; 46. ამერიკელი გამომგონებელი, ტელეგრაფის აპარატის შემქმნელი. 47. საუზმის დრო; 49. დონ კიხოტის ლიტერატურული „მამა“; 50. ოხუნჯი, ხუმარა; 52. წერილი გაზეთში, ჟურნალში; 54. კამათი, პაექრობა; 58. ფრანგი ფერმწერი; 61. გუნდური შეჯიბრება სირბილში, ცურვაში ეტაპების გავლით; 63. ქალაქი ესპანეთში; 64. პერსონალური შეცდომა კალათბურთში; 65. ხელსაწყო — აჩვენებს ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეს; 67. ნორმიდან გადახრა; 68. საოპერო სოლო პარტია.

შვეულად: 2. ტრამვაის მძღოლი; 3. ქართველი რეჟისორი („მამლუქი“); 4. სახელმწიფო საუდის ...; 5. ვ. ჰიუგო — „კაცი, რომელიც ...“; 6. მაიმუნის სახეობა; 7. ქალაქი სომხეთში; 8. ვაშლის ჯიში; 9. იაპონიის იმპერატორი; 10. სიცხის დამწევი პრეპარატი; 11. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 21. იგივეა, რაც ამინდი; 23. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 24. სპორტის სახეობა; 25. მსახიობი ... ასათიანი; 26. სამოთხის ბინადარი; 29. უმაღლესი მიღწევა სპორტში; 31. უ. შექსპირის დრამა; 32. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 33. საიდუმლო, დათქმული სიტყვა; 35. ფრანგი კომპოზიტორი; 37. უდიდესი ნეტარება ბუდიზმის მიხედვით; 40. მოსავადების ტექნიკა; 41. ფრანგი მწერალი („იზა“); 42. დინჯი, ზარმაცი; 43. ყურის შეგრძნება; 46. მდინარე აშშ-ში; 48. სკანდინავიური ავეჯის კონცერნი; 50. ქალო! (შემოკლ.); 51. ფრანგი კომპოზიტორი; 53. რძის პროდუქტი; 54. ნივთიერების ცომისებრი მასა; 55. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი; 56. ვულკანური მასა; 57. დიოგენეს „საცხოვრებელი “; 58. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 59. ბულგარეთის დედაქალაქი; 60. მატარებლის სამოძრაო ძელი; 62. იგივეა, რაც ეშმაკი (ძვ.); 66. დედმამიშვილი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მთავრობის წევრი | პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტო | იაპონური სამოსი | სამკურნალო დაწესებულება | პატარა ფლეიტა | ტბა მოზამბიკში | იანის საპირისპირო |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოკლე კაბა | მსახიობი მერილ ... | მანეთის მეასედი | უმარტივესი ფოტოობიექტივი | სახის ნაწილი | დაპყრობილი ქვეყანა | თეფში |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2025 წლის 21 – 27 აპრილი №17 (1588)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


